


178  
1985/2

ISSN 0132-5981




# საგარეო საშინაო



3 1985





# საჭმომთა სამკრთაღი

## N<sup>o</sup> 3

მაისი  
ივნისი  
1985 წელი

შურნალი გამომცემის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის საინინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

### შინაარსი

უჭკომი შარავანდოდით მოსილი გამარჯვება . . . . .	3
ი. ბენიქა — კარტიისა და ხალხის ერთგული შვილი . . . . .	7
ი. ლაღიანი — ბენეალ-ლეიტენანტი ბ. თ. კარანაძე . . . . .	15
ლ. დოლიქა — უხილავი ფრონტის წინა ხაზზე . . . . .	22
მ. ჰრისტანიაშვილი — ოცდაათი წელი სამხედრო იუსტიციის სამსახურში . . . . .	24

### მეცნიერულ-ტექნიკური კომპრები და სამართალი

კ. ქაშხაძე — გაუფრთხილებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხის-გამგლობის ზომიერეტი საკითხი . . . . .	30
კ. კვიციანი — უზრუნველვერთ სამოქალაქო საქმეების დროულად განხილვა . . . . .	38
მ. ბაბია — სრულვერთ სასჯალის დანიშვნის სასამართლო პრაქტიკა . . . . .	45
თ. დონჯაშვილი — რეალურად უზრუნველვერთ ბრალდებულის დაცვის უფლება . . . . .	51

### კანონის კომენტარი

მ. გელოვანი — ავტობრანსკორტის გატაცების საგანი და სუბიექტი . . . . .	56
--	----

### დამნაშავეობის კოფილაქტიკა — მთავარი მიმართულება

მ. დოლიქა — მოსწავლეთა სამართლებრივი განათლება და აღზრდა . . . . .	61
--	----

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ლორია — მონობრაფია საოლქო მმართველობის აპარატის შესახებ . . . . .	66
არაბიტრაჟის პრაქტიკა . . . . .	68

### მეცნიერული ცხოვრება

მ. ბერქენიშვილი — სსრ კავშირ-დასავლეთ ბერმანიის III სივოკოზში ეკო-ნოგოკური თანამშრომლობის სამართლებრივი საკითხებზე . . . . .	71
--	----

ინფორმაცია . . . . .	75
----------------------	----

ცნობები ავტორთა შესახებ . . . . .	80
-----------------------------------	----



# СОДЕРЖАНИЕ



Победа оваянная неувядающей славой . . . . .	3
Ю. Бенидзе — Верный сын партии и народа . . . . .	7
Я. Даднани — Генерал-лейтенант Г. Т. Каранадзе . . . . .	15
Л. Долидзе — На передовой линии невидимого фронта . . . . .	22
О. Кристесиашвили — Тридцать лет на службе в военной юстиции . . . . .	24

## Научно-технический прогресс и право

К. Камхадзе — Некоторые вопросы уголовной ответственности за неосторожность . . . . .	30
А. Квициния — Обеспечить своевременное рассмотрение гражданских дел . . . . .	38

## Обобщение судебной практики

О. Бебия — Совершенствовать судебную практику при определении наказания . . . . .	45
Т. Донджашвили — Реально обеспечить право защиты обвиняемого . . . . .	51

## Комментарии закона

М. Геловани — Предмет и субъект похищения автотранспорта . . . . .	56
--	----

## Профилактика преступности — главное направление

О. Долидзе — Правовое образование и воспитание учащихся . . . . .	61
---	----

## Критика и библиография

В. Лория — Монография об областном аппарате управления . . . . .	66
Арбитражная практика . . . . .	68

## Научная жизнь

Г. Бердзенишвили — III Симпозиум Союза ССР и ФРГ по правовым вопросам экономического сотрудничества . . . . .	71
Информация . . . . .	75
Сведения об авторах . . . . .	80



## სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინჭკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
- ს. ქორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1985 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი კლავანოვის კრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

- გადაეცა წარმოებას 4.06.85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.09.85 წ.,  
ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 1267

ტირაჟი 25 000

შე 05599

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



1808

# უქმობი შეკავანდელით მოსილი გამარჯება

ორმოცი წლის წინათ საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა ძლიერი და ვერაგი მტერი ჰიტლერული გერმანია. ეს თარიღი ჩვენი სამშობლოსა და მოძვე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან ერთად ზეიმით აღნიშნა მთელმა მსოფლიომ. კაცობრიობას პროგრესისა და დემოკრატიისაკენ წინსვლის გზაზე არასოდეს ჰყოლია ფაშიზმზე უფრო ბოროტი და საშიში მტერი. გამარჯვება ფაშიზმზე ერთდროულად ნიშნავდა ხალხების ხსნას დამონებისაგან და მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენას. ეს მისია წილად ხვდა საბჭოთა ხალხს. აი რატომ არის მისი მადლიერი დედამიწის ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანი.

შემთხვევითი არ არის, რომ გერმანულ ფაშიზმს გზა მსოფლიო ბატონობისაკენ გადართობა, სოციალიზმის პირველმა ქვეყანამ, რომელმაც თავისი გოლიათური მხრებით ზიდა ომის მთელი სიმძიმე და საქმით დაამტკიცა, რომ იგი არის თავისუფლებისმოყვარე ხალხების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ყველაზე საიმედო ბურჯი. ჰიტლერულ გერმანიასთან გამარჯვებამ, ფაშიზმის ყველაზე უფრო ბნელი რეაქციის ამ დამკვრელური ძალის განადგურებამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა უახლეს ისტორიაში, ევროპისა და აზიის ბევრი სახელმწიფოსა და ხალხების ბედ-იღბალში. ომის ძღვევამოსილად დამთავრებას შედეგად მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპის და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო რევოლუციის გამარჯვება, მსოფლიოს სოციალისტური სისტემის შექმნა. საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა. კომუნისტური მოძრაობა გადაიქცა ყველაზე მიმზიდველ და გავლენიან პოლიტიკურ ძალად.

ომის წლებში ბევრი ცნობილი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე „წინასწარმეტყველებდა“, რომ საბჭოთა სახელმწიფო თუ არ დამარცხდებოდა, დაუძლურებელი და დასუსტებული მაინც გამოვიდოდა ამ ომიდან. მაგრამ ეს ვარაუდები არ გამართლდა. დიდი ოქტომბრის მიერ შობილმა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ გაუძლო დიდ გამოცდას და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უძლეველობა და სიცოცხლისუნარიანობა. ომში მთელი ძალით გამოჩნდა ჩვენი ხალხების ურდვევი შეგობრობა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სოციალიზმის აშკარა უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხების გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია, რომელმაც დარაზმა საბჭოთა ხალხი მტერთან საბრძოლველად. მან გააერთიანა და შეამჯიდროვა ჩვენი სამშობლოს ყველა ერი და ეროვნება, გვემანინ სოციალისტური ეკონომიკის საფუძველზე უმოკლეს ვადაში გარდაქმნა სახალხო მეურნეობა, ყველაფერი დაუმორჩილა ფრონტის ინტერესებს, უზრუნველყო საბჭოთა არმია საჭირო შეიარაღებით, ტანსაცმლით, სურსათითა და მედიკამენტებით.

საბჭოთა ადამიანებისათვის ომი მამაცობისა და გამოცდილების შექმნის სკოლად, მასობრივი თავგანწირვის არენად იქცა. ჩვენი ხალხი არასოდეს დაივიწყებს გახტელოს, მატ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. ნესპუბ.  
გარეო ურთიერთობების



როსოვის, კოვბაჯის და სხვათა ლეგენდალურ სახელებს. მათი გმირობა და საშრობლოსათვის თავდადება უტყუნობი შარავანდედით არის მოსილი, უკვდავია და თაობებში იცოცხლებს.

ოშში ჩვენმა ქვეყანამ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. მან ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მარტო სამი მილიონი ჯარისკაცი დაიღუპა ევროპისა და აზიის ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ქვეყანამ დაკარგა თავისი ეროვნული სიმდიდრის თითქმის მესამედი. სახალხო მეურნეობისათვის და მოსახლეობისათვის მიყენებულმა პირდაპირმა ზარალმა შეადგინა 679 მილიარდი მანეთი. შთლიანად დაინგრა ათასობით ქალაქი, განადგურდა ასი ათასობით სოფელი და დასახლებული პუნქტი, გაპარტახდა მილიონობით ოჯახი, უღედმაშოდ დარჩა რამდენიმე მილიონი ბავშვი.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უკვდავ გმირობას მიეძღვნა ათასობით ტომი, რომლებიც დაბეჭდილია მსოფლიოს ხალხთა ბევრ ენაზე. მაგრამ ეს თემა ამოუწურავია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც არაერთი ნაშრომი გამოიცემა, რომლებშიც სრულად აისახება ომის წლებში პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავდადებული შრომა შიტლერელ ავაზაკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხალხის წინაშე ამ მხრივ ვალში არიან სწავლული იურისტები, განსაკუთრებით ისტორიკოსები, რომლებმაც მომავალ თაობებს უნდა უჩვენონ ომის წლებში რესპუბლიკის აღმინსტრაციული ორგანოების, სამხედრო იუსტიციისა და პროკურატურის, მათი თანამშრომლების გულადობა და თავდადება. არავინ ზრუნავს ამ ხარვეზის შევსებისათვის. ამიტომ არის, რომ ნაკლებად არის ცნობილი ის წვლილი, რომელიც ომში გამარჯვების მოპოვებისათვის შეიტანეს პროკურატურის და სასამართლოს მუშაკებმა, სამხედრო იურისტებმა. ისინი უაღრესად რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს წყვეტდნენ. ცნობილია, რომ ომში გამარჯვებისათვის, მატერიალური რესურსებისა და ხალხის სულიერი ძალების მობილიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კანონების, სოციალისტური კანონიერების განუხრებლად დაცვას, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურისა და იუსტიციის დაწესებულებების ოპერატიულ და კოორდინირებულ საქმიანობას. ომი მოითხოვდა რკინისებურ დისციპლინას, უღმობელ ბრძოლას ჯაშუშებთან, დეზერტირებთან, პანიკორებთან, მტრის აგენტურასთან. ტერიტორიული პროკურატურისა და სასამართლოების ორგანოების მუშაკები სამხედრო იუსტიციის ოფიცრებთან ერთად ყველაფერს აკეთებდნენ რათა არშიაში ფრონტისპირა ზონაში და ზურგში აემალლებინათ დისციპლინა, დაერაზმათ ხალხი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ისინი ძალღონეს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ ყველას დაეცვა და შეესრულებინა კანონები, თავდაცვის სახელმწიფო კოზიტეტის და მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე ფრონტისა და ფლოტის სამხედრო საბჭოების მიერ კანონის საფუძველზე გამოცემული სავალდებულო გადაწყვეტილებები. დიდი ყურადღება ექცეოდა იმას თუ როგორ სრულდებოდა ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ სამხედრო მოსამსახურეთა მომარაგებას, მათი ოჯახის წევრების შედგავთებითა და დახმარებით უზრუნველყოფის საკითხებს. ურთულეს საომარ პირობებში სამოქალაქო და სამხედრო პროკურატურის და იუსტიციის მუშაკები უზრუნველყოფდნენ სისხლის სამართლის საქმეთა დროულად აღძვრას, დანაშაულის ოპერატიულად გამოძიებას და გახსნას, დამნაშავეთა დასჯის კანონის შესაბამისად. მაშინ ოდნავი დაყოვნებაც კი დაუშვებელი იყო, რადგან იქნებოდა იმის რეალური საშიშროება რომ ვეღარ დაკითხავდნენ საჭირო მოწმეს, ვერ შეაგროვებდნენ საქმისათვის საჭირო მტკიცებულებებს.

საქმის გამოძიებისა და განხილვისათვის მაშინ დაწესებული იყო დღეები და ძალიან ხშირად საათებიც. სამხედრო იურისტი ვ. პაპიტაშვილი იგონებს: „მიმდინარეობს საშვედრო სასიცოცხლო ბრძოლა და მოულოდნელად მოხდა ბრძოლის ველის თვითნებურად შიტოვების შემთხვევა. რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ საქმეზე ერთი თვის ან ერთი კვირის შემდეგ გა-



მოტანილ განაჩენს? საჭირო იყო განაჩენი გამოგვეტანა სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ. გამოძიებისათვის განკუთვნილი იყო ორი საათი, რომლის განმავლობაშიც იკითხებოდა ბრალდებული, რამდენიმე მოწმე, პირს წაეყენებოდა ბრალდება, დგებოდა ოქმი გამოძიების დამთავრების შესახებ და საბრალდებო დასკვნა. ამ საქმეში სისხლის სამართლის პროცესულური ნორმები მთლიანად იყო დაცული. დოკუმენტები მოკლედ და ლაკონურად დგებოდა. სასამართლო პროცესისათვის დაგეგმილი იყო ერთი საათი, ხანდახან უფრო ნაკლებიც. დრო იზოგებოდა არსებითი საკითხების გარკვევისა და ყველაზე მთავარის, ძირითადის მიმართ ყურადღების გამახვილების ხარჯზე. ეს ნაკარნახევი იყო სამხედრო დროით და აუცილებლობით. განაჩენები იწერებოდა ძალზე მოკლედ, ერთ, მაქსიმუმ ორ ფურცელზე და ცხადდებოდა რაც შეიძლება დიდი აუდიტორიის თანდასწრებით. განაჩენი მოჰყავდათ სისრულეში და საქმეები ბარდებოდა არქივს“.

ომის წლებში სამხედრო იუსტიციის ორგანოებში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც. მთელი ომის მანძილზე ჯერ სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის, შემდეგ კი ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა იუსტიციის პოლკოვნიკი მიხეილ ყარამანის ძე ლომიძე, რომელიც ომის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე იყო. მოკმედ არმიაში დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა სერგი იოსების ძე ქაჩიას, რომელიც შემდეგ სათავეში ედგა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე იყო აგრეთვე დ. გიორგაძე, შემდეგში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი. სამხედრო ტრიბუნალის წევრი, შემდეგ კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწე იყო — პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილი. აქედან იქნა იგი დაწინაურებული რესპუბლიკის პროკურორად.

მამაცურად დაილუპნენ 1942-1943 წლებში ამიერკავკასიის ფრონტის შენაერთების სამხედრო იურისტი ზ. ავიძბა, ნ. გოგია, მ. ტიბაძე და სხვები.

დღესაც რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების თითქმის ყველა რგოლში მუშაობას განაგრძობენ დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი საერთო საქმის წარმატებაში.

სამშობლო არასოდეს ივიწყებს ომში დაღუპულებს და ომგადასდილებს. საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს შინამოუსვლელთა, ომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ბინებით დაკმაყოფილებისათვის, პენსიების ოდენობის გაზრდისათვის. მათი პატივისცემა, მათზე ზრუნვა ყველას ვალია, ჩვენი ცხოვრების ზნეობრივი კანონია. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ივიწყებენ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ ომის ვეტერანთა და დაღუპულთა ოჯახის წევრებისადმი. რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, პირველ რიგში პროკურატურა მოვალენი არიან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ბიუროკრატებს, საქმის გაჭიანურებას, თვალყური ადევნონ როგორ სრულდება საბჭოთა კანონები, რომლებიც ოჯახის წინაშე დაჯავთებს ომის მონაწილეთათვის, ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებისათვის. მეტი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ მათ მიმართ, გულთან ახლოს მივიტანოთ მათი გაჭირვება, მკაცრად მოვთხოვოთ თანამდებობის იმ პირებს, რომლებიც ივიწყებენ თავის მოვალეობას ყოფილი მემორებისა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ.

საბჭოთა სახელმწიფომ ომში ყველაზე დიდი ზარალი განიცადა და კარგად იცის მშვიდობის ფასი. ამიტომ არის, რომ ისე, როგორც მთელ ომის შემდგომ პერიოდში, დღესაც თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავს ომის თავიდან აცილების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსს, ახორციელებს ღონისძიებებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილი-



ბის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად. სწორედ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის წყალობით არის, რომ ორმოცი წელია მსოფლიოს ხალხები უომრად, მშვიდობის პირობებში ცხოვრობენ და იღწვიან.

აგრესიული იმპერიალისტური წრეების სოციალიზმისა და დემოკრატიის მოწინააღმდეგე ძალები, ამერიკის შეერთებული შტატების წაქეზებითა და მხარდაჭერით არაფერს იშურებენ საერთაშორისო ატმოსფეროს მოწამვლისათვის. ისინი ხელოვნურად ქმნიან დაძაბულობას და საშიშ სიტუაციებს ცალკეულ რეგიონებში, აღვივებენ ხალხებს შორის უნდობლობას, ცდილობენ მსოფლიო დააბრუნონ ცივი ომის პერიოდისაკენ. ეს გზა, ავანტიურებისა და პროვაციების გზა, მიუღებელია მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის. საბჭოთა ხალხის გმირობა და თავდადება დიდ სამამულო ომში მოგვიწოდებს, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა, გავუფრთხილოთ მას, ყოველმხრივ განვამტკიცოთ იგი. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი კაცობრიობის შემდგომი სოციალური პროგრესი.

მშვიდობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირს მხარში უდგანან მოძმე სოციალისტური და მიუმხრობელი ქვეყნების ხალხები, ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანი, რომლებიც ზიზლით გამობნენ ახალი ომის გაჩაღების იდეებს. მშვიდობისმოყვარე ხალხებს ძალუძთ დაძლიონ ცივი ომის რეციდივები, თავიდან აიცილონ ახალი ომის საფრთხე, შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა.





## პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი

თითქმის შესამედი საუკუნეა საქართველოს ჩეკისტთა სახელოვან კოლექტივს სათავეში უდგას თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური. ომის წლებში ა. ინაურმა პირნათლად მოიხადა თავისი მხედრული ვალი, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ვერაგი მტრის განადგურებაში.



ელუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოს გადასცემს ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურს.

1953 წელს პარტიამ მას მიანიჭა უაღრესად პასუხსაგები და რთული საქმე — რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა. ამ პოსტზეც ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური, პარტიის ერთგული ჯარისკაცი, ყველას უჩვენებს თავდადებული შრომის, პრინციპულობის, კეთილსინდისიერების, პარტიულობის მაგალითს.

ჩვენი ხალხი მას იცნობს როგორც პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს, შესანიშნავ პიროვნებას, რომელიც ერთგულად ემსახურება რესპუბლიკაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს.





ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ნარკვევს, რომელშიც გადმოცემულია გენერალ-პოლკოვნიკ ა. ინაურის მდიდარი ბიოგრაფიის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი.

\* \* \*

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღნიშვნის წინაღობებში ქალაქ გორისა და გორის რაიონის სასოგადოებრიობამ შეხვედრა მოუწყო თავის გამოჩენილ თანამემამულეს, ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურს. გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში, რომელიც გემოვნებით იყო გაფორმებული, გაიმართა საღამო, რომელზეც დაშსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს და სიტყვა წარმოთქვეს ა. ინაურის ბავშვობის მეგობრებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, რაიონის მოწინავეებმა. საზეიმოდ უდერა ხალხური მუსიკის ჰანგები, პოეტები კითხულობდნენ ლექსებს, სცენაზე განასახიერებდნენ გენერალ ა. ინაურის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. გვიანვე აჩვენეს ა. ინაურისადმი მიძღვნილი

დოკუმენტური ფილმი, რომლის გადაღებაც სწორედ იმ დღეებში დამთავრდა.

უპასუხა რა თავის თანამემამულეთა გულშიჩამწვდომ, მეგობრულ მისაღმებებს ალექსი ნიკოლოზის ძემ მადლობა გადაუხადა მათ დიდი ყურადღებისათვის და თქვა: მე არ ვიცი კიდეც რამდენ წელს ვიცოცხლებ, მაგრამ ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, კვლავაც ვიქნები პარტიის ჯარისკაცი, ჩემი ხალხის ერთგული შვილი.

ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურის მთელი ცხოვრება მართლაც არის ამ სიტყვის ნათელი დადასტურება. ამას მეტყველებს მისი, მეომრისა და სახელმწიფო მოღვაწის, გმირული ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები.

იმისათვის, რომ გავიხსენოთ ისინი, მოგვიწევს ერთგვარი ექსკურსი წარსულში.

\* \* \*

ალექსი ინაურმა ბავშვობის წლები გაატარა პატარა სახლში, რომელიც გორის ციხის ძირას მდებარეობდა. იგი მუშის ოჯახში დაიბადა და ოთხი შვილიდან ყველაზე უფროსი იყო. აქ იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, ყალიბდებოდა მისი ხასიათი. სახლთან ახლოს განლაგებული იყო კავალერიის ცალკე ესკადრონი, ალექსი საათობით ადევნებდა თავის მხედრებს. იგი ყურადღებით აკვირდებოდა ცხენოსნების მიერ შესრულებულ ყველა ილეთს, რათა შემდეგ, ახლომდებარე სოფელში მცხოვრებ ძია პავლეს ცხენზე გაემეორებინა იგივე ელემენტები. მას რაღაც მართლაც გამოუდიოდა, ყოველ შემთხვევაში, თავად ალექსი ასე ფიქრობდა.

სკოლის მერხიდანვე გაიგო ჭაბუკმა, რომ, თუ შენი სამშობლოს აუკავება გსურს და მისი უშიშროებისათვის ზრუნავ, უნდა ისწავლო მამულის დაცვა.

როდესაც გადაწყვეტილება ჰაბოლოოდ მომწიფდა, ალექსი ნიკოლოზის ძემ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა. აქ მას მყისვე გაუგეს და გადაწყვეტილებაც მოუწონეს. იგი გახდა სამხედრო სასწავლებელში ცენტრალური კომიტეტის საგზურით გასაგზავნი ერთ-ერთი კანდიდატი. უფრო რთული გამოდგა ურთიერთობის მოგვარება მშობლებთან, რომლებიც ოცნებობდნენ, რომ უფროს შვილს უშადლენი განათლება მიეღო, და პირველ ხანებში იოლას გადიოდა მშობლების ღოცვა-კურთხევის გარეშე.

რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მყარად ხდებოდა მისი გადაწყვეტილება, აუცილებლად სამხედრო გამხდარიყო. ალექსი ნიკოლოზის ძის თაობამ ხომ თავის თავზე განიცადა დიდი სამხედრო ძვრები, ჭერაც გაუხუნარი იყო მოგონებები სამოქალაქო ომის ბეროიკაზე.

...დადგა მშობლიურ ადგილებთან განშორების უამიც. გამგზავრების წინ ალექსი გორის ციხის გალავანზე ავიდა და თვალი მოავლო ქართლის ბარაქიან ყანებსა და ბაღებს. გაღახდა ადგილებს, რომლებიც ბავშვობიდანვე ხიბლავდა.

მისი მშობლიური საქართველო საბოლოოდ დაადგა სოციალისტური გარდაქმნების გზას, სამუდამოდ დააღწია თავი დამონების საფრთხეს, რომელიც მას საუკუნეების მანძილზე ემუქრებოდა.

მრავალი წლის შემდეგ, დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებში, ქართველი პოეტი სტეფანე მხარგრძელი ალექსი ინაურისადმი მიძღვნილ თავის ლექსში იტყვის:



შენს აკვანს შტკვრის და ლიაზვის  
შტლაფრი ტალღები არწევდა.

აი ადგილი, ქალაქის მახლობლად, სადაც  
ეს მდინარეები ერთმანეთს უერთდებიან,  
რათა გაორკეცებული ძალით გაემართონ სა-  
ქართველოს დედაქალაქისაკენ, შემდეგ კი  
კასპიის ზღვისაკენ. აი გორის ძველი ხიდი,  
საიდანაც შეუპოვარი გორელი ბიჭუნეში  
შტკვარში ხტებოდნენ.

აღექსი ინაურმა სამხედრო სპეციალობა ისე  
აირჩია, რომ არ უქოჭმანია: მხოლოდ კავა-  
ლერია. კავალერია მაშინ ჩვენს ქვეყანაში  
უადრესად პოპულარული იყო. გმირული საქ-  
მეები პირველი და მეორე ცხენოსანი არმი-  
ებისა, რომლებიც ჯერ კიდევ 1919-20 წლებში  
შეიქმნა, შარავანდელით იყო მოხილი და ლე-  
გენდალ ქცეული.

ბავშვობიდანვე კიდევ ერთი დამახსოვრდა:  
ხალხური ეპოსის გმირები, ბევრი ქართული  
ზღაპრისა და თქმულების პერსონაჟები უც-  
ხენოდ იოლად ვერ გადიოდნენ.

1927 წელს აღექსი ინაურმა წარმატებით  
ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა ჩრდილო  
კავკასიის შთის ეროვნებებისათვის განკუთვნილ  
საკავალერიო სკოლაში კურსანტად. ეს სკოლა  
მაშინ კრასნოდარში მდებარეობდა, იმ სახა-  
ლეში, რომელიც რევოლუციამდე სპეცი-  
ალურად აშენდა როგორც კეთილშობილ  
ქალთა სასწავლებელი. იმ დროისათვის სკო-  
ლას კავალერიის „აკადემიასთან“ ათანაბრებ-  
დნენ. იგი კურსანტებს მყარ სამხედრო ცოდ-  
ნას აძლევდა და საუკეთესო თვისებების შე-  
თაურებად აყალიბებდა. კურსანტები დაძა-  
ბულად სწავლობდნენ, ითვისებდნენ სამოქა-  
ლაქო ომში ცხენოსანი არმიის მდიდარ გა-  
მოცდილებას, ემზადებოდნენ მომავალი ბრძო-  
ლებისათვის, მათ შორის პოტენციურ მოწი-  
ნაღმდეგესთან — მექანიზებულ ჯარის ნა-  
წილებთან.

სასწავლებელში თავი მოიყარეს ახალ-  
გაზრდა, ვაჟკაცურმა ჭაბუკებმა ჩვენს ქვეყნის  
მრავალი რაიონიდან. ყველას ერთი სურვილი  
ამოძრავებდა — გამოსულიყო კარგი კავა-  
ლერისტი, რათა ღირსეულად წარმოედგინა  
ეს ბრძოლებში მეტად მოძრავი, შეტევაში  
კი სწრაფი გვარობის ჯარი. დიდი ყურად-  
ღება ექცეოდა სპორტულ წრეთობას, ურომ-  
ლისოდაც ვერ გახდებოდი ჩინებული კავა-  
ლერისტი. აღექსიმ შეიყვარა სპორტი და  
წარმატებებსაც აღწევდა როგორც სასწავ-  
ლებელში, ისე შემდეგაც, როდესაც ჯარის  
ნაწილებში მსახურობდა.

სწრაფად გაიბრინა სწავლის წლებმა, რომ-  
ლის ნათელი და დაუვიწყარი მოგონებები

აციხროვნებდა მისი მთელი შემდგომი  
ცხოვრების გზას. კურსდამთავრებულებს  
სკოლაში მარტო კარგი ცოდნა არ მიუღიათ.  
მათ შორის, ნამდვილ მეომრებს რომ შემ-  
ვენით, ისეთი შტკიცე შეგობრობა დამ-  
ყარდა. ისწავლეს ურთიერთთანამშრომლობა,  
მძიმე საბრძოლო სიტუაციებში ერთმანეთის  
მხარდაჭერა და ბოლოს შეგობრობის დაფა-  
სებაც. აღექსი ინაური სწავლების სხვა ფრი-  
ადონებთან ერთად ვაღამდე იქნა გამოშვე-  
ბული 1931 წელს.

როგორც ყოველთვის, სამახსოვრო ფოტო-  
სურათი გადაიღეს. სურათის ცენტრში გამო-  
სახული არიან სკოლის უფროსი კოკორევი,  
კომისარი ზელენოვი და სხვა მასწავლებ-  
ლები. მათ გარშემო ფოტოგრაფს რაღაც  
ნაღის მსგავსი კომპოზიცია შეუქმნია, რო-  
მელშიც 84 კურსანტის ფოტოსურათია მო-  
თავსებული, მათ შორის ორი საქართველოს  
წარმომადგენელია: აღექსი ინაური და  
გრიგოლ ქუთათელიძე.


ამგვარად, აღექსი ნიკოლოზის ძე უკვე  
მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურია.  
იგი იგზავნება უკრაინის სამხედრო ოლქში  
კოტოვსკის სახელობის მესამე ბესარაბიული  
საკავალერიო დივიზიის მე-18 პოლკის ოცე-  
ულის მეთაურად. ამ პოლკში (შემდეგ გარ-  
დაიქმნა დივიზიის მე-60 პოლკად) მას 1941  
წლამდე თანამიმედურულად ეკავა ესკადრო-  
ნის მეთაურის, პოლკის სკოლის უფროსის,  
პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდე-  
ბობანი.

გაიარა რა სამხასურის ყველა საფეხური  
ოცეულის მეთაურით დაწყებული და პოლ-  
კის მეთაურის მოადგილით დამთავრებული —  
აღექსი ნიკოლოზის ძემ საფუძვლიანად აით-  
ვისა კავალერიაში მხედრული ცხოვრების  
ყველა პერიპეტია. ამის გათვალისწინებით  
სარღლობამ 1941 წლის თებერვალში აღექსი  
ინაური დანაშნა 99-ე წითელჯაროშოვანი  
კავალერიის პოლკის მეთაურად.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე რამდე-  
ნიმე თველა იყო დარჩენილი. რა თქმა უნდა,  
ეს არავინ იცოდა, მაგრამ შაერში უკვე  
დენტის სუნი იდგა და ყოველი დღე აღსავ-  
სე იყო დაძაბული წვრთნით, რომელიც შე-  
საძლო საბრძოლო პირობებს ჰგავდა.

პოლკი განლაგებული იყო ლვოვის ოლქის  
ქალაქ კამენკას-სტრუმილოვოში. სახელმწი-  
ფო სახლვარი 20-25 კილომეტრზე გადიოდა.  
სშირად მეცადინეობები ზედ საზღვრის პი-  
რას წარმოებდა. აღექსი ნიკოლოზის ძეს კარ-  
ვალ დამახსოვრდა ბოლო ასეთი მეცადინეობა.





ეს იყო პარასკევს, 1941 წლის 20 ივნისს.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ადგილობრივი სასაზღვრო ზონის კომენდანტმა ალექსი ნიკოლოზის ძეს სთხოვა მასთან დარჩენილიყო, რათა დამატებითი ინფორმაცია მიეწოდებინა იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ.

კომენდანტის სადად მოწყობილ ოთახში ისინი ჩაის სვამდნენ, თან საუბრობდნენ. კომენდანტი შემოფოტებული ჩანდა. ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან, ამბობდა იგი, გერმანელები გამალებით უყრიან თავს დიდძალ ჭარს. მოდიოთ, დალამებან მოვუცადოთ და თქვენ თვითონ დაინახვთ ამას. დაშით ორივენი სათვალთვლო პუნქტს ეწვივნენ და საზღვრის კონტროლზე ავიდნენ. საზღვრის იქითა მხარეს ინტენსიურად მოძრაობდა საბრძოლო ტექნიკა, ზოგიერთი მიმართულებით შეუნიღბავადც კი. ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ აქ თავს უყრიდნენ ჭარებს.

ალექსი ნიკოლოზის ძე სწრაფად დაბრუნდა უკან. გზად ღვიზიის შტაბში შეიარა და ყველაფერს დაწვრილებით მოჰყვა. აქ ყურადღებით მოუსმინეს და უთხრეს: იყავი ფხიზლად.

მთელი მეორე დღე, შაბათი, იმას მონადომა, რომ ცალ-ცალკე შეამოწმა ყველა ქვედანაყოფის საბრძოლო მზადყოფნა. ყველას აუკრძალა ნაწილის დატოვება და ქალაქში გასვლა. ამ ღონისძიებებმა დადებითი როლი შეასრულა. 22 ივნისს 4 საათსა და 15 წუთზე განგაშის გამოცხადებისას პოლკს უმნიშვნელო დრო დასჭირდა, რათა საბრძოლოდ გამზადებულიყო. ალექსი ნიკოლოზის ძემ ჩამოუარა ესკადრონებს, სხვა ქვედანაყოფებს და დარწმუნდა — ყველაფერი რიგზე იყო.

დილის 6 საათზე პოლკი უკვე ლაშქრობას შეუდგა. უკან დარჩნენ ქალაქი კამენკა-სტრუმოლოვოს ნაცნობი კონტურები, მეთაურთა შეუღლები და შვილები. შეხვდებიან კი ოდესმე ერთმანეთს? ალექსი ნიკოლოზის ძე იმდენად მოუცლელი იყო პოლკის საქმეებით, რომ რამდენიმე წუთიდა დარჩა ცოლთან, ვერა თევდორეს ასულთან, გამოსამშვიდობებლად. მხოლოდ ის მოახერხა ეთქვა შეუღლისათვის, რომელიც შვილს ელოდა: გაუფრთხილდი საკუთარ თავსაც და ბავშვსაც.

მალე პოლკი ჩაება საზღვარზე გადმოსული ფაშისტური ჭარების წინააღმდეგ ბრძოლაში. შეტევა მოიგერიეს, მტერს უკან დაახევინეს და მათთვის განკუთვნილი პოზიციები დაიკავეს.

ეს იყო პირველი ბრძოლა და პირველი წარმატება. მოგვიანებით ალექსი ნიკოლოზის

ძე, ამ ბრძოლას რომ იგონებდა, ამბობდა: მტერთან ბრძოლაში პირველმა წარმატებამ აღაფრთოვანა მებრძოლენი და მეთაურები. ჩვენ ვთქვით, რომ ფაშისტების დამარცხებას შევძლებთ და დავამარცხებთ კიდევ.

თავდაცვითი მიჯნის დაკავების შემდეგ პოზიციას ჩვენი სატანკო პოლკი მოადგა. ისე გამოვიდა, რომ ცხენოსნებმა ტანკისტებს დაასწრეს. ამას იმან შეუწყო ხელი, რომ ინაურმა იცოდა საზღვრისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა, რომელიც ტყის მასივზე გადიოდა.

დღის 12 საათზე ა. ინაურის სანგარში იმყოფებოდა და მტრის მოძრაობას უთვისალოვებდა, როდესაც რადიოსადგურის უფროსმა მოახსენა, რადიოთი სსრკეზიის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მოლოტოვი გამოდისო. ეს იყო საბჭოთა მთავრობის განცხადება ჩვენი ქვეყნისათვის ფაშისტური გერმანიის მიერ თავს მოხვეული ომის შესახებ. ამ დროს სახელგვანი საბჭოთა მესაზღვრეები, მათ შორის ა. ინაურის მხედრები უკვე წერდნენ მატიანეში გმირობის პირველ ფურცლებს.

მას შემდეგ, რაც სწრაფად უკუაქციეს კავალერიისტებმა, მოწინააღმდეგემ გადააჭრუხა თავისი ძალები და შეტევა დაიწყო გამაგრებული პოზიციების შემოვლით. არიან თუ არა მათ გვერდით მდგომი ნაწილები მზად მტრის შეტევის მოსაგერიებლად? როგორ მოვიქცეთ? ვუცადოთ მოწინააღმდეგეს, თუ ჩვენ თვითონ დავასწროთ მას, მაგრამ ბრძანება ამის თაობაზე არ ჰქონდათ.

ეს იყო დიდი სამაჟულო ომის დაწყების პირველი საათები, როდესაც ბევრი რამ გახლდათ გაურკვეველი და ძალიან ცოტაზე თუ შეიძლებოდა მეაფიო პასუხის გაცემა. ერთი რამ იყო ნათელი: უნდა გვერტუა მტრისათვის ყოველთვის და ყველა საშუალებით.

ა. ინაურის მხედრები შემდეგშიც ასე იქცეოდნენ. მათ ბრძოლებით განვლეს დიდი სივრცეები, განუწყვეტლივ უტევდნენ მტერს და გმირულად იცავდნენ თავს. უკან რომ იხევდნენ დიდი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგის დაწოლის გამო, ისინი ამავე დროს მონაწილეობდნენ ისეთ შეტევის ოპერაციებში, რომლებიც დღეს მჩინეულია სამხედრო ხელოვნების კლასიკურ ნიმუშებად. მაგრამ ამის დაწვრილებით აღწერას დიდი მოცულობის წიგნი დასჭირდებოდა.

წინამდებარე წერილს კი შეტად მოკრძალებული მიზანი აქვს. შეთხვევლს გააცნოს ომის ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც ა. ინაურის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე ომის წლებში და ომისშემდგომ პუბ-



საქართველო  
საბჭოთა

ლიკაციებში მის შესახებ გამოთქმული შე-  
ნედეულებანი.

საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე ქრის-  
ტიფორეს ძე ბაგრაშიანი თავის ცნობილ  
წიგნში „ასე იწყებოდა ომი“ იგონებს:

„...მძიმე გამოცდა ელოდათ მეექვსე არმი-  
ის მარცხენაფლანგელებს — ორმოცდამეერ-  
თე მსროლელ და მესამე საკავალერიო დი-  
ვიზიას. ისინი კარგი ურთიერთმოქმედებით  
აჯავებდნენ მტერს, მაგრამ მან მაინც შეძლო  
პარსიანის სადგურის აღება და აღმოსავლეთი-  
საყენ დაიძრა. მტერს ეკვოთა 158-ე საკავა-  
ლერიო პოლკი იაკობ ბროვჩინკოს მეთაუ-  
რობით. ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ,  
მაგრამ მტრის ძალები საგრძნობლად აღემა-  
ტებოდა მათ, და კავალერიისტებმა უკან და-  
ხვევა დაიწყეს. მათ დასახმარებლად გაიგ-  
ზავნა ა. ინაურის პოლკი, რომლის მამაცური  
მოქმედების წყალობით ბიტლერელების წინ-  
სვლა შეჩერებულ იქნა. შემდეგში ინაურის  
ცხენოსნები იცავდნენ 41-ე მსროლელ დი-  
ვიზიას უკანდახვევისას“.

1941 წლის ზაფხულის ერთ პაპანაქება  
დღის მაიორ ა. ინაურის პოლკს, რომელიც  
მამან ქალაქ კანევის რაიონში მოქმედებდა  
ესტუმრნენ „ივესტიის“ სპეციალური კო-  
რესპონდენტები ი. ოსიპოვი და კ. ტარა-  
ნკინი, რომლებიც აქ კორპუსის მეთაურმა  
გამოგზავნა. ისინი მას წარუდგინენ და სთხო-  
ვეს ეამზნა წინა დღეების საბრძოლო ოპე-  
რაციების შესახებ. აღექსი ნიკოლოზის ძემ  
უპასუხა: „მოყოლა არ შემიძლია, უკეთესია  
თვითონ ნახოთ, როგორ ვიბრძვით“. ჟურნა-  
ლისტები სიამოვნებით დათანხმდნენ ამ წი-  
ნადადებას. ამას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ  
1941 წლის ავისტოში „ივესტიის“ ფურც-  
ლებზე გამოქვეყნდა ნარკვევი „მაიორ ინაუ-  
რის პოლკი“, რომლის წყალობითაც მომა-  
ვალ თაობებს შემორჩათ თვითმხილველთა  
მიერ აღწერილი ამ პოლკის გმირობის ამ-  
სახველი ეპიზოდები.

იმ ხანებში პოლკი გააფორებით ებრძოდა  
და ავიწროებდა მტერს. ათი დღის მანძილ-  
ზე ისინი სწირად ცხენზე ამხედრებულნი  
და ქვეითადაც ებრძოდნენ ფაშისტების ტან-  
კებს, საკავალერიო და სხვა ქვედანაყოფებს.  
ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა ერთ-ერთ და-  
სახლებულ პუნქტთან. აქ მოქმედებდა ესეს-  
ელთა „სიკვდილის ბატალიონი“. ა. ინაური  
აქტიური თავდაცვისათვის მოემზადა. თვი-  
თონ მოიარა თითოეული ბორცვი, შეარჩია  
საცეცხლე პოზიციები.

ბიტლერელებმა, რომლებმაც უკვე იწყინეს  
კავალერიისტების სიმტკიცე, ეშმაკობას მიმარ-

თეს. გამთენიისას სოფლიდან საბჭოთა პო-  
ზიციებისაკენ გამორიქეს გლეხების ჯგუფი,  
უშთავრესად ქალები და ბავშვები. ა. ინა-  
ური და მისი კომისარი დენისოვი მიუხვდ-  
ნენ მტერს შუაკვროვას. ა. ინაურმა პირ-  
ველ ესკადრონს უბრძანა სროლა მათ თავს  
ზემოთ აეტეხათ. სროლით შეშინებული  
გლეხები გაიფანტნენ, ხოლო წითელარმიე-  
ლების გიმნასტურაში გადაცმულმა ესესე-  
ლებმა, რომლებიც მათ მოსდევდნენ, ავტო-  
მატები მოიმარჯვეს და საკუთარი თავი გა-  
მონაპეღავნეს. მამანი მათ ყველა ბორცვიდან  
გამანადგურებელი ცეცხლი დაატყდა თავს.  
დამით ფაშისტებს სახიდრებით გაჰქონდათ  
„სიკვდილის ბატალიონის“ ჯარისკაცების გვა-  
მები, რომლებიც იმ დღეს დაიხიცნენ.

ნეორე ბრძოლა, რომელსაც „ივესტიის“  
კორესპონდენტები შეესწრნენ, გაიმართა  
სოფელ ს-სთან. ა. ინაურის პოლკს მიეცა  
ბრძანება გაეთავისუფლებინა ეს სოფელი. მა-  
იორმა გადაწყვიტა ბრძანება დამით შეესრუ-  
ლებინა. იმისათვის, რომ ხელჩართულ ბრძო-  
ლაში ერთმანეთი კარგად გაერჩიათ, ყველა  
მხედარს უბრძანა მქლაფზე გაეკეთებინათ  
თეთრი სახვევი. ოპერაცია წუსტად იყო გა-  
ანგარიშებული და წარმატებით განხორცი-  
ელდა. უჩუმრად მიუახლოვდნენ მოწინააღმ-  
დეგის პოზიციებს და ხიშტებით გაიკვილეს  
გზა სოფლის ცენტრისაკენ. დილისათვის სო-  
ფელი უკვე ჩვენი ჯარების ხელში იყო.

ჟურნალისტებმა ი. ოსიპოვმა და კ. ტა-  
რანკინმა ყოველივე იმის საფუძველზე,  
რაც მათ უშუალოდ ნახეს და განიცადეს,  
ნარკვევის დასასრულს ასეთი დასკვნა  
გამოიტანეს პოლკის მეთაურის შესახებ: „მა-  
იორი ინაური ეკუთვნის ისეთ მეთაურთა  
რიგს, რომლებიც მულამ მშვიდად ხელმძღ-  
ვანელობენ თავიანთ ხელქვეითებს, უნერგა-  
ვენ აღამიანებს გამარჯვების ურყევ რწმენას.  
ჯარისკაცები და მეთაურები ცდილობენ ყვე-  
ლაფერში მიზნად მას. იგი მათთვის  
ყოველმხრივ სანიშნუაა. მას აქვს უნარი  
შეუპოვრად შეასრულოს გაბედული გადაწყ-  
ვეტილებები, ფხიზლად შეაფასოს ვითარ-  
ება“.

ასეთივე გენერალ-მაიორ ა. ბ. ბაბალაშვი-  
ლის შეფასება, რომელიც თავის წიგნში  
„ქართველი შემოღრმების ბრძოლა უკრაინისათ-  
ვის დიდ სამამულო ომში“ წერს: კოტოვსკის  
სახელობის საკავალერიო დივიზია არა მარ-  
ტო მძლავრ დარტყმებს აყენებდა მტერს,  
არამედ მტრის ზურგში თავისი სწრაფი  
რეიდებით თავზარს სცემდა მათ.

პოლკის მეთაური მაიორი ინაური, რო-





გორც წესი, იყო ყველაზე პასუხსაგებ და საშიშ უბანზე, უმთავრესად ავანგარდში და წარმატებით ხელმძღვანელობდა თავის ნაწილს. მეომრების გმირობა სახელმწიფო ჯილდოებით აღინიშნებოდა. ა. ნ. ინაურს ვადაშლედ მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება, შემდეგ კი პოლკოვნიკისა.

იმდროინდელ ერთ-ერთ საგაზეთო ცნობაში ნათქვამი იყო, რომ „სახელი მოიხვეჭა მამაცი მაიორის ინაურის პოლკმა. დღეს მან ოცდაშვიდრთე შეტევა წამოიწყო“. ამ სტრიქონებმა შთაგონა გიორგი ლეონიძეს ლექსი, რომელიც აქ მოგვყავს:

„ომგადახდილო მხედარო,  
ქებად არ გინდა ქალებმა,  
ტყვიის წინ მკერდი გიჭირავს,  
გული არ შეგიქანდება.

მეოცდარედ გადახვალ  
გადეწებული მწკრივითა,  
მტერს შენზე მოიერიშეს  
მობერთყავ ფუტკარივითა...

დამძვრებელსო, გამტეხსო,  
მწვავსო ღვარის და ქარისა,  
გორელ ქალის რმით ნაწოვსო,  
გაზრდილო ლიახვ-მტკვარისა.

დედა პირკოცნას გიგზავნის,  
მოკითხვას — შენი ქვეყანა,  
ლექსს ვატან ქართლის ნიავეს,  
თუ სადმე შემოგაყურა“.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მატია-ნეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ელექციის ოპერაციას, რომელშიც მონაწილეობდა მესამე საკავალერიო დივიზია და მისი 99 პოლკი. ეს იყო 1941 წლის 6-16 დეკემბერს. (ამ ოპერაციაში სსსრ-ის დასავლეთ ფრონტის მარჯვენა ფრთას საშუალება მისცა თითქმის 100 კილომეტრით წაწეულიყო წინ, მოესპო ელექციის შვირილი, გარემომოტყუებოდა, შემდეგ კი მოესპო მტრის ორი დივიზია, სასტიკი დამარცხება მიეყენებინა გერმანელი ფაშისტების მეორე არმიის ჯარებისათვის.

მხედრული მამაცობისა და გმირობისათვის გ. ი. კოტოვსკის სახელობის მესამე საკავალერიო დივიზია გარდაიქმნა მეხუთე გვარდიულ საკავალერიო დივიზიად. ცვლილება მოხდა ა. ნ. ინაურის პირად ცხოვრებაშიც. 1941 წლის დამლევს იგი დააწინაურეს. გენერალ ა. ა. გრეჩოსაგან მან მიიღო 84-ე ცალკე საკავალერიო დივიზიის

სარდლობა. მთელი თავისი წარსული საბრძოლო მოღვაწეობით იგი მომზადებული იყო ამ დიდი და პასუხსაგები თანამდებობისათვის. ათ თვეს მეთაურობდა პოლკოვნიკი ინაური 84-ე საკავალერიო დივიზიას. ამ ხნის მანძილზე ბევრი მძიმე ბრძოლა გადაიხადა ისეთ მოწინააღმდეგეთან, რომელსაც ჭარბი ძალები ჰყავდა. ზოგიერთ ამ ეპიზოდს იგონებს ცნობილი სამხედრო მხედართმთავარი, არმიის გენერალი ნიკოლოზ გიორგის ძე ლიაშჩენკო თავის წიგნში „მარაში გატარებული წლები“, აგრეთვე სხვა პუბლიკაციებში.

ნიკოლოზ გიორგი ძე გვიამბობს, თუ როგორ მოხვდა 1942 წლის მაისში ბრძოლებით დაქანცული მისი დივიზია მტრის ღრმა ზურგში, გაშლილ ადგილას, უტყვიანაშალოდ და უსურსათოდ. ამ მდგომარეობიდან იხსნა ა. ინაურის დივიზიასთან შეხვედრამ. გაერთიანებული ძალებით მათ თავი დააღწიეს მტრის გარემოცვას.

გენერალი ლიაშჩენკო ომის შემდეგ ხშირად შეხვედრია ა. ნ. ინაურს, ისინი ერთად სწავლობდნენ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიაში. ზემოთ აღწერილ ეპიზოდს იგი ყოველთვის თბილად და ერთგვარი აღელვებით ჰყვებოდა ხოლმე.

84-ე საკავალერიო დივიზიას ა. ნ. ინაურის მეთაურობით მოუხდა მძიმე და დამაბული ბრძოლები უკრაინის სტეპებში, ჩრდილო კავკასიის მთების მისადგომებთან. ამ გზაზე დივიზიამ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიაყენა. ალექსი ინაური, როგორც ყოველთვის, მოწინავე პოზიციებზე იყო, ბრძოლის შუაგულში. იგი უშუალოდ მიუძღოდა იერიშებზე თავის მხედრებს. ერთ-ერთი ასეთი შეტაკება მტერთან აღწერილია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1942 წლის 1 ივნისის ცნობაში: „ამხ. ამხ. ინაურის და პერეგრესტივის საკავალერიო მხვერავთა ჯგუფი (სამხრეთი ფრონტი) მოულოდნელი დარტყმით სოლოვით შეიჭრა მტრის თავდაცვის განლაგებაში. გერმანელები მთელი დღე ცდილობდნენ აღედგინათ მდგომარეობა, რამდენჯერმე წამოიწყეს კონტრშეტევა; მაგრამ მას წარმატება არ მოჰყოლია. ჩვენი კავალერიისტები გამაგრდნენ აღებულ მიჯნაზე, მოიგერიეს კონტრშეტევა და 200 მიტლერელი გაანადგურეს“.

არაერთხელ ყოფილა საშიშ ვითარებაში, ხშირად გაუფლია მამაცი მეთაურის ახლოს ტყვიას, ჭურვისა და ნაღვის ნაშხსვრევს, მაგრამ სამხედრო ოსტატობის, გაწვრთნილობისა



და ბედის წყალობით იგი ყოველთვის უვნებელი რჩებოდა. თუმცა იყო კრიზისული სიტუაციებიც. ერთხელ კინაღამ კლანჭებში ჩაუვარდა მტრს. გვიან ღამით რამდენიმე მეთაურთან ერთად ერთ-ერთი პოლიციდან თავის შტაბში ბრუნდებოდა. მოკლევადიანად უსულიყვენ გადაწყვიტეს გაველოთ უკრაინის სოფელი, რომელიც ღრმა ძილს მისცენოდა. როგორც კი სოფელში შევიდნენ, გერმანული ლაპარაკი შემოესმათ. ცხენები შემოაბრუნეს და უკან გაქუსლეს. მხოლოდ დილით დაბრუნდნენ გაქაფული ცხენებით თავის განლაგებაში.

1942 წლის ნოემბერში ა. ი. ინაური გადაიყვანეს ირანში და ამიერკავკასიის ფრონტის მე-15 საკავალერიო კორპუსის 1-ლი საკავალერიო დივიზიის მეთაურად დანიშნეს. ჩვენი ჯარები ირანში 1941 წლის 25 აგვისტოს შეიყვანეს ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის. ამ აქტმა ხელი შეუშალა პიტლერულ გერმანიას ჩაება ირანი სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში, განამტკიცა ჩვენი ქვეყნის სამხრეთის საზღვრის უშიშროება.

1942 წლის ნოემბერში ა. ნ. ინაური შესაძლებლობა მიეცა მოკლე ხნით ჩასულიყო გორში, მოენახულდინა და დაეკოცნა შშობლები, მეუღლე, ახლობლები. და, რაც მთავარია, ენახა თავისი პირშუო, რომელსაც მუპატივსაცემად ალექსი ღაბაშვილიც მოგვიანებით დაიბადა მეორე ვაჟიშვილიც — გია.

ირანში ა. ნ. ინაური მსახურობდა დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. ფრონტზე მიღებული გამოცდილება მას დაეხმარა ამდღებინა დივიზიის საბრძოლო მზადყოფნა, დაერაშა პირადი შემადგენლობა დასახული ამოცანების სანიმუშოდ შესრულებინასათვის.

1948 წლის დამლევს დივიზია მისთვის მიჩენილ უბნებზე და რაიონებში უზრუნველყოფდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სამი მოკავშირე სახელმწიფოს მეთაურების თერანის კონფერენციის უშიშროებას.

ცნობილია, რომ პიტლერული სექცისმსახურები ირანში გზავნიდნენ თავიანთ აგენტებს ქაშუშობის, დივერსიების და ტერორისტული აქტების მოწყობის მიზნით, მაგრამ ვერაფერს ვახდენენ, ვინაიდან მათ გზას უღობავდნენ საბჭოთა კონტრდაზვერვა და ჩვენი სახელუფროსი მეომრები.

ა. ნ. ინაურის დამსახურებამ სარდლობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1944 წლის აგვისტოში მას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

როგორც თავრიზის სამხედრო გარნიზონის უფროსს, ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურს უხდებოდა ათასგვარი სხვადასხვა მოვალეობის შესრულება. ინაურის მხედრებმა ირანელთა მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურეს, ვინაიდან ისინი არა მარტო იცავდნენ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს არამედ ეხმარებოდნენ კიდევ მეზობელ ხალხს დაენახა თავისი მომავალი განვითარების გზა, დაეძლია შინაგანი რეაქცია, გამოეშკარავებინა მისი მშავკრული მიზნები.

ირანის მშრომლები დიდი ინტერესით აღვივებდნენ თვალს თავრიზში განლაგებულ საბჭოთა შეიარაღებულ ძალთა ნაწილების სამხედრო პარადს, რომელიც გაიმართა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად. პარადს, რომელიც მიიღო გენერალ-ლეიტენანტმა ვ. გაიდუკოვმა, სარდლობდა გენერალ-მაიორი ა. ინაური.


კავალერიის ნაწილები, რომლებსაც ომის დროს მეთაურობდა გენერალი ინაური, პირნათლად იხდიდნენ თავის ვალს, სანიმუშოდ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. მათ ღირსეული წვლილი შეიტანეს ვერაჯი მტრის განადგურებაში, საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამორულ ეპოპეაში.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ალექსი ნიკოლოზის ძე სამშობლოში დაბრუნდა. იგი როგორც პერსპექტიული გენერალი სასწავლებლად გაიგზავნა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიაში. შემდეგ 1958 წლამდე კი მსახურობდა იმიერკარპატის სამხედრო ოლქში.

1958 წელს ალექსი ნიკოლოზის ძე დაინიშნა უაღრესად საპასუხისმგებლო სამუშაოზე საქართველოში. თავისი მოღვაწეობის ახალ ასპარეზზე იგი უნარიანად იყენებს დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ზემოთ ითქვა, რომ ა. ინაური დიდი სამამულო ომის დროს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის იჩენდა საზრიანობას, ვაჟკაცობას, გამირობას, სიმტკიცეს. ამ თვისებებმა ახალ პირობებში გაგრძელება და განვითარება პოვა. ყველანი, ვისაც ოდენიმე უმუშავია, ან დღეს მუშაობს გენერალ ინაურთან, თვალნათლივ ხედავენ და გრძობენ ამ თვისებებს, მაგალითს იღებენ მისგან. წინამდებარე წერილი ალექსი ინაურის მოღვაწეობის ომის პერიოდს ეძღვნება. ამის გამო არ არის იმის შესაძლებლობა, რომ





კონკრეტული ფაქტებით ვუჩვენოთ მკითხველს მისი როგორც ჩეკისტის საქმიანობა. დანტერესებული მკითხველი მალე მიიღებს წიგნს, რომელშიც მოთხრობილია საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უკომპრომისო ბრძოლების ეპიზოდები. ამ წიგნში-რომლის სათაურია „საიმედო ფარი, ბასრი მანვილი“, მკითხველი გაეცნობა ჩეკისტების ზოგიერთ ოპერაციას, რომელიც განხორციელდა ა. ნ. ინაურის ხელმძღვანელობით. მას გამოსცემს „საბჭოთა საქართველო“.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს თხუთმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. მან ბევრი რა-ვაკეთა იმ შესანიშნავი ტრადიციების განვითარებისათვის, რომელსაც ვ. ი. ლენინის ბრძნული რჩევით საფუძველი ჩაუყარა ფ. ე. ძერჟინსკიმ. ამჟამად ამ ხაზს კვლავინდებურად მტკიცედ ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამს. ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრაკოვი.

იური ვლადიმერის ძე მუდამ მოითხოვდა ჩეკისტებისაგან განუხრედალ დაეცვათ პარტიული ქცევის ყველა ნორმა და თვითონ უჩვენებდა ყველას ამის მაგალითს. იგი ავალეებდა თითოეულ ჩეკისტს უმკაცრესად დაეცვათ კანონი და კანონიერება. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მოთხოვნას მუდამ მტკიცედ უჭერს მხარს და ახორციელებს ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური. იგი ხშირად ამბობს: „ჩვენი ქვეყნის ყველა მტერმა გარდაუვლად უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე თავისი ძირგამომთხრელი საქმიანო-

ბისათვის, მაგრამ არც ერთი უდანაშაულო პირი არ უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში“. ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური მუდამ მტკიცედ იცავს სოციალისტური კანონიერების ამ ფუძემდებლურ პრინციპს და ამასვე მოითხოვს საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყველა პასუხისმგებელი და ოპერატიული მუშაკისაგან.

სამხედრო წრეებში, გამხედლობა ეხმარება გენერალ ინაურს იმუშაოს დაძაბულად, ზოგჯერ მეტისმეტი დატვირთვითაც. სამხედრო სამსახურში მიაჩვია იგი წესრიგს, სიზუსტეს, დისციპლინას და ეს თვისებები ყოველთვის ეხმარება მას კოლექტივის ხელმძღვანელობასა და აღწერაში.

ახასიათებდა რა ა. ნ. ინაურს, ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ თქვა: „თქვენი პარტიული პრინციპულობა, დაუცხრომელი ენერჯია, ცხოვრებისეული გამოცდილება, მაღალი სულიერი თვისებები წაათლად ჩანს ყველა იმ საქმეში, რომელსაც თქვენ პარტია განდობთ“.

საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. ინაური ორმოცდაათ წელზე მეტია მწყობრშია. ის არის სსრ კავშირისა და მოქმე სოციალისტური ქვეყნების ორმოცდასამი ორდენისა და მედლის კავალერი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რვა მოწვევის დეპუტატი, ბოლო შვიდი სკკპ ყრილობის დელეგატი. იგი დღესაც ენერჯიით არის აღსავსე, მზად არის კვლავაც ერთგულად ემსახუროს საშობლოს, ლენინის პარტიას.

ო. ბენიძე.





## გენერალ-ლეიტენანტი გ. თ. კარანაძე

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ვეტერანებს კარგად ახსოვთ ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ თეოფილეს ძე კარანაძე, რომელიც წლების მანძილზე (1943-1951 წ. წ.) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდა. ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე გ. თ. კარანაძე იატაკქვეშეთში იწყებს საქმიანობას. პირველ ხანებში კომკავშირულ, ხოლო შემდეგ კომუნისტურ უჯრედებში. 1924 წელს მენშევიკური ავანტიურის პერიოდში იგი ხელში ჩაუვარდა გამოსვლის მონაწილეებს. საველე სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა. სიკვდილს სასწაულებრივ გადარჩა. სასჯელის სისრულეში მოყვანამდე იგი გაანთავისუფლა რაჭის კომუნართა რაზმმა წითელი არმიის ნაწილებთან ერთად.



სამი სახელმწიფოს მეთაურთა პოტსდამის შეხვედრაზე.

მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე გ. თ. კარანაძე.

გ. თ. კარანაძე 1921 წლის დამლევიდან კომკავშირულ სამუშაოზეა. შემდეგ პარტია მას აგზავნის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებში. 1930 წლიდან გ. კარანაძეს თანმიმდევრულად ირჩევენ საქართველოს კომპარტიის გურჯაანის, ყარაიაზის, თბილისის 26 კომისრის, სტალინის სახელობის, შემდეგ კი სიღნაღის რაიკომის პირველ მდივნად. 1938 წელს მას კვლავ აბრუნებენ სამუშაოდ შინაგან საქმეთა ორგანოებში.





გ. თ. კარანაძე დაჯილდოებული იყო 17 ორდენითა და მედლით. ვაჭვეყნებთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანის, პოლკოვნიკ ი. გ. დადიანის მოგონებას გ. თ. კარანაძის შესახებ.

უკვე 85 წელს გადავაბიჯე, საქმოდ ხანდაწმული ვარ და მოვალედ ვთვლი თავს დღეს, ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების 40 წლისთავის, ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის წინ გაგიწიაროთ მოგონება კაცზე, რომლის გვერდითაც მომიხდა მუშაობა დაახლოებით 10 წლის მანძილზე. ამასთან ჩემი, როგორც სამდივნოს უფროსის, სამსახურებრივი მოვალეობის გამო მე თითქმის მთელ დღეებსა და ღამეებს ვატარებდი მასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს კედლებში, ზმირ მგზავრობებში, ზოგჯერ კი, იშვიათი დასვენების უამს, შინაც.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ სინდისის ქენჯნასაც კი ვგრძნობ იმის გამო, რომ ეს ადრე ვერ მოვახერხე, ასაკთან ერთად ხომ მესხიერებაც იბინდება და მრავალი დეტალი დავიწყების ბურუსშია გახვეული.

ჭეშმარიტი კმაყოფილება განმაცდევინა ყირიმის იატაკქვეშეთის პარტიზანთა ბიუროს დოკუმენტებში წაკითხულმა ერთმა ცნობამ: „გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ თეოფილეს ძე კარანაძე ცნობილია როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლების მონაწილე, კომკავშირული და პარტიული მოღვაწე, დამსახურებული ჩეკისტი, სევისტაპოლის და ქერჩის გამორული დაცვის, ყირიმისა და ყირიმის იატაკქვეშეთის პარტიზანული მოძრაობის ორგანიზატორი“.

მე კიდევ დაუბრუნდები გრიგოლ კარანაძის მოღვაწეობას ყირიმში, სადაც 1948 წლიდან იგი მუშაობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე. გაცუბას იწვევს ის ენერჯა და ორგანიზატორული ნიჭი, რომელთა მეოხეებითაც მან თავისი მხრებით ზიდა ურთულესი ამოცანის — ყირიმში იატაკქვეშეთის პარტიზანული რაზმების შექმნისა და კონტრევოლუციური ნაძირალების განადგურების მთელი სიმძიმე ომის პირველი თვეების არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში.

დღეს უნებლიედ აღვთოვანება ვიპყრობს ბატონი გრიგოლის იმ მომხიბვლელი უბრალოების გამო, რომელსაც იგი უტყვლელად ამუშავებდა მოგვიანებით ყოფილ თანამებრძოლთან საუბრისას. ჩვენი თავშეყრის დროს იმ შრისხანე, ქარცეცხლიანი დროის გახსენებისას იგი მოკლე თავშეკავებული რეპლიკებით კმაყოფილდებოდა, რომლებიც სრულიად მოკლებული იყო ყოველგვარ პათოსს.

მოკლე დროის მანძილზე, 1948 წლის მაისამდე, გ. კარანაძე მუშაობდა დაღესტნის ასს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო იმავე წლის ივნისიდან — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. იმავე დროიდან მე შეეკავა სამდივნოს უფროსის თანამდებობა და, ცხადია, მკიდრო ურთიერთობა შეკონდა მასთან, რაც საშუალებას მამდევს შევიცადო რელიეფურად და ყოველმხრივ წარმოვაჩინო გრიგოლ კარანაძის, როგორც პიროვნებისა და ხელმძღვანელის სახე.

იმ წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში საქმოდ მრავალრიცხოვანი და მეგობრული ინტერნაციონალური კოლექტივი მუშაობდა, რომელშიც შედიოდნენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები.

აქვე საჭიროა გავისხნოთ, რომ იმ წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო ფუნქციურად თავისი სტრუქტურის მიხედვით ახლანდელზე ფართო იყო. მის სისტემაში მაშინ შედიოდა: სასაზღვრო ზარების, გზატკეცილების, სამხედრო ტყვეების, სახელმწიფო არქივის, სამხედრო აეროდრომების მშენებლობის სამმართველოები, განსაკუთრებული განყოფილება. ერთ ერთ ძირითად სამსახურს შეადგენდა ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილება, რომელიც ომის პირობებში მათ წინააღმდეგ ბრძოლასაც ახორციელებდა. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ახლა, მაშინაც შინაგან საქმეთა სამინისტროს უშინაშენელოვანეს ფუნქციას შეადგენდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვა მილიციის ორგანოების ძალებითა და საშუალებებით. სწორედ ამიტომ იყო მილიციის სამმართველოს უფროსი ერთდროულად მინისტრის პირველი მოადგილეც.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ საშაერო თავდაცვის მომზადება და, კერძოდ, მტრის თვითმფრინავების დროული აღმოჩენა ასევე განეკუთვნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებს, და ეს საქმიანობა სულ უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული ხდებოდა იმასთან დავკავშირებით, რომ მოწინააღმდეგე საქართველოს ტერიტორიაზე გზავნიდა ჯაშუშებისა და დივერსანტების საპარაშუტო ჯგუფებს.

არანაკლებ პასუხსაგები იყო მუშაობა იმ საზღვრისპირა რაიონებში, სადაც შეიმჩნეოდა



1808/1

ზანდითურ ფორმირებათა და, საერთოდ, სისხლის სამართლის დანაშაულობათა აქტივობაცო.

რესპუბლიკის ოპერატიული მდგომარეობის სირთულე, ერთი მხრივ, და სამუშაოს ფართო დიპაზონი, მეორე მხრივ, მოითხოვდა ძალთა უკიდურეს დაძაბვას, ტერიტორიული ორგანოების მუშაობისადმი სისტემატიური კონტროლისა და უშუალო ხელმძღვანელობის განხორციელებას. ეს კი თავის მხრივ მოითხოვდა გამუდმებულ და ხანგრძლივ ვასვლას ადგილებზე. და თუმცა ამხანაგ გრივად კარანაძეს ჰყავდა დარგობრივი თანაშემწეები, თავისი ხასიათისა და აქტიური მოღვაწეობის დაუოკებელი წყურვილის გამო იგი მეტად ტაქტიკურად ეხმარებოდა მათ. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ გრივად კარანაძე ფენომენალური შრომისუნარიანობის პატრონი იყო.

გ. კარანაძის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალული იყო ურყევი ბოლშევიკური პარტიულობით. ეს თვისება მთელ მის ყოველდღიურ საქმიანობაში ვლინდებოდა. იგი ყოველთვის გამომდინარეობდა მის მიერ მკაცრად დაცული პრინციპიდან — ნაკლოვანებათა, გადაცდენათა და შეცდომათა წინააღმდეგ ჯანსაღი, უკომპრომისო კრიტიკის გაშლა და ამხვე დროს თანაშრომელთათვის ყველა პირობის შექმნა მათი ინიციატივის გამოსავლენად, რომელსაც იგი ძალიან აფასებდა და ყოველნაირად ახალისებდა. გადაწყვეტილებათა მიღებისას იგი ეყრდნობოდა ყველაზე ფართო კოლექტიურობას, რომლის დაცვა კი შესაძლებელი იყო ერთმმართველობისა და ოპერატიული მუშაობის სპეციფიკურ ჩარჩოებში. ამავე დროს იგი თვითკრიტიკული იყო, ვერ ეგუებოდა მლიქვნელობას, მამბებლობასა და ბიუროკრატიულს, დაუნდობლად ებრძოდა მათს გამოვლინებებს.

ბატონი გრივადი გამოირჩეოდა თავისი ინტელიგენტობით, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ადამიანებთან დამოკიდებულებაში. კეთილმოსურნე, სათუთი და გულისხმიერი — ასეთი იყო მუდამ, ასეთს ვხედავდით მას ყოველდღე.

რა თქმა უნდა, ხასიათის ეს თვისებები საკუთარ თავზე მისი გულმოდგინე მუშაობისა და აგრეთვე მისი პარტიული მოღვაწეობის შედეგი იყო. მისი ცხოვრების გზა იოლი არ ყოფილა.

პარტიულ ორგანოებში მუშაობისას შეძენილმა პრაქტიკულმა და იდეურმა ჩვევებმა წარუშლელი კვალი დააჩნია კარანაძის მთელ პიროვნებას, როგორც დიდად ჰუმანურ და

დემოკრატიულ ადამიანს, როგორც ესოდენ პასუხსაგები სამინისტროს ხელმძღვანელს.

მე უკვე შევიხე მის უკომპრომისობას მოქმედებებსა და საქციელში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იგი გამოირჩეოდა აგრეთვე უმწიკვლო პატიოსნებით, უფურიგებლობით ნაკლოვანებებისა და მათი მატარებლების, იმ უპატიოსნო მუშაებისადმი, რომელთა მიმართ იგი არავითარ შედეგათს არ უშვებდა.


ამ პოსტზე მუშაობისას გ. კარანაძე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ სხვებთან ერთად დანიშნა განსაკუთრებით უფლებამოსილ წარმომადგენლად ამიერკავკასიის ფრონტზე. უნდა ითქვას, რომ იმ თვეებში დივიზია „ედელვანისის“ მთის ქვეგანაყოფებმა ფართო საბრძოლო ოპერაციები განავითარა კავკასიონის მთავარი ქედის ძირითადი უღელტეხილების დასაპყრობად. ისინი მცირე ჯგუფებად გადადიოდნენ უღელტეხილს ბილიკებისა და თოვლიანი, მთიანი მასივების გავლით.

და აქაც მთელი თავისი სიღრმით გამოვლინდა გ. კარანაძის ორგანიზატორული ნიჭი. ამინდის არაჩვეულებრივად მკაცრ პირობებში მან სსრკ-ის საზოგადოება „დინამოს“ (რომლის თავმჯდომარეც უცვლელად იყო გ. კარანაძე) სამო-სათხილამურო პუნქტების ბაზაზე უმოკლეს დროში ჩამოაყალიბა სპეციალური მოძრავი რაზმები, რომლებსაც სასწრაფოდ აშაადებდნენ მობილიზებული ინსტრუქტორები ადგილობრივი მოსახლეობის, უპირატესად სვანების აქტიური დახმარებით. ეს რაზმები მეტად ეფექტიან წინააღმდეგობას უწევდნენ ფაშისტ დამპყრობლებს, ვიდრე არ განხორციელდა სახელგონი შეხდართ-მთავრის ლესელიძის 46-ე არმიის ცნობილი ოპერაციები ქლუხორის, მარუხის, სანჭაროს უღელტეხილების დასაცავად.

გრივად კარანაძე არაჩვეულებრივი თავმდაბლობით გამოირჩეოდა და ხასიათის ეს თვისება განსაკუთრებულ მიზმიდველობას მატებდა მთელ მის პიროვნებას. იგი უბრალო და თავზაიანი იყო ხელქვეითებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში, მაგრამ ეს ურთიერთობა არასოდეს გადაზრდილა „ძმანიჭობაში“ და იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვების სურვილში; არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას ხმა აემაღლებინოს დამნაშავეს მიმართ. მხოლოდ ის იყო, რომ ასეთ შემთხვევებში მისი მეტყველება ხდებოდა მკაცრი, ძუნწი და შთაბეჭდავი, იგი შენაიშნავად ფლობდა თავისი მეტყველების მდიდარ ინტონაციურ შესაძლებლობებს, რაც განსაკუთრებით მკვეთრად იჩენდა თავს ოპერატიულ

ბაქ. სსრ კ. მარტოის  
სახ. სახ. ნესბუბე





თათბირებზე, პარტიულ კრებებზე მისი გამოხვედრების დროს. იგი ძალიან იშვიათად თუ მიმართავდა „შენობით“ თვით თანამდებობრივად მასთან ძალიან დაახლოებულ პირებს არასამსახურებრივ გარემოშიც კი.

უკვე აღვნიშნე, რომ გ. კარანაძეს ახსიათებდა ფენომენალური შრომისუნარიანობა, გეგონებოდათ, რომ მას არასოდეს ეძინა და არასოდეს ისვენებდა.

რა თქმა უნდა, მასაც ჰქონდა უკიდურესი გადაღლის წუთები. მაშინ იგი თავს უფლებას აძლევდა მცირე დროით ყოფილიყო თავდავიწყებული მონადირე და მეთევზე. სწორედ ამ იშვიათ საათებში ისვენებდა ხოლმე. მრავალრიცხოვან, რთულ და პასუხსაკებ მოვალეობებთან დაკავშირებული გამუდმებული ნერვული დაძაბულობიდან თავის დაღწევა სრულიად გამართლებული და აუცილებელი იყო. ასე იკრებდა იგი ძალას და შემდეგ კვლავ ემზადებოდა დაძაბულ მუშაობაში.

თუმცა ძალზე მოუცილებელი იყო, მაგრამ იგი დიდ დროს უთმობდა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებათა უმრავლესობას პირადად ვანაწილებდი შემსრულებლებს შორის, გ. კარანაძე თხოულობდა, რომ მათ შორის ყველაზე სერიოზულები (სერიოზული საქმეები) პირადად მისთვის მოგვეხსენებინა. იგი არ კმაყოფილებოდა მოკლე ანოტაციებით, ყურადღებით ეცნობოდა საქმეს და იგრძნობდა თუ არა „სულის ნაშვლი ძახილი“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, სწრაფად, ოპერატიულად რეაგირებდა საჩივრებზე.

გ. კარანაძე კარგად იცნობდა სამინისტროს აპარატისა და პერიფერიების ორგანოების მრავალრიცხოვან კოლექტივს. მაგონდება ერთი მისთვის ჩვეული ფაქტი. მისი მოთხოვნით, ყოველი ახალი საქმე მისთვის უნდა მოეხსენებინა სამმართველოს ან განყოფილების უფროსს, მაგრამ უსათუოდ იმ თანამშრომლის თანდასწრებით, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა ეს საქმე. მოხდა ისე, რომ ერთხელ მის შევითხვავზე — სად არის ესა და ეს? — უპასუხეს — ავად არისო. გ. კარანაძე შეწუხდა და იმავე წაშს დამავალა გამეგო ყველაფერი იმ თანამშრომლის შესახებ. თურმე იგი, გარდა იმისა, რომ ავად იყო, უბინაობის გამო თავისი ცოლ-შვილით თანამშრომლის ბინაში ცხოვრობდა. გ. კარანაძემ გასცა განკარგულება, სასწრაფოდ გამოეყოთ ფულადი დახმარება ავადმყოფისათვის და უზრუნველყოთ ბინით. სამეურნეო სამმართველოს უფროსს აპრიაშოვს საქმეოდ გაუძენდა

ამ საქმის მოგვარება, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს საბინაო ფონდი უზღულდული იყო და, გარდა ამისა, ეს ის წლები გახლდათ, როცა თბილისში ბევრი ევაკუირებული ოჯახი შეიხივნა უკრაინიდან, ყირიმიდან, ჩრდილოეთ კავასიიდან და სხვა ადგილებიდან, რომლებიც ფაშისტ ოკუპანტებს ჰქონდათ დაკავებული. და მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შესაძლებელი გახდა ავადმყოფის ბინით დაკმაყოფილება.

თანამშრომლებისადმი მისი გულწრფელი, მზრუნველი დამოკიდებულების გამოხატაველი ბევრი ფაქტის გახსენება შეიძლება. გულუხვი იყო იგი ფულადი დახმარების დროს, ვინაიდან კარგად ესმოდა მატერიალურად გაჭირვებული თანამშრომლების მდგომარეობა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. კარანაძე ბევრ დროს უთმობდა პირადი შემადგენლობის მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეს. მას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ შეიქმნა მთელი რიგი დამხმარე მეურნეობები, რომელთა პროდუქცია ემატებოდა ომისდროინდელ შეზღუდულ ულუფას.

ამ ღონისძიებების უფრო წარმატებით განხორციელებისათვის კარანაძემ მიაღწია იმას, რომ დაუშვეს მინისტრის მოადგილის შტატი სამეურნეო დარგში.

ისევ ვუბრუნდები გ. კარანაძის მოღვაწეობას ომის პირველ თვეებში, როცა ის ყირიშის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო. გ. კარანაძის ბევრი ევაკუირებული თანამშრომლის ნაშობიდან ვიცი, რომ სკპ (ბ) ყირიშის საოლქო კომიტეტის დავალებით, რომლის წევრიც გახლდათ იგი, ბატონი გრიგოლი პირადად უზრუნველყოფდა ადგილობრივ ქარხნებსა და ფაბრიკებში ისეთი სწრაფი და ხარისხიანი სამხედრო პროდუქციის გამოშვებას, როგორც არის ფეთქებადი სითხე ტანკებთან საბრძოლველად, სამხედრო ტანსაცმელი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. მაგრამ ყველაზე პასუხსაკები სამუშაო მაინც იმ გახლდათ, რომ მან უხელმძღვანელა ოპერატიულ ღონისძიებას — იტაკქვეშელო მტრის ლიკვიდაციას, ვინაიდან იმ მძიმე დღეებში აქტიურად დაიწყო გამოსვლა ყირიშის მოსახლეობაში შემორჩენილმა კონტრევოლუციამ. ამ პირობებში აუცილებელი იყო დაკვირვებისა და შემტევი სიფხილის მაქსიმუმის გამოჩენა, რათა დაეცვათ მათ მიერ ფორმირებული პარტიზანული რაზმები გამცემლების, მხალეებისა და პანიკორებისაგან. გ. კარანაძემ ამ დავალებასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი.



საქართველოს ოპერატიული ვითარება სახარბიელო არ იყო. საქმე ის გახლდათ, რომ წითელ არმიასი გაიწვიეს მილიციის მთელი რიგითი შემადგენლობა. მათ ნაცვლად მილიცია ივსებოდა ასაკოვანი ხალხით (პირები, რომლებიც ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს იყვნენ მიწერილები ან აღრიცხვავი აყვანილნი). ამის შედეგად თბილისსა და სხვა ქალაქებში მილიციის რიგების კონტინგენტი სუსტი იყო, საეჭვო ჩანდა მათი ბრძოლისუნარიანობაც. ასეთი ძალებით მშრომელების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სულ უფრო ძნელი ხდებოდა. ამას თუ დავუმატებთ, რომ დამნაშავეები გააქტიურდნენ, ოპერატიული ვითარება საკმაოდ არადამაკმაყოფილებელი გახლდათ.

ამ პირობებშიც გამოჩნდა გ. კარანაძისა და მილიციის ხაზით მისი მოადგილის, აწგარდაცვლილი კ. ნაჭყეაბის ორგანიზატორული ნიჭი. მათ დიდი ძალისხმევა დაჰბირდათ იმისათვის, რომ რიგითი მილიციონერები შეეცვალებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილის შემოქმედებით, რომლებიც თბილისში იყვნენ დასახლებულნი. გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური პოლიცია გადარჩეული მილიციონერებისაგან, რომელსაც იყენებდნენ მსხვილი ოპერაციებისათვის, ოპერატიული საჭიროებისა და თვით დეზერტირების დაქერისათვის. ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიკოვნიკ ი. ჟღენტის განყოფილებამ ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ომის პერიოდში სახლგარეც არანაკლებ ყურადღებას მოითხოვდა. სახლგარე ბევრი ისეთი საინტერესო საშუალო განხორციელება ოპერატიულმა ჯგუფმა, რომლებიც დამშვენივდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის მატრიანეს.

ერთი ეპიზოდი მაინც უნდა გიამბოთ. გურიასი, კერძოდ, ზემო და ქვემო სურების სოფლსაბჭოში მოქმედებდა ღრმად კონსპირირებული ბანდა, რომელიც მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაუსმარებლად ბანდა ვერ იარსებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში კოლმეურნეები, რომლებიც იფარავდნენ ბანდიტებს, მცირე გამოწკრიპის გარდა, იყვნენ მათი ახლო ნათესავები, და ისინიც მხოლოდ შიშით აკეთებდნენ ამას. ამ საქმის მოსაწესრიგებლად შიავლინის ოპერატიული ჯგუფი, რომელიც გაუმართლებლად აშკარად მოქმედებდა. თა-


ნამშრომლების დისციპლინა მოიკოტლებდა, რის გამოც ბანდა ახერხებდა თავის დამკრენას და განაგრძობდა ქურდობას და ტერორს სოფლის აქტივის წარმომადგენლების მიმართ.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელი ხდებოდა. გ. კარანაძე მორიგი მივლინებიდან დაბრუნდა და, გაიგო რა ოპერატიული წარუმატებლობის ამბავი, განრისხდა. ასეთი მე არასდროს მინახავს. იგი მკაცრად ელაპარაკა ოპერატიული ხელმძღვანელს, გამოიძახა თბილისში, თვითონ კი, ი. ჟღენტთან და რაშიმს ორ წევრ მოხალისესთან ერთად ინკოგნიტოდ გაემგზავრა დანაშაულის აღილე. მათ უხმაურად, კონსპირაციულად შეძლეს დედგინათ ბანდის მეთაურის საყვარელთან მისვლის დრო; ფრთხილად შემოარტყეს ალყა ქალის სახლს. ეს შეამჩნია თუ არა, ბანდიტმა სროლა ატეხა, და ამ ოპერაციის დროს იგი მოკლეს კიდევ. უმეთაუროდ დარჩენილმა ბანდის წევრებმა და მათმა ხელშემწყობებმა მიიღეს გ. კარანაძის წინადადება და 24 საათის განმავლობაში ჩაბარდნენ. ამგვარად, ზუსტად და სწრაფად განხორციელებული ოპერაციის შედეგად საშიში ბანდა განადგურდა.

არანაკლებ დროსა და ზრუნვას მოითხოვდა სამხედრო ტყვეების სამუშაოდ გამოყენების და მათთან იდეოლოგიური მუშაობის საქმეც, რათა შექმნილიყო ჯგუფები, რომლებიც თანაუგრძობდნენ კომუნისტებს. ამასთან ერთად, წარმოებდა ოპერატიული მუშაობა ესეხელების გამოსაშვარავებლად, რომლებიც მონაწილეობდნენ ებრაელების, სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მხეცური განადგურებაში, აგრეთვე მტრის ჯაშუშებისა და სხვა სპეცოპერაციების თანამშრომლების მხილებისათვის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ფუნქციები ომის პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება — ეს არის უპატრონო ბავშვთა უმეტესადყოფილების ლიკვიდაცია. შინსახკომის სისტემაში ამისათვის შეიქმნა სპეციალური განყოფილება. გ. კარანაძე ჩვეულებრივ ენერგიით შეუდგა ამ აპარატის დაკომპლექტებას. დამახასიათებელია, რომ მან შეძლო ამ საშუალოში ჩაება სპეციალისტები, განთქმული პედაგოგის მაკარენკოს პირველი საბავშვო კომუნების აღზრდილები. გრივად თეოფილეს ძე იყო ნამდვილი ძეგრუნისკელი. იგი პირადად ხელმძღვანელობდა ამ განყოფილების მუშაობას და რეგულარულად ამოწმებდა ამ სისტემაში შემავალი არასრულწლოვან ბავშვთა შრომა-გასწორების კოლონიის საქმეებს. კოლონიაში, იმ მიზნით, რომ შრომის ჩვევები გამოემუშავებინათ ბავშვ-





ბისათვის და გამოეწირებინათ ისინი, შეიქმნა სხვადასხვა საწარმო, მათ შორის განსაკუთრებული ტუმბოების დამამზადებელი, რომელიც ესპირობებოდა სამხედრო წარმოებას.

გ. კარანაძის დაუცხრომელი მოღვაწეობიდან კიდევ ერთი მხარე იქცევს ყურადღებას. წელი ზუსტად არ მახსოვს, მაგნი 1948 იყო, მას დაევალა სუვოროვის პირველი სასწავლებლის ჩამოყალიბება საქართველოში. დღესაც გოცებელი ვარ, როცა ვიგონებ, როგორი ენერჯია და ინტერესი გამოიჩინა მან ამ საქმისადმი. უმოკლეს დროში უნდა შეერჩიათ ადგილი (ქუთაისი), შენობა, ეშვათ სასკოლი ინვენტარი და სხვ., დაეკომპლექტებინათ სასწავლებელი მასწავლებლებითა და აღმზრდელებით, და ბოლოს, სურსათსანოვავის საყოველთაო ნაკლებობის პირობებში უზრუნველყუთ სასწავლებელი პროდუქტებითა და სხვა სახის ნაწარმის დროული მიწოდებით.

გ. კარანაძე პირადად კურირებდა ამ სასწავლებელს, რომელშიც ძირითადად ომში დაღუპული წითელარმიელების, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა შვილები სწავლობდნენ.

გ. კარანაძის მჩქეფარე მუშაობის სრული სურათის შესაქმნელად საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის ტემპისა და ხარისხისათვის პირადად მას ეკისრებოდა. ეს დავალებაც ღირსეულად, ბოლშევიკური სინდისიერებით, თავდაუზოგავად შეასრულა.

გ. კარანაძეს შესაშური ანალიტიკური აზროვნება ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ეპიზოდი: 1958 წლის ზაფხულში ყველა შეგავარა მოსკოვიდან თბილისში მომავალი სამოქალაქო თვითმფრინავის გაქრობაში. მგზავრებს შორის იყო ცნობილი მსახიობი ქალი ნატო ვაჩნაძე. ფრენის დაწყების პირველ სტადიაზე სამოქალაქო აეროპორტის დისპეტჩერი რეგულარულად იღებდა ცნობებს მისი ადგილმდებარეობის შესახებ. მაგრამ მიუხედავად თუ არა თვითმფრინავი კავკასიონის ქედს, კავშირი უეცრად შეწყდა. ბოლო შეტყობინებიდან აშკარა იყო, რომ ფრენა ნორმალურად მიმდინარეობდა. გავიღარამდენიმე საათი, დღე მიიწურა, თვითმფრინავი კი არ ჩანდა. სხვადასხვა აზრი შეიქმნა, უწინარესად ფიქრობდნენ, რომ შესაძლო იყო თვითმფრინავი კურსს ასცდენოდა და სახელმწიფო საზღვარზე გადასულიყო. თუმცა მთელი სასაზღვრო კომენდატურები და საგუშაგო კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ არც

სარაღარო დანადგარებით და არც ვიზუალური დაკვირვებით თვითმფრინავის მიერ საზღვრის დარღვევის ფაქტი არ აღნიშნულა. ერთადერთი რჩებოდა, გვეფიქრა, რომ თვითმფრინავი დაიღუპა, მაგრამ მის მოსაძებნად მთავრობის გამოყოფილი სპეცოპოზიის მუშაობა უშედეგო აღმოჩნდა. მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საქმე გ. კარანაძეს დაავალა. კომისიის წევრებთან საუბრის შემდეგ, მან ყველა დაითხოვა და მხოლოდ რადისტ დიტიოვა. მე ვესწრებოდა ამ ამბავს. გ. კარანაძემ გაშალა რუკა და დაიწყო თვითმფრინავის მთელი მოძრაობის აღნიშვნა იმ მომენტამდე, ვიდრე რადიოსიგნალები შეწყდა. მან გამოიანგარიშა თვითმფრინავის სიჩქარე, ჩაფიქრა, მერე კი ფერადი ფანქრით მოხაზა პატარა კვადრეტი, რომელიც დაახლოებით ორი სოფლსაბჭოს ტერიტორიას მოიცავდა და მომიბრუნდა: „თვითმფრინავი დამსხვრა სადღაც ამ კვადრატში, — ეს არც არის გასაკვირი, რადგან ნისლის გამო პილოტი ვერაფერს ხედავდა და შეიძლება ამ კლდეს დასჯახებოდა, — მან რუკაზე მიჩვენა ეს ადგილი, — კოლმეურნეებს უსათუოდ უნდა დაეჩხნათ ყველაფერი“. მაშინვე გასცა ბრძანება გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ. მისი თანმხლები ალიუტანტი ზაზა მაჩაბელი დაბრუნების შემდეგ მიამბობდა, რომ გ. კარანაძე პირადად ესაუბრა სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს და რამდენიმე კოლმეურნეს, რის შემდეგაც დაღუპული თვითმფრინავი ძნელად მისადგომდა და თითქმის მიუვალ მთებში აღმოაჩინეს.

რასაკვირველია, გ. კარანაძისათვის ყველაზე პასუხსაგები, საპატიო და რთული იყო მოკავშირეთა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა მიღლო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების დაცვის ოპერატიულ მომზადებაში თეირანის, იალტისა და პოტლდამის კონფერენციებზე, რომლებმაც ისტორიული როლი შეასრულეს ფაშისტური გერმანიის განადგურებაში, გერმანიის დემილიტარიზაცია-სა და ომის შემდგომი მოწყობის საქმეში.

თეირანში სტალინის პირადი დაცვისათვის გ. კარანაძისთან ერთად გაიგზავნა ბანდიტებსა და კონტრევოლუციონერებთან ბრძოლაში გამოწრთობილი მამაცი ადამიანი კ. ნაჭყეპია. მათ ახლდა დავალებათა შემსრულებელი აწ გარდაცვლილი ვაჟიკიძე (შემდგომში პოლკოვნიკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი). სა-



ხელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ზუსტად დაადგინეს, რომ ჰიტლერელთა აგენტურა თერანში აპირებს სახელმწიფოების მეთაურებზე თავდასხმას, პირველი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი. დაცვაში მუშაობა მოითხოვდა ძალთა მქსნიმალურ დამბვას და სიფხიზლეს. ჰიტლერელთა გეგმამ სრული კრახი განიცადა.

არანაკლებ რთული მდგომარეობა შეიქმნა იალტაში, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც განთავისუფლდა ჰიტლერელებისაგან და სადაც 1944 წლის 11 თებერვალს მიმდინარეობდა კონფერენცია. გ. კარანაძეს დაევალი ჩერჩილის დაცვის უზრუნველყოფა. გამორიცხული არ იყო ჩვენს ტერიტორიაზე დაეტოვებინათ ტერორისტები და დივერსანტები, ეს კი დაცვის ყველაზე მკაცრ ორგანიზაციას მოითხოვდა. ამ დავალებასაც პირნათლად გაართვა თავი გ. კარანაძემ, რისთვისაც დაჯილდოვდა „ბრეტანეთის იმპერიის კომანდორის ორდენით“.

ანალოგიური და რთული სამუშაო იყო პოტსდამის კონფერენციაზეც, სადაც გ. კარანაძე ი. ბ. სტალინის რეზიდენციას იცავდა. პოტსდამში მოზღვადნენ კორესპონდენტები, კინორეპორტიორები, ჟურნალისტები და სხვა კალმოსნები. განსაკუთრებული უცერემონიოობით გამოირჩეოდნენ საზღვარგარეთელი კორესპონდენტები, რომლებიც ცდილობდნენ შეედწიათ ნებადართულად ადგილებში. აქ დასვენებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

შინ დაბრუნებული გ. კარანაძე ამბობდა, არსად ასე არ დავლილვარო და ამის მიუხედავად მაინც წავიდა სანადიროდ. იგი შეურყეველი ჭანჭრთელობის პატრონი იყო. უკანასკნელ ხანს მხოლოდ სმენას უჩიოდა, არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ გრიგოლ თეოფილეს ძეს კოლოსალური ღატვირთვა ჰქონდა პარტიის ხაზითაც; საბჭოთა და საზღვარგარეთის სამუშაოზე.

1981 წლიდან 1940 წლამდე მას ორჩევენსკ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად. ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციამდე, სხვადასხვა დროს იყო სკპ (ბ) უიროშიხა და დაღესტანის

საოლქო კომიტეტის წევრი, შემდეგ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტის წევრი. გარდა ამისა 1937 წლიდან 1954 წლამდე გ. კარანაძე იყო სსრ კავშირის ყველა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოში იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარის პოსტზე, მისი ინიციატივით აშენდა საცურაო აუზი და სხვა სპორტნაგებობანი. იგი პირადად კურირებდა ფეხბურთის გუნდს, როცა მის შემადგენლობაში თავისი აუჯავების პერიოდში თამაშობდა ცნობილი ფორვარდი ბ. პაიჭაძე. გ. კარანაძის ხელშეწყობით „დინამოს“ სისტემაში შეიქმნა სხვადასხვა წარშობება, რომლებიც ამჟამებდნენ სპორტულ ინვენტარს, ფეხსაცმელს და სპეციალურ სპორტულ ტანსაცმელს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სხვა ბევრ დადებით თვისებათაგან აღსანიშნავია მისი დაუშრეტელი ენერჯია. იგი იყო არაჩვეულებრივად მოძრავი, დინამიკური, მუდამ მიზანსწრაფული პირველი რიგისა და ყველაზე სერიოზული საქმეების შესასრულებლად. გამოირჩეოდა საოცარი ოპტიმიზმით, კეთილგონიერებით, შემოქმედებითი ძიებით, რაც ხელს უწყობდა მიეღო ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილება. ეს თვისებები გადამწყვეტ როლს ასრულებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ საქმიანობაში, რომელსაც იგი განაგებდა. სწორედ ამ თვისებების წყალობით იყო, რომ ხლმძღვანელობა მას ყველაზე პასუხსაგებ უბნებს ანდობდა.

1970 წელს უაზრო შემთხვევამ — საავტომობილო კატასტროვამ — ტრაგიკულად იმსხვერპლა კეთილშობილი და მომხიბვლელი პიროვნება გრიგოლ თეოფილეს ძე კარანაძე, რომლის ნათელი ხსოვნის წინაშე თავს ვხრით.

ჩვენ არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ იგი — კაცი, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის, განსაკუთრებით ანაღაზრდა თაობისათვის, არის უმწიკვლო და შეუპოვარი ჩეისტის, კომუნისტისა და მოქალაქის, საბჭოთა სამშობლოს, პარტიის უსაზღვროდ ერთგული ადამიანის ნიმუში.

ი. დადიანი



## უნიკალი ფრონტის წინა ხაზზე

ფართო საზოგადოებრიობა ნაკლებად არის ინფორმირებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის განყოფილების უფროსის, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის, გენერალ-მაიორ ი. ზ. ბესტაევის საქმიანობის შესახებ. იოსებ ჯაქარიას ძეს უფრო იცნობენ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით. იგი არის თბილისის საქალაქო საბჭოს დებუტატი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წევრი და აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.



მკვიდრ თბილისელს, გენერალ-მაიორ ი. ზ. ბესტაევს, მდიდარი ბიოგრაფია აქვს. იგი დაიბადა 1920 წელს ქ. თბილისში. მამა — ჯაქარია სოლომონის ძე მუშა რკინიგზელი, მგზნებარე ბოლშევიკ-ლენინელი იყო, რომელიც პარტიაში შევიდა ლენინური გაწვევით. იოსებმა ბავშვობიდანვე შეისისხლნორცა მამის მრწამსი, პატიოსნება, ვაჟკაცობა, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, სწავლის წლებში გამოირჩეოდა თანატოლთა შორის. ამიტომ იყო, რომ

აირჩიეს თბილისის 45-ე საშუალო სკოლის კომპაგვირის კომიტეტის მდივნად, ხოლო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი კომპაგვირის საგზურით გაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. ეს იყო 1938 წლის ოქტომბერში.

1941 წლის 22 ივნისს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს სამშობლოს. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი. იოსები დაუინებით მოითხოვდა ფრონტზე გაგზავნას, მაგრამ მისი თხოვნა პირველ ხანებში არ იქნა დაკმაყოფილებული.

1942 წელს მძიმე ვითარება შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში. მტერი კავკასიონს მოუახლოვდა. საქართველოში მტრის შემოჭრის რეალური საშიშროება შეიქმნა. 21 წლის იოსებ ბესტაევი ერთ-ერთი ქვეგანყოფილის უფროსად დანიშნეს.

ცნობილია, რომ ფაშისტური გერმანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფართო დივერსიულ-სადაზვერვო, ძირგამომხრებლ მუშაობას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. მას ერთობლივად ეწეოდნენ ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვა (აზვერი), უშიშროების სამსახური (სდ) და სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია (გესტაპო). ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდა დაზვერვის, კონტრდაზვერვის და პოლიციის 180-ზე მეტი ორგანო. გერმანიაში დივერსანტთა და ტერიორისტთა მოსამზადებლად შეიქმნა 60-ზე მეტი სპეციალური სკოლა. მარტო 1942 წელს მათ მოამზადეს 7000-ზე მეტი მზვერავი და 2,5 ათასამდე დივერსანტი და რადისტო.

საბჭოთა კონტრდაზვერვა, მთელი ხალხი თავდადებით იბრძოდნენ მტრის აგენტურის წინააღმდეგ და შეძლეს მათი განადგურება. 1944 წელს ახალგაზრდა კომუნისტი იოსებ ბესტაევი გაიგზავნა დასავლეთ ბელორუსიაში საგანგებო დავალების შესასრულებლად. იმ დროს ბრესტის ოლქში მოქმედებდნენ მტრის აგენტურა, მოღალატეთა ჯგუფები, რომელთა განადგურებაში ჩვენმა თანამემამულემ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ი. ბესტაევი ბრუნდება საქართველოში, ინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსად.

ამ პერიოდში საქართველოშიც მძიმე მდგომარეობა იყო. ყველა ჯურის გარეწრები, ბანდიტები დიდ ზიანს აყენებდნენ მოსახლეობას, სახელმწიფოს. მათ წინააღმდეგ იოსებ ბესტა-



ევის თაოსნობით არაერთი ოპერაცია განხორციელდა. მალე ბანდიტიზმს ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო მოეღო.

30 წლის ასაკში ი. ბესტაევი იგზავნება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში სამუშაოდ, სადაც ცოტა ხანს იმუშავა ცენტრალურ აპარატში, შემდეგ კი უფროსად. ათი წელი გაატარა ი. ბესტაევმა საზღვარზე. აქ სამსახურის დროს ი. ბესტაევმა დაუსწრებლად დაამთავრა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი და მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება.

მალე ნიჭიერი ჩეკისტი იოსებ ბესტაევი დაინიშნა საქართველოს სასაზღვრო ოლქის ხაჯანგებო განყოფილების უფროსად. დიდი გამოცდილების და მაღალი პროფესიული დონის წყალობით მან მალე საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

1965 წელს ი. ბესტაევი დაინიშნეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ხაჯანგებო განყოფილების უფროსად. 1974 წლის 8 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ამ დროისათვის მას კიდევ ერთი დიდი წარმატება — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა დაუსწრებლად.

ამჟამად გამოცდილი ჩეკისტი, სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომელი ი. ბესტაევი კვლავ აღსავსეა ძალითა და ენერჯით, უხვად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდებს, ცდილობს აღზარდოს ჩეკისტების ღირსეული ცვლა.

სამშობლომ სათანადოდ შეაფასა მისი ღვაწლი და დამსახურება ხალხის წინაშე. გენერალ-მაიორი ი. ბესტაევი დაჯილდოებულია ოთხი წითელი ვარსკვლავის ორდენით, „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ III ხარისხის ორდენით და 18 მედლით. ჩვენი თანამემამულე ხუთჯერ იყო დაჯილდოებული სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის სიგელებით, ორჯერ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ჩეკისტები ყოველთვის ფხიზლად არიან. ამ თვისებით გამოირჩევა აგრეთვე ი. ბესტაევი. „სიფხიზლე ყოველთვის იყო ჩვენი მეომრების ბასრი იარაღი სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, — ამბობს იოსებ ბესტაევი, — სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სამხედრო საიდუმლოება ინახება არა მარტო ცეცხლგამძლე კარადებში, სიფხიზლეს უნდა იჩინდეს თითოეული ჩვენგანი. ამერიკელი პრესის მონაცემებით, საჯარო-სადაზვერვო მუშაობისათვის ამ ქვეყნის სპეცსამსახურებს 1985 წელს გამოეყო უზარმაზარი თანხა. დასავლეთის სპეცსამსახურები ცდილობენ გადაიბირონ ზოგიერთი მერყევი საბჭოთა მოქალაქე, დათესონ უნდობლობა ჩამოაგდონ მტრობა საბჭოთა ხალხებს შორის“.

საბჭოთა ხალხის უშიშროების განმტკიცებას ერთგულად ემსახურება ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრი, გენერალ-მაიორი იოსებ ბესტაევი, რომელიც ჩვენი ხალხის უსაფრთხო ცხოვრების ხელშეწყობაშია დასა.

ლევან დოლიძე,

სსრ კავშირის უზრუნველყოფის კავშირის წევრი.



# ოცდაათი წელი სახელრო იუსტიციის სამსახურში

რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ერთ მყუდრო, მცირე ზომის ოთახში მაგიდას უზის უკვე ხანდაზმული, მაგრამ ჭარმაგი კაცი. სამუშაო დღის რომელ მონაკვეთშიც უნდა მოხვდეთ მასთან, ყოველთვის საქმეშია ჩაფლული. ხან ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს, ხან ტელეფონით საუბრობს, ხან ყურადღებით უსმენს მიღებაზე მოსულ მთხოვნელს.

სისტემის მრავალათასიან კოლექტივში თითქმის ყველა იცნობს მას, ვლადიმერ ვასილის პე პაპიტაშვილს, სამინისტროს კოლეგიის წევრს, საორგანიზაციო სამმართველოს უფროსს. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ დიდი სამამულო ომის წლებში პოლკოვნიკმა ვ. პაპიტაშვილმა სიფათით აღსავსე ფრონტული გზა განვლო და მოქმედ არმიის ღირსეულად, ვაჟკაცურად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, როგორც სამხედრო იურისტმა და მოსამართლემ.

ვლადიმერ პაპიტაშვილი დაიბადა 1918 წელს ქ. ტიუმენში, სადაც 1912 წლიდან გადასახლებული იყო მამამისი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვასილ პაპიტაშვილის ოჯახი თბილისში დაბრუნდა. აქ შევიდა ვლადიმერი სკოლაში, ხოლო 1933 წელს კომკავშირის რიგებში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი რუსეთში მიემგზავრება და შედის მოსკოვის იურიდიულ ინსტიტუტში. იქვე 1940 წელს ვ. პაპიტაშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინიშნება საქართველოში, სამხედრო პროკურორის თანაშემწედ, მაგრამ სამუშაოს არ შედგომია, რადგან ომი დაიწყო...

1941 წლის 26 ივნისს ვ. პაპიტაშვილი მიიწვიეს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოში და ჩააბარეს ბრძანება შინაგან საქმეთა ჯარების სამხედრო ტრიბუნალის წევრად დანიშვნის შესახებ, მხოლოდ ომის შემდეგ დადგინდა დოკუმენტურად, რომ მაშინ ჩვენს ქვეყანაში ვ. პაპიტაშვილი ყველაზე ახალგაზრდა სამხედრო მოსამართლე იყო.

ვ. პაპიტაშვილს მოკლედ აუხსნეს, რომ ვითარება მეტად მძიმე იყო და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ, იმავე დღეს გამგზავრებულიყო საზღვართან მოქმედი წითელი არმიის ერთ-ერთ შენაერთში. „ერთი ვაგონით, — იგონებს იგი, — მივემგზავრებოდით 32 იურისტი, რომლებიც შეადგენდნენ ფრონტის სამხედრო იუსტიციის ორგანოთა ძირითად ბირთვს. ჩვენს ჯგუფში



იყო რამდენიმე კაცი შუა აზიიდან, მოსკოველები, ორი — ყაზანიდან, დანარჩენი — ქვეყნის სხვა ოლქებიდან. საქართველოდან მხოლოდ მე ვიყავი. ჩვენ ყველანი ახალგაზრდები ვიყავით, მხიარულები, ვერ წარმოგვედგინა ომის საშინელებანი. ომის შესახებ ჩვენ ვმსჯელობდით წიგნების, ნარკვევებისა და პირველი ცნობების მიხედვით. გავიდა ორი კვირა და 32 ახალგაზრდა მხიარული იურისტიდან მწყობრში დარჩა 14. დანარჩენები ან დაიღუპნენ და ან ჰოსპიტალებში იწვნენ“.

ოცდაათი წელი დაჰყო ვ. პაპიტაშვილმა სამხედრო მოსამართლის საპატიო პოსტზე. მთელი ომი მან მოქმედ არმიასი გაატარა, არაერთხელ უშუალოდ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში. საკმარისია ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე იგი მუშაობდა ან ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის 86 ქალაქში. 1945-1948 წლებში ვ. პაპიტაშვილი თანამიმდევრულად არის შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი, ხოლო შემდეგ კადრების განყოფილების უფროსი. 1948 წელს ინიშნება შორეული აღმოსავლეთის შინსახკომის ჯარების ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილედ. 1953 წლიდან იმერკარპატის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეა, შემდეგ კი ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ვილნიუსის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე. აქედან გადმოიყვანეს ვ. პაპიტაშვილი თბილისის სამხედრო გარნიზონის ტრიბუნალის თავმჯდომარედ. 1969 წელს, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, პოლკოვნიკი ვ. პაპიტაშვილი ასაკის გამო პენსიაზე გავიდა.

ვ. პაპიტაშვილი, ოცზე მეტი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, დღესაც კეთილსინდისიერად შრომობს, მთელ თავის ძალებს ახმარს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეს.

ვ. პაპიტაშვილი მშვენიერი მოსაუბრეა, დაჯილდოებულია ბელეტრისტული ნიჭით, არის ბევრი შრომის, მათ შორის მხატვრული ნაწარმოებების ავტორი. მე ვთხოვე მოეთხრო ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის ომის დროის რამდენიმე ეპიზოდი, რაზედაც პატივცემული ვლადიმერი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

სამხედრო იუსტიციის ოფიცრები ომის წლებში სასახლოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ მტრის განადგურებაში. ისინი საომარ ვითარებაშიც განუზრუნლად იცავდნენ კანონიერებას, ყურადღებით და გულისხმიერად წყვეტდნენ თითოეული ადამიანის ბედს.

ახლა, ოცი წლის შემდეგ, ჩემს თვალწინ ცოცხლდება 1941-1945 წლებში განვლილი გზა, მაგონდება იმ დროის ცალკეული ეპიზოდები.


...ომი ახლად დაწყებული იყო. მტრის ქარბი ძალების მოწოდის გამო ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ, იხევდნენ ორგანიზებულად. მეომრების უმრავლესობისათვის უცხო იყო პანიკა და ლაჩრობა.

მაგრამ ზოგჯერ ვაწყუდებოდით ნერვულობის,

თავდაუპყრობობის გამოვლენის ფაქტებსაც. ზოგიერთ გამოუცდელ ჯარისკაცს რთულ ვითარებაში თავგა ებნეოდა. მხოლოდ ამით შეიძლებოდა აგვეხსნა სამშობლოს წინაშე რიგითი სერგევის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული. იგი არმიასი 1940 წლის დამდეგიდან მსახურობდა. ომმა საზღვარზე მოუსწრო.

...მტრის სატანკო კოლონები განუწყვეტლივ უტევდნენ ჩვენს ნაწილს, მიწა ზანჯარებდა საარტილერიო ჭურვების აფეთქებისაგან. ლტოლვილები აღმოსავლეთისაკენ მობოდნენ უთანასწორო ბრძოლაში... და აი, მტერმა აღუა შემოარტყა. ახალგაზრდა ჯარისკაცს ნერვებმა უღალატა... იგი შეუერთდა ლტოლვილ სამოქალაქო პირთა ჯგუფს და აღმოსავლეთისაკენ გამოიქცა. სერგევი 50





კილომეტრის გავლის შემდეგ დააკავეს. იარაღი აღარ ჰქონდა. მან გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული. ბრძოლის ველიდან გამოქცევისათვის იგი გასამართლებულ იქნა ომის დროის კანონების მთელი სიმკაცრით. განაჩენის დამტკიცების მომენტისათვის გერმანელებმა განახორციელეს გარღვევა და იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც პატიმარი სერგეევი იმყოფებოდა.

შებრძოლებმა, მათ შორის ბადრაგებმა ბრძოლა გაუმართეს მტერს, ისინი ილუბოლდნენ უთანასწორო ბრძოლაში... და აი, ერთ-ერთი მოკლული ბადრაგის ადგილი მსჭავრდადებულმა დაიკავა. იგი რამდენიმე საათის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა მტერს და დამხმარე ნაწილების მოსვლამდე შეძლო თავის ზღუდვზე გამაგრებულიყო.

ეს ფაქტი დაუყოვნებლივ მოხსენდა სარდალს, რომელიც აღჭურვილი იყო განაჩენის დამტკიცების ან შეცვლის უფლებით. მან შეტვალა განაჩენი, ჩათვალა, რომ სერგეევი მთლიანად გამოისყიდა თავისი დანაშაული. იგი ბრძოლის წინა ხაზზე გაიგზავნა. საბრძოლო მოქმედების რაიონებსა და ფრონტისპირა ზოლში ფაქტობრივად სამხედრო ტრიბუნალი იხილავდა ყველა სისხლის სამართლის საქმეს, მათ შორის—სამოქალაქო პირთა საქმეებსაც. ეს იმით იყო გამოწვეული რომ, ჯერ ერთი, ტრიბუნალებს ექვემდებარებოდა საქმეების უმრავლესობა, და მეორე, ბევრ რაიონში სასამართლო ორგანო არც იყო.

ამის გამო იყო, რომ 1941 წლის შემოდგომაზე ტრიბუნალში განსახილველად შემოვიდა სამი სამოქალაქო პირის საქმე. მათ ბრალად ედებოდათ შრომა გასწორების კოლონიიდან გაქცევა.

ერთ-ერთი მათგანი, 22 წლის ბლოხინი მე კარგად დამამახსოვრდა. იგი საშუალოზე ოდნავ მაღალი ჭაბუკი იყო, სუბუტი თმა ჰქონდა, სამჭერ იყო ნასამართლვეი ბინის გაქურდვისათვის. ბოლო განაჩენით მას მოსახლელი ჰქონდა წელიწად-ნახევარი პატიმრობა. სამართალში მიცემულებმა გავიმარტეს, რომ კოლონიიდან გამოქცენენ იმ მიზნით, რომ მოხვედრილიყვნენ ფრონტზე, მოქმედ არმიაში და „ერტყათ ფრიცებისათვის“.

სათათბირო ოთახში ჩვენს წინაშე დაისვა მთავარი კითხვა: დაგვეტყვიან თუ არა მათი განმარტებისათვის გამოქცევის მოტივის თაობაზე? ხომ არ იყო გამორიცხული, რომ ისინი, რეციდივისტები, კოლონიიდან იმისათვის გამოიქცნენ, რომ მტრის მხარეს გადასულიყვნენ და იქ ეპოვათ თავშესაფარი. მაგ-

რამ არც ის იყო გამორიცხული, რომ რამდენიმე ნასამართლობის მიუხედავად, ისინი არ იყვნენ მოკლებული პატრიოტულ გრძნობას და გულწრფელად სურდათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლებში სამშობლოსათვის, და თუ იმ კეთილ გრძნობას, რომელიც მათ გამოავლინეს, მხარს არ ღავუჭერდით, უნდობლობას გამოვეცხადებდით, მაშინ შეიძლება ისინი სამუდამოდ დაკარგულიყვნენ ნახლისათვის.

ჩვენ დიდხანს ვთათბირობდით. საქმეს სამი მუდმივი მოსამართლე იხილავდა სახალხო მსაჯულების გარეშე. ტრიბუნალის წევრების ხმები გაიყო და ჩემს ხმას უნდა გადაეწყვიტა მათი ბედ-იღბალი. მე თვალწინ წარმომიდგა ბლოხინი, მომაგონდა როგორ კუმშავდა მუშტებს, რა სიძულვილით ენთებოდა თვალები, როდესაც მტერზე ლაპარაკობდა. ამგვარი ტყუილი შეუძლებელი იყო, და მე ვთქვი „მჭერა“.

ფორმალურად ჩვენ უფლება არ გვქონდა მსჯავრდადებულნი ფრონტზე გაგვეგზავნა, ვინაიდან ისინი ჯარში არ მსახურობდნენ, პატიმრები იყვნენ, რომელთა მიმართაც არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, გამოტანილი სხვა სასამართლოს მიერ. მისი გაუქმების უფლება კი ჩვენ არ გვქონდა.

მაგრამ ომის პირობები გვიკარნახებდა მიგველო სწორი გადაწყვეტილება ცხოვრების მიერ წამოჭრილ იმ საკითხებზე, რომლებიც გადაწყვეტილი არ იყო კანონმდებლობით. ჩვენ მართებულად მივიჩინეთ განაჩენის აღსრულების გადაღება ომის დამთავრებამდე და ბლოხინი მის ამხანაგებთან ერთად გავგზავნეთ ფრონტის წინა ხაზზე. ამასთან განვუმარტეთ მსჯავრდადებულებს, რომ, თუ ისინი სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოისყიდნენ თავიანთ დანაშაულს, აღრინდელი განაჩენი შეიძლება საერთოდ გაუქმებულიყო.

პროცესის დამთავრების შემდეგ მე ვთხოვე ბლოხინს, რომ მიეწერა თუ როგორ იმსახურებდა ჯარში, და მანაც პირობა მომცა.

გავიდა დიდი დრო... მე დამავიწყდა კიდეც ბლოხინი, ჩვენი საკედლე ფოსტის ნომერი შეიცვალა და აღარც მოველოდი მისგან ბარათს, როგორ მომაკვლია, არ ვიცი, მაგრამ წერილი მივიღე. მწერდა, რომ მსახურობს ქვეით ნაწილში, რომელიც გადაუსვრიათ მოსკოვის მისადგომებთან, და მონაწილეობა მიუღია ბრძოლებში. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის დაცვისათვის. ჭაბრილა კიდეც. გამოჯანმრთელების შემდეგ ხელახლა მოხვედრილა ფრონტზე და კვლავ ომობს.



მაგონდება წერილის დაბოლოება: „ამხანაგო დამთავრდა, ზახაროვამ უარი თქვა საბოლოო უფროსო დეიტენანტო, — მწერდა იგი, — მე არასოდეს არ მიცხოვრია ისეთი სისხლსავსე ცხოვრებით, როგორც ამჟამად. მე ვუმისწვნებ მტერს, ვანადგურებ მას და მეჩვენება, თითქოს ამ სროლის დროს ტყვიას ვახვედრებ ჩემს შავბუნელ წარსულს და ვსპობ მას“.

მე საპასუხო წერილი გავუგზავნე ბლოხინს და ამით ჩვენი მიმოწერა შეწყდა. მინდა დავიჭირო, რომ მტრის ტყვია ახცდა მას და გამარჯვების შემდეგ კუთვნილი ადგილი დაიკავა საბჭოთა საზოგადოებაში. ადგილი, რომელიც მან სისხლით მოიპოვა.

1944 წელს ქალაქ პიატიგორსკში განსახლების სკამზე აღმოჩნდა ვინმე ზახაროვა, რომელსაც ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულში. შეგროვილი მტკიცებულებებით იგი მტერს ეხმარებოდა. საქმე რთული არ იყო. ქალაქის განთავისუფლების შემდეგ ჩვენს ორგანოებს ხელში ჩაუვარდა გერმანული კრიმინალური პოლიციის არქივი, რომლის აგენტებში მოიხსენიებოდა ზახაროვაც. იქვე იყო ხელწერილი, რომელიც ადასტურებდა მის თანხმობას ეთანამშრომლა პოლიციასთან. ვილაცის ხელწერილის არეზე მიეწერა ზახაროვას მისამართი, ისე რომ მის მოძებნას დიდი დრო არც დასჭირებია. ექვს არ იწვევდა განსახლების პიროვნებაც. ომამდე მას ოთხი ნასამართლობა ჰქონდა ქურდობისათვის და მრავალი წელი გაატარა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მართალია მას ყოველთვის ვადამდე ათავისუფლებდნენ, მაგრამ ხანმოკლე დროის შემდეგ კვლავ აკავებდნენ ახალი დანაშაულისათვის. გარდა ნვითიერი მტკიცებულებისა და ბრალდებულის აღიარებისა, მისი ბრალეულობა ლოგიკურადაც დასტურდებოდა. ყველაფერი ნათელი იყო: აღამიანი მრავალი წელი იზოლირებული იყო საზოგადოებისაგან, მორალურად გაიხრწნა, რეციდივისტად იქცა. ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილომ ნახა თავისთვის გამოსავალი და მტრის მხარეს გადავიდა. მტკიცებულებათა და ლოგიკის ამ გარეგნულად ურყევ სქემაში არსად არ შეინიშნებოდა ბზარი და პროცესი სწრაფად უახლოვდებოდა დასასრულს. განსახლებილ შემთხვევებს პასუხობდა მოკლედ, თავის ბრალს არ უარყოფდა, თავს არ იმართლებდა და ჩანდა რომ მისთვის სულ ერთი იყო, როგორ დასრულდებოდა პროცესი. მას სურდა მხოლოდ რაც შეიძლება მალე გამოეტანათ განაჩენი და კვლავ გაეგზავნათ შრომა-გასწორების კოლონიაში. ხასამართლო გამოძიება

დამთავრდა, ზახაროვამ უარი თქვა საბოლოო სიტყვაზე, ხოლო მე უკვე წამოვდექი სათათბირო ოთახში გასასვლელად. მაგრამ ამ დროს უნებურად შევხედე განსახლების სკამზე მჯდომ ქალს და რატომღაც ჩემი ყურადღება მიიპყრა მუხლებზე დაწყობილმა მისმა ხელებმა. ეს იყო მძიმე ფიზიკური შრომისაგან ჩაშავებული ხელები. მარცხენა ხელის მტევანი ტატუირებული ჰქონდა. ჩემი მწერა ზახაროვამ იგონო, სწრაფად დამალა ხელები და გაწითლდა. ეს არ იყო დამანახათებელი რეციდივისტისათვის, რომელიც ჩვეულებრივ ყოყმანს საკუთარი სხეულის მოხატულობით, რომ კიდევ ერთხელ შევიჩრდი და ყურადღებით შევხედე განსახლებს. მის სახეზე ნათლად ამოვიკითხე არადადამიანური დალილობა. თვალები ისეთ ტანჯვას გამოხატავდა, რომ მე შევწუხდი. მომეჩვენა, თითქოს ეს თვალები მევედრებოდნენ, რაც შეიძლება ჩქარა გავსულიყავით სასამართლო სდღომის დარბაზიდან, მიმენდო იგი თავისი იღუმალი ფიჭრებისათვის, ყოველივე ეს იმდენად მოულოდნელი იყო და სცილდებოდა ჩემს მაშინდელ, არც თუ ისე დიდ, სამოსასართლო გამოცდილებას, რომ მე კვლავ დავჩქეი სკამზე და რაც შეიძლება რბილად ვკითხე: — იქნებ მაინც განმიმართოთ, რატომ ჩაიდინეთ ეს დანაშაული, და საერთოდ, რა გემართება?

მისმა დიდმა თვალებმა გაოცება გამოხატა. შევატყე, რომ მისთვის მოულოდნელი იყო შეკითხვაც და ჩემი ტონიც. შემდეგ ისე უბრალოდ, ანგარიშ მიუცემლად მიპასუხა: „ჩვენი ჯარისკაცებისათვის, იმათი გულისათვის, მათთვის გადავდგი ეს ნაბიჯი“.

სასამართლო გამოძიება ხელახლა დაიწყო და ამ გარეგნულად მარტივი საქმის გარჩევას კიდევ რამდენიმე დღე მოვანდომეთ. ათობით მოწმისა და წერილების საფუძველზე უდავოდ დამტკიცდა, რომ ქალაქის ოკუპაციის პირველივე დღეებიდან ზახაროვა ეხმარებოდა ქალაქში დარჩენილ საბჭოთა არმიის დაჭირდებულებს. ორი მთავანი დამალა თავის სარდაფში და ყველაფერი გააკეთა მათ გადასარჩენად. იგი მათთვის ექიმიც იყო, მესასთუმელიც, მზარეულიც და დამლაგებელიც, მთელი ქონება გაყიდა, პერანგიც კი, მაგრამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში შესაძლელა პირველად იგონო ბედნიერება. მან მიაგნო კუთვნილ ადგილს თავისი ხალხის საერთო ბრძოლაში. ბედნიერი იყო, რომ მისთვის საჭირო აღმოჩნდა და შეძლების კვალობაზე თავისი წილი შეტქონდა მტრის განადგურებაში. მაგრამ დადგა მომენტი, რო-



დესაც ოთახი დაუცარიელდა და აღარაფერი ჰქონდა გასაყიდი. სხვისთვის ეთხოვა დახმარება — საშიში იყო. ხოლო დაჭრილებს, რომლებსაც გამოკეთებდა დეტკოთ, ესაჭიროებოდათ ქათმის ბულიონი, კარაქი, წამლები და ბევრი სხვა რამ. იგი გულში სამშობლოსათვის მებრძოლად რაცნდა თავის თავს. ზანაროვამ სიტყვა მისცა თავის თავს, რომ წარსულთან საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი, და კვლავ გავიდა ქუჩაში. ახლა იგი მიდიოდა თავის გულისათვის კი არა, არამედ იმიტომ, რომ ვალდებულიად თვლიდა თავს ორი ადამიანი გადარჩინა. თავდაპირველად ჩამოსხნა ვილაციის თეთრეული, რომელიც ევოში თოჯინე უკიდა გასაშრობად, მაგრამ წაღება ვეღარ შეესძლო. რატომღაც გაახსენდა დედა, სულ სხვის თეთრეულს რომ რეცხავდა და გაიფიქრა ამ თეთრეულის პატრონის ვაჟიშვილები შესაძლოა ფრონტზე იბრძვიანო. იგი უკან დაბრუნდა ევოში და სარეცხი თავის ადგილას გულდასმით გაფინა. და ისევ დაუსრულებელი სიარული ქალაქში. იგი მიხვდა, რომ აღარ ძალუძს ისე თავისუფლად აიღოს სხვისი რამ, ორი დაჭრილი კი უმწეოდ იწვა მის სარდაფში და ელოდა შველას, რომელიც მხოლოდ მას შეეძლო. უცებ მან დაინახა, როგორ გააჩერა გერმანელმა ეტლი. კოფოსთან იღო ახლთახალი ჩემოდანი. მან ჩაუარა ეტლს. მშვიდად აიღო ჩემოდანი და გაუჩერებლად განაგრძო გზა. მაგრამ იქვე დააკავეს და მიიყვანეს პოლიციაში. აქ ჯერ სცემეს, შემდეგ შესთავაზეს ან გერმანიაში წასულიყო სამუშაოდ ან ეთანამშრომლა კრიმინალურ პოლიციასთან. მან იცოდა, რომ მას არაფერს არ უზამდნენ, რომ იგი ოკუპანტებისათვის საშიში პირი არ იყო. გერმანიაში ვაგზავნის მუქარა შეეძლო სერიოზულად არ მიჩენია თავისი წარსულის გამო. ისე რომ, ორი — სამი დღე იტყუებოდა. აქ, შემდეგ ორიოდეკრ კიდევ სცემდნენ და გაუშვებდნენ. ასე ფიქრობდა იგი, მაგრამ მთავარი საშიშროება ის იყო, რომ შეეძლოთ მისი ოთახის გაჩხრეკა ან რამდენიმე დღე კიდევ არ გაეშვათ. ორივე შესაძლებლობა ნიშნავდა დაჭრილების სიკვდილს, ამიტომ დაუფიქრებლად დათანხმდა მეორე წინადადებას და იქვე მოაწერა ხელი კრიმინალურ პოლიციასთან თანამშრომლობის დოკუმენტს. ამის შემდეგ იგი პოლიციაში არც შესულა და პრაქტიკულად მისი თანამშრომლობა პოლიციასთან არ დადსტურდა, თუმცა ეს საკითხი სპეციალურად იქნა შესწავლილი.

სასამართლოს წარუდგინეს მრავალი წერილი, რომლებიც მოსულიყო ზანაროვას სახელზე მისი პატიმრობაში ყოფნის დროს. ეს იყო ძირითადად მის მიერ გადარჩენილი მებრძოლების წერილები, რომლებიც ფრონტზე იბრძოდნენ. მაგონდება ერთი წერილი შორეული ქართული სოფლიდან. ზანაროვას მიერ გადარჩენილი ერთი მებრძოლთაგანი ქართველი იყო სახელად ბიძინა. წერილს იწერებოდნენ მისი მშობლები. იგი რუსულად იყო დაწერილი და ჩანდა, რომ მის ავტორს მაინცდამაინც არ ენერხებოდა წერა, მაგრამ მისმა შინაარსმა უველა აგვადელევა. ეს წერილი დღემდე არ ამოშლილა ჩემი მესხიერებიდან: ძვირფასო შვილო! ჩვენ სამი ვთიშვილი გვყავს. სამივე იბრძვის ფრონტზე და ჩვენ ვცდილობთ მათ დაბრუნებას. ახლა ჩვენ მოგვევლინა ქალიშვილი, რომელსაც ისევე ველით, როგორც ჩვენს ღვიძლ შვილებს, ჩამოდი ჩვენთან. შენ სტუმარი კი არ იქნები ჩვენს სახლში, არამედ დიასახლისი. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ და არ გვეხერხება ღამაზად ლაპარაკი, მაგრამ კარგად გვესმის, რა არის სიყვითე, და არასდროს არ დავივიწყებთ იმას, რაც შენ გააკეთე ჩვენი ბიძინასათვის...“

მოცა სასამართლომ გამამართლებული განაცხადი გამოიტანა, ზანაროვამ ფერი დაკარგა და გული წაუვიდა. ხოლო ბადრაგის უფროსი — ახლგაზრდა უმცროსი სერჟანტი თვალზე ცრემლმომდგარი თავზე წყალს აპკურებდა და აღგზნებული ეუბნებოდა: — „ძვირფასო გონს მოდი, შენ ხომ გაგამართლეს. წარსული დავიწყებას მიეცა. სასამართლომ შენ გადიარა პატიოსან ადამიანად, პატრიოტად“.

მიწყდა გამარჯვების სალუტის ხმა. ომი დამთავრდა. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ შვეტინა ამოისუნთქა.

ჩვენ ვავიშარჯვით, მაგრამ გვახსოვდა ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ომის წლებში იქნა ჩადენილი, არც გვქონდა უფლება მათი დავიწყებისა, ვინაიდან ამ ბოროტმოქმედებათა შედეგად დაიღვარა საბჭოთა ადამიანების სისხლი. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვევიწყებინა იმათი ნათელი სახე, ვინც დაიღუპა ფაშისტების ან გამცემლის ხელით.

ამ პერიოდში განხილული საქმეებიდან მაგონდება ერთი საქმე, რომელშიც გადიოდა დამნაშავეთა ჩუქუფი იაპონელ სამხედრო ტყვეთა წრიდან.

სამხედრო ტყვეთა ერთ-ერთ ბანაკში ერთად მოხვდნენ: რიგითი ჯარისკაცი, ტკივის უნივერსიტეტის დოცენტი, და მისი ბატალიონ-



ნის მეთაური. სამხედრო ტყვეთა შორის და-  
იწყო დემოკრატიული მოძრაობა. ტყვეების  
უმრავლესობა მიხვდა, რომ ისინი მმართველ-  
მა წრეებში მოატყუეს და უსამართლო, დაპ-  
ყრობით ომში ჩაახდეს. ერთ-ერთი, რომელიც ამ  
აზრს იზიარებდა, იყო ტოკიოს უნივერსიტეტის  
დოცენტი. ბანაკში არ ცხრებოდა დავა ია-  
პონიის შემდგომი ბედის შესახებ. მისი ასე-  
ულისა და ბატალიონის მეთაური კი ამტკი-  
ცებდა, რომ იაპონია ომში დამარცხდა გამ-  
ცემლობის გამო, მალე ძალებს მოიკრებს,  
განახორციელებს საპასუხო დარტყმას და და-  
იპყრობს საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.

დოცენტი ამტკიცებდა, რომ იაპონია დაღუპ-  
ვის პირას სწორედ ასეთმა ხალხმა მიიყვანა,  
რომ იაპონიას მომავალი ელის მხოლოდ მშვი-  
დობის პირობებში და მან უნდა იბრძოლოს  
დემოკრატიულ თავისუფლებათა განვითარე-  
ბისათვის.

მეთაურები ამ დავაში დამარცხდნენ, ვი-  
ნაიდან დოცენტს ასობით სამხედრო ტყვე  
უჭერდა მხარს.

დამით დავა გაგრძელდა... დილით დოცენ-  
ტი მოკლული ნახეს. მას თავში მრავალი  
დარტყმა ჰქონდა მიყენებული.

იაპონელმა ექიმმა გასცა ცნობა, რომ დო-  
ცენტი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.  
იგი დამარხეს და ამით ყველაფერი დამთავ-  
რდა.

მაგრამ იგი არ დამთავრებულა იმ სამხედ-  
რო ტყვეებისათვის, რომლებიც მხარს უჭერდ-  
ნენ მოკლულის შეხედულებებს. მათ აღიმაღ-  
ლეს პროტესტის ხმა. მკვლელობიდან რამდე-  
ნიმე თვის შემდეგ აღიძრა სისხლის სამართ-  
ლის საქმე და დაიწყო გამოძიება, რომელ-  
მაც აღადგინა დოცენტის მკვლელობის სრუ-  
ლი სურათი. გამოძიებას დიდი დახმარება  
გაუწიეს დემოკრატიულად განწყობილმა სამ-  
ხედრო ტყვეებმა. უიმთოდ ჩვენ ვერ შევძ-  
ლებდით ჭეშმარიტების დადგენას.

სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა  
ტრიბუნალის შენობაში, მაგრამ მას თვალყურს  
ადევნებდა საზოგადოებრიობა სამხედრო  
ტყვეთა წრიდან. ისინი აშკარად უკმაყოფი-  
ლონი დარჩნენ განაჩენით, რომლითაც დამნა-  
შავეებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა  
სხვადასხვა ვადით. მათ ვერაფრით ვერ წარ-  
მოედგინათ, თუ რატომ არ შეიძლებოდა იმ  
პერიოდში საბჭოთა კავშირში გამოეყენები-  
ნათ სიკვდილით დასჯა საშიშ დამნაშავეთა  
მიმართ, რომლებიც ახალი ომის გაჩაღების  
გეგმებს სახავდნენ.

მე ვემშვიდობები ვ. პაპიტაშვილს, ომი-  
სა და შრომის ვეტერანს, საქშობლოს უსაზ-  
ღვროდ ერთგულ შვილს, რომელიც დღესაც  
დაუცხრომლად იღვწის ჩვენი რესპუბლიკის  
სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის.

მ. ქრისტმსინაშვილი







# გაუფრთხილებლობისათვის სისხლისსაგარტოებრივი პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი

პ. ქაშხაძე,

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

„სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, დაგროვილი პოტენციალის უკეთ გამოყენების მთავარ სტრატეგიულ ბერკეტად პარტია წინა პლანზე აყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას“<sup>1</sup>. ეს კე მოითხოვს წარმოებაში და ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი ტექნიკის დანერგვას, რომელიც დაკავშირებულია პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნასთან, ფეთქებადი და რადიოაქტიური წარმოების განვითარებასთან, ყველა სახეობის ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის ზრდასთან. ასეთ ვითარებაში იზრდება ადამიანთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის გაუფრთხილებლად ხელყოფის ალბათობაც, განსაკუთრებით ტექნიკის გამოყენების სფეროში. ამიტომ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში გაუფრთხილებლობის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ სოციალურ პრობლემად იქცა. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ ავტოსატრანსპორტო დანაშაულით გამოწვეული ზიანის რიცხობრივი მაჩვენებლები.

სსრ კავშირში დანაშაულთა 62,4 პროცენტი, რომელსაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი<sup>2</sup>. გაუფრთხილებლობის სტრუქტურაში კი ორ მესამედს ავტოსატრანსპორტო დანაშაული შეადგენს<sup>3</sup>.

ყოველწლიურად მსოფლიოში ავტოკატასტროფაში 300 ათასი კაცი იღუპება და 7 მილიონზე მეტი სახიზრდება<sup>4</sup>.

ავტოავარიების შედეგად სიკვდილიანობა წინ უსწრებს გულისსისხლძარღვების და ონკოლოგიურ დაავადებათა გამო გამოწვეულ სიკვდილიანობას<sup>5</sup>.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 10 წლის მანძილზე ავტოავარიებმა იმსხვერპლა 170 ათასი კაცი, 4,8 მილიონმა სხეულის დაზიანება მიიღო, ხოლო მატერიალურმა ზარალმა 23 მილიარდი მარკა შეადგინა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება 1985 წლის 23 აპრილის ცკ პლენუმზე „სსკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ“ — ვაზ. „კომუნისტი“, 24 აპრილი, 1985.

<sup>2</sup> იხ. Криминология, М., 1976, с. 409.

<sup>3</sup> იქვე, ვვ. 410.

<sup>4</sup> იხ. Квашис В. Е., Махмудов Ш. Д. Ответственность за неосторожность, Душанбе, 1975, с. 7—8.

<sup>5</sup> იხ. Совершенствование мер борьбы с преступностью в условиях научно-технической революции, М., 1980, с. 50.

<sup>6</sup> იხ. Дагель П. С. Неосторожность: уголовно-правовые и криминологические проблемы, М., 1977, с. 24.



ბოლო 30 წლის განმავლობაში საფრანგეთის გზებზე 350 ათასი კაცი დაღუპა და 8 მილიონი დაშავდა. ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეულმა ხარალმა ამ ქვეყანაში 40 მილიარდი ფრანკი შეადგინა. ეს იმ თანხის ნახევარს უდრის, რომელსაც საფრანგეთი ბავშვების აღზრდასა და სწავლაზე ხარჯავს<sup>7</sup>.

ამას თუ დავუმატებთ იმ უბედურ შემთხვევებსაც, რომლებიც სხვა სახეობათა ტრანსპორტზე და წარმოებაში ხდება ან თან სდევს იარაღის, ფეთქებად და მომწამლავ ნივთიერებათა უდიერ გამოყენებას, მაშინ ხარალის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გაუფრთხილებელ დანაშაულთა ლატენტურობა განზრახთან შედარებით გაცილებით უფრო მალაია<sup>8</sup>.

ამრიგად, გაუფრთხილებელი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში შესამჩნევად მატულობს. ეს სათანადო ასახვას პოულობს საკანონმდებლო პოლიტიკაში და, კერძოდ, გავლენას ახდენს ამგვარი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე.

ამით არის გამოწვეული, რომ მოქმედი კანონმდებლობა გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, თუ მას მძიმე შედეგები მოჰყვა, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივ ვადებს ითვალისწინებს. ამასთან პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მთავარი და გადამწყვეტია მიყენებული ზიანი, შედეგის სიმძიმე. მაგრამ პასუხისმგებლობა მხოლოდ ობიექტური საშიშროებით და შედეგით რომ განისაზღვრებოდეს, მაშინ ერთნაირად უნდა დავსაჯოთ ისიც, ვინც გაუფრთხილებლად იმსხვერპლა ორი ან მეტი ადამიანი, და ისიც, ვის განზრახ მოქმედებას იგივე შედეგი მოჰყვა. ამიტომ საკითხის გადაწყვეტისას შედეგთან ერთად სათვალავში უნდა მივიღოთ თვით დამნაშავის პიროვნული თვისებები და მისი დამოკიდებულება შედეგის მიმართ. სხვანაირად იოლად შეიძლება აღმოჩნდეთ ობიექტური შერაცხვის პოზიციაზე.

ფსიქოლოგიის ბოლოდროინდელმა მიღწევებმა არაცნობიერი პროცესების სფეროში, კერძოდ, დ. უზნაძის განწყობის თეორიამ გამოავლინა თვისებრივი ზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიურ შინაარსს. სახელდობრ, თუ განზრახვის დროს პირის მოქმედებას საფუძვლად უდევს ფსიქიკის ნებელობითი ფუნქცია, გაუფრთხილებლობისას ასეთ საფუძველს წარმოადგენს მომენტალური (სიტუაციური) განწყობა, რომელიც, დ. უზნაძის თეორიის მიხედვით, წარმოადგენს არაცნობიერი ფსიქიკის ფორმას<sup>9</sup>. სწორედ ამ ფორმით რეაგირებს ადამიანი გაუფრთხილებლობისას კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც მას უხდება დისახოს და გადაწყვიტოს ამოცანები. თუ განზრახვისას დამნაშავე აქტიურად უპირისპირებს თავის ნებას სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ინტერესებს, გაუფრთხილებლობის დროს მათ მიმართ უყურადღებობას ამჟღავნებს, თუმცა ევალებ-

<sup>7</sup> იხ. Жерондо К. Безопасность движения: прошлое, настоящее, будущее, М., 1983, с. 9, 13.

<sup>8</sup> იხ. Криминология, М., 1979, с. 283; Основания уголовно-правового запрета, М., 1982, с. 266.

<sup>9</sup> დაწვრილებით იხ. Угрехелидзе М. Г. Проблема неосторожной вины в уголовном праве, М., 1976.



ბოლა და უნარიც შესწევდა სათანადო წინდახედულობის გამოჩენისა.

ამრიგად, პირი, რომელმაც დანაშაული გაუფრთხილებლად ჩაიდინა, თავისი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისებებით და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით, არ საჭიროებს ისეთ მკაცრ ზემოქმედებას, როგორც ამას განზრახ მოქმედი დამნაშავე იმსახურებს<sup>10</sup>.

მაშასადამე, ერთი მხრივ, გაუფრთხილებელი დანაშაული ობიექტურად დიდი საშიშროების შემცველია და მას ხშირად მძიმე შედეგები მოსდევს, ხოლო, მეორე მხრივ, დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება ამ შედეგების მიმართ ნაკლებად გასაკიცხია, ვიდრე ის, რომ განზრახვით ემოქმედა. ეს წინააღმდეგობანი გარკვეულ სირთულეებს ბადებს გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს, მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას და გადაწყვეტას.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება თუ ერთხელ კიდევ გადავხედავთ მოქმედ კანონმდებლობას სანქციების ნაწილში, რომლებიც დაწესებულია გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, ვიმსჯელებთ მათ ეფექტიანობაზე ასეთ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მოვნახავთ დამატებით საშუალებებს გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის სრულყოფისათვის.

მოქმედ კანონმდებლობაში შეინიშნება აშკარა შეუსაბამობა ცალკეულ გაუფრთხილებელ ქმედობათა დასჯალობაში, როგორც მათი გვარეობითი ჯგუფის შიგნით, ისე სხვა სახის დანაშაულთა სანქციებთან შედარებით.

ასე მაგალითად, მაქსიმალური სანქციები გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის მერყეობს ერთი ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთიდან (საქართველოს სსრ სსკ 239-ე, 251-ე მუხლები), თხუთმეტ წლამდე (საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის I ნაწილი, 241-ე მუხლის IV ნაწილი), მაშინ, როდესაც ყველა ამ დანაშაულს შეიძლება ერთნაირად მძიმე შედეგები მოჰყვეს. ძნელია ასეთი ამპლიტუდა სანქციებში გამართლებულად ჩათვალოს, თუგინდ მხედველობაში მივიღოთ ამ ნორმებით გათვალისწინებულ დანაშაულთა განსხვავებული ხასიათი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ თავისი სოციალური არსით ერთნაირი გაუფრთხილებელი ქმედობანი სამართლებრივად სხვადასხვანაირად არის შეფასებული. მაგალითად, უსაფრთხოების წესების დარღვევა ტექნიკის გამოყენების სფეროში იწვევს არსებითად განსხვავებულ პასუხისმგებლობას (თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმს — 15 წელს — საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის IV ნაწილით; ამავე კოდექსის 248-ე მუხლის II ნაწილით — 7 წელს, 247-ე მუხლის II ნაწილით — 5 წელს), თუმცა შედეგის სიმძიმე ბოლო ორ შემთხვევაში შეიძლება მეტიც კი იყოს, ვიდრე პირველში<sup>11</sup>.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 270-ე მუხლი (და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები თანახმად საკავშირო კანონისა „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ორიდან ათ წლამდე სამხედრო

<sup>10</sup> იხ. Квашис В. Е., Махмудов Ш. Д. Ответственность за неосторожность, Душанбе, 1975, с. 90—91.

<sup>11</sup> იხ. Дагель П. С. Неосторожность: уголовно-правовые и криминологические проблемы, М., 1977, с. 139.



პირის მიერ მანქანის ტარების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის, თუ მას ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა. იმ პირთათვის, რომლებიც სპეციალური სუბიექტები არ არიან (ამ შემთხვევაში სამხედრო სამსახურში არ იმყოფებიან), ასეთივე დანაშაულისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამიდან ოქტომეტ წლამდე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე, მუხლის მე-4 ნაწილი).

შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აგრეთვე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულ სანქციათა ქვედა საზღვრები. კერძოდ, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხ. მე-3 ნაწილით არის გათვალისწინებული, უმრავლესი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა პასუხისმგებლობის ქვედა საზღვრად აწესებს სამი თვით თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს, სომხეთის და ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსები — ორი წლით, ხოლო უზბეკეთისა — 3 წლით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილი და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა შესაბამისი ნორმის სანქციის ქვედა საზღვრად ადგენს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, მაშინ როცა ლიტვის კანონმდებლობა — ხუთი წლით, ხოლო სომხეთისა — შვიდი წლით ძნელია მოუხანხოთ გამართლება ერთი და იმავე დანაშაულის ასეთ განსხვავებულ შეფასებას. ეს ვერც მიგრაციის პროცესებით და ვერც ეროვნული თავისებურებებით აიხსნება და დასაბუთდება.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ გაუფრთხილებელი დანაშაულის დასჯადობა არ განსხვავდება ისეთ განზრახ დანაშაულთა დასჯადობისაგან, რომლებიც გაცილებით მეტი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, თუნდაც იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უკავიათ მათ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში. მაგალითად, მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის I ნაწილი, 241-ე მუხლის IV ნაწილი) და მავნებლობისათვის, რომელიც განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება, დადგენილია სანქციის ერთნაირი უმაღლესი ზღვარი. იგივე შეიმჩნევა თუ 241-ე მუხლის III ნაწილის და 78-ე მუხლის სანქციებს შევადარებთ. უკანასკნელი კი აწესებს პასუხისმგებლობას კონტრაბანდისათვის, რომელიც სახელმწიფო დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. უფრო მეტიც, ავტოსატრანსპორტო დანაშაულის შედეგად გაუფრთხილებლად ადამიანის სხეულის მძიმე დაზიანებისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის III ნაწილი) კანონი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ვიდრე ასეთივე შედეგის განზრახ მიყენებისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის I ნაწილი).

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნა, რომ თუ პირმა დაზარალებულს სხეულის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მიაყენა (241-ე მუხლის III ნაწილი), მან უმჯობესია ამტკიცოს, რომ განზრახ მოქმედებდა, რადგან ამ უკანასკნელისათვის კანონი ითვალისწინებს არა უმეტეს 8 წლის თავისუფლების



აღკვეთას, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში სანქცია 10 წელს აღწევს<sup>12</sup>. მაღალია აგრეთვე ამ მუხლის სანქციის ქვედა საზღვარიც.

ცხადია, რომ მკაცრი სანქციების დაწესება გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ ხდება მის მიერ გამოწვეული განსაკუთრებით მძიმე შედეგების გათვალისწინებით. მაგრამ, შედეგი ხომ ერთადერთი კრიტერიუმი არ უნდა იყოს პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის<sup>13</sup>. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე პირის საშიშროება საზოგადოებისათვის, მისი გამოსწორებისათვის გამოყენებულ საშუალებათა ეფექტიანობა და სხვ. არ უნდა გადავამეტვასოთ აგრეთვე სასჯელის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი ხანგრძლივი ვადებით თავისუფლების აღკვეთისა გაუფრთხილებელი დანაშაულის თავიდან აცილებაში. კერძოდ, ეს სასჯელის ზოგად პრევენციას, მის „დამაშინებელ ფაქტორს“ ეხება. იმის მიუხედავად, რომ სასჯელის ზოგადპრევენციული ზემოქმედების განსაზღვრა რთული და ერთობ შეუსწავლელი საკითხია<sup>14</sup>, მაინც შეიძლება თამამად ითქვას, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში სასჯელის რიღმა და სანქციათა სიმკაცრემ არ შეიძლება გადაწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს. ეს აიხსნება გაუფრთხილებელი დანაშაულის ფსიქოლოგიური მექანიზმის თავისებურებით. თუ პირი გარკვეულ მომენტში არ დაბრუნდება თავის ყურადღებას და სხვა ფსიქიკურ ძალებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ, ზოგ შემთხვევაში, თავის თავისა და ახლობლებისათვის სრულიად არასასურველი შედეგი, მწელი სავარაუდოა, რომ ამ დროს დაუფიქრდეს კანონის ზოგად პრევენციას.

ავტოსატრანსპორტო დანაშაულობის დინამიკაზე სასამართლო რეპრესიის ზემოქმედება რომ გამოიკვლია, დ. ხან-მაგომედოვმა აღიარა, რომ სასამართლო რეპრესია საგრძნობ ზეგავლენას არ ახდენს ამ სახის დანაშაულთა ზრდაზე<sup>15</sup>.

ადამიანი განზრახ დანაშაულს რომ სჩადის, იგი არ შეიძლება სერიოზულად არ დაფიქრდეს მოსალოდნელ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სასჯელის რეალური მუქარა აქ გაცილებით მეტად არის გამოკვეთილი, ვიდრე გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის დროს.

თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადები არ შეესაბამება აგრეთვე გაუფრთხილებელი დანაშაულის გამოსწორების და ხელმეორედ აღზრდის მიზანს, ამგვარი კონტინგენტის დასჯად — აღმზრდელობითი ზემოქმედება მიზნად უნდა ისახავდეს მათი ზნეობრივი და სამართლებრივი დეფექტების აღმოფხვრას, რათა განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და ყურადღებიანი დამოკიდებულება უსაფრთხოების წესების დაცვისადმი<sup>16</sup>. მამასადამე, მათ

<sup>12</sup> იხ. Злобин Г. А., Никифоров В. С. Умысел и его формы, М., 1972, с. 136.

<sup>13</sup> იხ. Куринов Б. А. Автотранспортные преступления (квалификация и ответственность), М., 1976, с. 172.

<sup>14</sup> იხ. Карпец И. И. Наказание: социальные, правовые и криминологические проблемы, М., 1973, с. 114.

<sup>15</sup> იხ. Хан-Магомедов Д. О. Научно-технический прогресс и вопросы ответственности за нарушение правил использования техники. В сб.: Научно-технический прогресс и проблемы уголовного права, М., 1975, с. 34.

<sup>16</sup> იხ. Дагель П. С. Неосторожность: уголовно-правовые и криминологические проблемы, М., 1977, с. 142.



უნდა მოიშალოს ის ჩვევები, რომლებმაც მომავალშიც შესაძლოა გაუფრთხილებელი დანაშაული ჩაადენინოს.

რასაკვირველია, სასჯელს მთლიანად არ უნდა წაერთვას დასჯის ფუნქცია, რომლის მნიშვნელობა დანაშაულის საშიშროების ზრდასთან ერთად, მატულობს კიდევ. არ შეიძლება, სახელდობრ, გამოირიცხოს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა, როცა გაუფრთხილებელი დანაშაული განსაკუთრებით მძიმე შედეგებს იწვევს, მაგრამ სასჯელი არ უნდა იქცეს თვითმიზნად. მას უპირატესი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს სასჯელის აღზრდა-გამასწორებელ მიზნებთან შედარებით, თორემ სასჯელი დაკარგავს იმ დანიშნულებას, რომელიც მას საბჭოურმა სისხლის სამართალმა განუსაზღვრა.

განვიხილავთ რა თავისუფლების აღკვეთას როგორც ჯერ კიდევ აუცილებელ ზომას დანაშაულობასთან, მათ შორის — გაუფრთხილებელ დანაშაულობასთან ბრძოლაში, არ შეიძლება ამავე დროს მხედველობაში არ მივიღოთ ის უარყოფითი სოციალური შედეგები, რომლებიც მას თან სდევს: ინდივიდის სოციალურად სასარგებლო კავშირებიდან გამოთიშვა, ოჯახს მოწყვეტა, საზოგადოებრივი დანაკარგები იმ მხრივ, რომ მსჯავრდადებული მოკლებულია შესაძლებლობას სრულად და კვალიფიციურად მოახმაროს თავისი ძალები საზოგადოებას და ა. შ.<sup>17</sup> განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ეს პრობლემა ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთის დროს.

სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა სრულყოფის თვალსაზრისით სანქციათა რაციონალიზაცია არ წარმოადგენს ერთდერთ გზას გაუფრთხილებელ დანაშაულობასთან ბრძოლაში. მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ამ მიმართებით შეიცავს პასუხისმგებლობის და სასჯელის შემდგომი დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია.

გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაცია გულისხმობს კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების განსხვავებულ საშუალებათა დაწესებას გარკვეული თვისებრივი ნიშნის მიხედვით, რაც ცალკეული გვარეობითი ჯგუფისათვის იქნება დამახასიათებელი. ამისათვის საჭიროა განვასხვაოთ არა მხოლოდ განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაული, არამედ მივიღოთ მხედველობაში თვით გაუფრთხილებლობის ნაირსახეობაც<sup>18</sup>. გაუფრთხილებელი დანაშაულის მექანიზმში სუბიექტისა და სიტუაციის როლი შეიძლება არსებითად იცვლებოდეს, რამაც სათანადო სისხლისსამართლებრივი შეფასება უნდა მიიღოს<sup>19</sup>.

ამ თვალსაზრისით, ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის, უსათუოდ სრულყოფას მოით-

<sup>17</sup> იხ. Гальперин И. М. Дифференциация уголовной ответственности и эффективность наказания. — Сов. гос. и право, 1983, № 3, с. 72—73; Карпец И. И. Социальные аспекты применения наказания, связанного с лишением свободы. — Сов. юстиция, 1976, № 10, с. 6.

<sup>18</sup> იხ. Номоконов В. А. Дифференциация уголовной ответственности за неосторожные преступления. — В сб.: Проблемы борьбы с преступной неосторожностью, Владивосток, 1978, с. 15—24.

<sup>19</sup> იხ. Гриндорф А. П. Ответственность за неосторожные преступления в советском уголовном праве. Автореф., дис. ... канд. юрид. наук, М., 1977, с. 9.



ხოვს. ჯერჯერობით იმ მუხლების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც გაუფრთხილებლობისათვის აწესებენ პასუხისმგებლობას, ჩამოყალიბებულია მხოლოდ დამდგარი შედეგის ნიშნის მიხედვით და საერთოდ არ გააჩნიათ პრივილეგირებული ნაწილები. იმ მუხლებში კი, სადაც განზრახი დანაშაულია აღწერილი, უფრო ფართო და მდიდარი საშუალებებია სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. ამავე დროს, გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს ხშირად ისეთ გარემოებებს ვხვდებით, რომლებიც არსებითად ამძიმებენ ან ამსუბუქებენ დანაშაულს და თავისი გავრცელებულობით, ხასიათით და მნიშვნელობით სასჯელის განსაზღვრისათვის უეჭველად იმსახურებენ კანონმდებლის ყურადღებას. ფაქტობრივად ბევრ ასეთ გარემოებას მხედველობაში იღებს სასამართლო სასჯელის დანიშვნისას. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ:

წინდახედულობის სპეციალური წესების ან უსაფრთხოების წესების დარღვევის ხასიათი (გაუცნობიერებელი, შეგნებული, ბოროტი, განსაკუთრებით ბოროტი);

ამ წესების განმეორებით დარღვევა (ადმინისტრაციული ან დისციპლინური პრეიუდიცია);

გაუფრთხილებლობითი ბრალის ხარისხი (თვითიმედოვნება, დაუდევრობა, უხეში დაუდევრობა);

სიტუაციური ფაქტორის მნიშვნელობა (რთული წინასაავარიო ვითარება, დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედება);

ბრალეული პირის მოქმედების ხასიათი დანაშაულის ჩადენის შემდეგ (დაზარალებულისათვის აქტიური დახმარების აღმოჩენა, შემთხვევის ადგილიდან გაქცევა პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით).

მაგალითად, ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმას, თუ როგორ იქცეოდა პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს „...დანაშაულის ჩადენის ხერხი, დამნაშავის პირადი თავისებურებანი და ცხოვრების პირობები, მისი ცხოვრების წესი დანაშაულის ჩადენამდე და მოქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ...“

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი უფრო შორს მიდის და გაუფრთხილებლობისათვის სასჯელის შეფარდების გარკვეულ ფორმალურ კრიტერიუმებს აწესებს იმ შემთხვევისათვის, „თუ სუბიექტმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულისათვის“ (343-ე მუხლის მე-3 აბზაცი).

მოძვე სოციალისტური ქვეყნების ეს გამოცდილება ყურადსაღებია და კარგი იქნება, გაუფრთხილებლობის შესაბამის მუხლებში ჩვენც შეგვეტანა პრივილეგირებული ნაწილი, რომელიც დააწესებდა შემცირებულ პასუხისმგებლობას. ასეთი დამატება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა ჩამონათვალშიც შეიძლება.



ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ კანონმდებელი განსხვავებულ პასუხისმგებლობას უნდა ითვალისწინებდეს იმ პირთათვის, რომლებმაც ავტოავარია ფხიზელ მდგომარეობაში ჩაიდინეს და იმათთვის, ვინც ნასვამი ან, მით უმეტეს, მთვრალი მართავდა საჭეს. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა ზოგად ნაწილში ითვალისწინებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, როგორც „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა“ (საქართველოს სსრ სსკ 39-ე მუხლის § 12), მაგრამ ურიგო არ იქნება ამგვარი მაკვალიფიცირებელი ნაწილი სპეციალურად შეგვეტანა იმ მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მომეტებული საფრთხის წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევისათვის. ეს უფრო მეტად გამოკვეთდა სახელმწიფოს პოზიციას იმათ მიმართ, ვინც უფლებას აძლევს თავს მთვრალი მართოს მომეტებული საფრთხის წყარო და ამით გარეშე მყოფთ საშიშროება შეუქმნას, უფრო მეტად შეუწყობდა ხელს კანონის ზოგად და კერძო პრევენციას, უფრო მოქნილს გახდიდა მას სასჯელის შეფარდების თვალსაზრისით.

ამ წინადადებათა კანონით გათვალისწინება უთუოდ ხელს შეუწყობს გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის შემდგომ დიფერენციაციას და ინდივიდუალიზაციას, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის უახლეს ტენდენციებს შეესაბამება და სავსებით უპასუხებს ცხოვრების მიერ ნაკარნახებ ამოცანებს.



## უზრუნველყოთ სამოქალაქო საქმეების დროულად განხილვა

ა. კვიცინია,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვას.

საკითხის შესწავლა, საკასაციო და საზედამხებდევლო პრაქტიკის მონაცემები, აგრეთვე ცალკეული კატეგორიის საქმეების განზოგადების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ძირითადად დროულად და კანონის შესაბამისად წყვეტენ სამოქალაქო დავებს.

ბოლო დროს, განსაკუთრებით კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის სექტემბრის დადგენილების მიღების შემდეგ, ამ საქმეში დაისახა პოზიტიური ტენდენციები. იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო საქმეთა განხილვის ორგანიზაციის დონის, სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების ამაღლებას. შემცირდა გაუქმებული და შეცვლილი სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა, გაუმჯობესდა საქმეთა განხილვის ვადები, ხორციელდება უფრო მეტი და ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებები. მაგრამ იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოებს კვლავაც ბევრი აქვთ გასაკეთებელი სამოქალაქო სამართალურთიერთობათა სფეროს სრულყოფისათვის, სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შარშან მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკა რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოებაში. როგორც გამოირკვა, სასამართლოები ყურადღებას ძირითადად ამახვილებენ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე და სათანადო კონტროლისა და ანალიზის გარეშე დატოვენ სამოქალაქო საქმეთა დიდი ნაწილს.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ სასამართლოს აღმზრდელობითი ზემოქმედების ხარისხი უპირველესად განისაზღვრება სასამართლოს ყოველდღიური მოღვაწეობის კულტურის დონითაც. მოქალაქეების აზრი სასამართლოს მუშაობის შესახებ ყალბდება იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მიიღეს იგი სასამართ-



ლოში, ყურადღებით მოეკიდნენ თუ არა მის საჩივარს, რამდენად გასაგებად განუმარტეს მათთვის საინტერესო საკითხები. მხედველობაშია მისაღები, რომ სასამართლოებში მოქალაქეთა და სასარჩელო განცხადებათა მიღება და დავის გადაწყვეტა ხელს უწყობს დროის დაზოგვას, განხილვისათვის საქმეების მომზადების დაჩქარებას, ქმნის სრულ გარკვეულობას მუშაობაში. ზოგიერთ სახალხო მოსამართლეს ავიწყდება, რომ სასამართლოსათვის არ არსებობს მეორეხარისხოვანი საქმე. ნებისმიერი სამოქალაქო დავა უნდა გადაწყდეს სწრაფად, ობიექტურად, ამასთან, მთლიანად იქნეს დაცული მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმები.

სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადება არის სამოქალაქო სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია და მიზნად ისახავს სამოქალაქო დავის დროულ და სწორ გადაწყვეტას. ზოგჯერ ეს არ სრულდება. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მხარეებს დროულად არ აწვდიან აუცილებელ ცნობებსა და სხვა დოკუმენტებს. ასეთი დამოკიდებულება ხშირად იწვევს საქმეთა გადადებასა და განხილვის გაჭიანურებას. მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში სამ წელზე მეტია ჭიანჭურდება სამოქალაქო საქმე ნ. და პ. პასკალოვების სარჩელის გამო ბინის გაცვლის ორდერის ბათილად ცნობის შესახებ. ეს საქმე დღესაც არ არის არსებითად განხილული. ასევე ოთხი წელიწადია დაუმთავრებელია სამოქალაქო საქმე ს. ბოდკიას სარჩელის გამო ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოში. მსგავსი ფაქტები, სამწუხაროდ, ერთეული არ არის.

ზოგიერთი სასამართლო არ ითვალისწინებს საალიმენტო საქმეების დროულად განხილვისა და მართებულად გადაწყვეტის დიდ მნიშვნელობას, მაშინ, როდესაც საქმე შეეხება საბჭოთა მოქალაქეების, უპირველესად კი ბავშვებისა და ქალების სასიცოცხლო ინტერესებს. არც თუ იშვიათად ირღვევა კანონის მოთხოვნა ასეთი საქმეების შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის შესახებ, ზოგჯერ კი შეუწყნარებლად ჭიანჭურდება კიდევ. ასეთი დარღვევები დაუშვეს დმანისის (მოსამართლე დ. ციხელაშვილი), საჩხერის (მოსამართლე ი. მოდებაძე), ზესტაფონის (მოსამართლე ლ. კუბატაძე), ქ. გორის (მოსამართლე ჯ. ძლიერიშვილი), ლავოდენის (მოსამართლე გ. წიქარიძე) რაიონების სახალხო სასამართლოებმა.

მოსამართლეები სუსტად ახორციელებენ კონტროლს სასამართლო აღმასრულებლებისა და კანცელარიის გამგეების მუშაობისადმი. ბევრგან გამოკვეთილი არ არის სასამართლოს თავმჯდომარეების როლი, ისინი ხშირად იმიზეზებენ მოსამართლეთა პროცესუალურ დამოუკიდებლობას, მაშინ, როდესაც მათ აქვთ წარდგინების უფლება. ბოლო სამი წლის მანძილზე არცერთი ასეთი წარდგინება არ არის მათ მიერ დაწერილი.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1984 წელს მიღებული 5.780 საჩივრიდან გადაწყვეტილების შეუსრულებლობას შეეხება 2.470, ანუ 42,7 პროცენტი, მათ შორის, 1.774 ანუ 30,7 პროცენტი მოდის საალიმენტო საქმეებზე, რაც ცხადია, დაუშვებელია.

ზოგიერთ სასამართლოს საქმის განხილვისათვის მოუმზადებლობის გამო



დროულად არ გამოაქვს გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართლის ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორც არის სამუშაოზე აღდგენა, სამუშაო მოვალეობის შესრულების დროს მუშაკისადმი მიყენებული და დასახიჩრებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რომლებზეც კანონი ადგენს განხილვის შემოკლებულ ვადებს. ზოგიერთი მოსამართლე საქმის შეჩერების დროს არ ნიშნავს ახალი სხდომის დღეს, რის გამოც იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმოძრაოდ დევს სასამართლოს კანცელარიაში, ზოგჯერ კი ისიც ხდება, რომ მას საერთოდ ივიწყებენ.

სამოქალაქო საქმეების განხილვა ხშირად უსაფუძვლოდ არის შეჩერებული მოპასუხის ან მოწმის შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის, აგრეთვე კანონით გაუთვალისწინებელი სხვა გარემოებების გამო. ასეთი გამოგონილი მოტივები სრულიად დაუშვებელია. საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გადადება და შეჩერება იწვევს მათი განხილვის ვადების დარღვევას და მოქალაქეთა საჩივრებს.

სასამართლოების აღმზრდელითი როლის ამდღეობის ამოცანა მოთხოვს გამსვლელი სხდომების ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლას. სასამართლოები ხშირად აწყობენ სასამართლო სხდომებს დაწესებულებებში, მშენებლობებზე, მხარეების საცხოვრებელ ადგილებზე. მაღალ პროფესიულ დონეზე მოწყობილ ასეთ პროცესებს დიდი აღმზრდელითი და პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

ზოგიერთი სასამართლო საერთოდ არ აფასებს ასეთი სხდომების გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მნიშვნელობას, იშვიათად იწვევს პროცესებზე მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული სამოქალაქო დავების გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების თავიდან აცილება. სასამართლოები იშვიათად ავლენენ დავების წარმოშობის მიზეზებს, ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო განჩინებები, სათანადო რეაგირებას არ ახდენენ შრომის დისციპლინისა და მორალის ნორმების დარღვევის ფაქტებზე. ასეთ ფაქტებს ვხვდებით ადიგენის (მოსამართლე ნ. ჩაფიძე), თიანეთის (მოსამართლე ვ. ნადირაშვილი), ლანჩხუთის (მოსამართლე მ. კუნჭულია), წალენჯიხის (მოსამართლე ვ. ჩიქობავა), სიღნაღის (მოსამართლე ნ. გუგუნაშვილი) და სხვა სასამართლოებში. შარშან მთელი წლის განმავლობაში რესპუბლიკის 16 სახალხო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმე არ განუხილია გამსვლელ სხდომაზე და არ გამოუტანია არცერთი კერძო განჩინება.

სამოქალაქო საქმეებს უხარისხოდ იხილავენ აჭარის ასს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ქ. გორის, ქ. ჭიათურის, აგრეთვე ხაშურის, ქარელის, საჩხერის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლოები. 1984 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გაუქმდა გადაწყვეტილებების 31,5 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში 30,5 პროცენტი, გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლოში (მოსამართლე მ. კაკულია) 71 პროცენტი. ეს მაშინ, როდესაც მ. კაკულია გამოცდილი მოსამართლეა, დატვირთვა კი საშუალოზე დაბალი აქვს.



განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ყველა შეცდომა არ ვლინდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ამის გამო გადაწყვეტილებათა უმრავლესობა უქმდება არა საკასაციო, არამედ ზედამხედველობის წესით, მაშინ, როცა პირიქით უნდა იყოს.

სამართალწარმოების კულტურა გამოხატულებას პოულობს სასამართლო დოკუმენტების ხარისხში. ამ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართლის საქმეზე. მას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. მოთხოვნები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებებს აქვს წაყენებული, ავალდებულებს მოსამართლეებს კარგად იცოდნენ კანონი, შეძლონ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი ანალიზი და შეფასება.

გადაწყვეტილებებში უნდა აისახოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი, მისი შესავალი ნაწილი დასაბუთდეს მტკიცებულებებით, ან ისეთი საყოველთაოდ ცნობილი გარემოებებით, რომლებიც უდავოა. პრაქტიკაში ხშირად ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებას, სასამართლო გადაწყვეტილებები ნაჩქარევად არის გამოტანილი და სუსტად მოტივირებული, არ არის მითითებული, თუ რომელი კანონით იხელმძღვანელა სასამართლომ დავის გადაწყვეტისას.

მართლმსაჯულების ავტორიტეტს აქვეითებს ზოგიერთ სახალხო სასამართლოში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება ქვეყნდება არა სამოქალაქო საქმის განხილვის დამთავრების დღესვე, როგორც ამას მოთხოვს კანონი, არამედ რამდენიმე ხნის შემდეგ. მაგალითად, წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოში ორ წელზე მეტ ხანს ჭიანჭურდებოდა სამოქალაქო საქმე, მისი განხილვა ათჯერ და უფრო მეტად გადაიდო და როდესაც ბოლოსდაბოლოს დავა გადაწყვიტეს, გადაწყვეტილება პროცესის დამთავრებისთანავე არ გამოაქვეყნეს. მოსარჩელეს მხოლოდ ორი თვის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა გადაწყვეტილებას. საქმე განიხილა მოსამართლე ლ. მამაგვიშვილმა, მართალია იგი დიდი ხანი არ არის, რაც მუშაობს, მაგრამ ეს მას არ ამართლებს. ამ სასამართლოს თავმჯდომარე ო. შენგელია გამოცდილი, კვალიფიციური მოსამართლეა. ჩვენ იგი არაერთგზის გვაფრთხილეთ, პრაქტიკულადაც დავებმარეთ, მაგრამ, როგორც სჩანს, აქედან საჭირო დასკვნები ჯერ კიდევ არ გამოაქვს.

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სასამართლო პროცესების აღმზრდელი მნიშვნელობითი ზემოქმედების დონე დაბალია აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის საოლქო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ეს სასამართლოები ვერ ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის დაცვისა და სასამართლო შეცდომების დროულად გამოვლინებისათვის. ეს სასამართლოები იშვიათად განიხილავენ რთულ და გაჭიანჭურებულ სამოქალაქო საქმეებს პირველი ინსტანციით. ხანდახან კი, როდესაც აუქმებენ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებებს, კონკრეტულ მითითებებს არ აძლევენ სასამართლოებს. მაგალითად, 1983 წლის 17 ნოემბერს გლდანის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ვ. გიგაურის სარჩელი ნ. არაქელოვის



სადაო ბინაში შესახლების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 1984 წლის 1 მარტს გააუქმა ეს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუქვემდებარა იმავე სასამართლოს. 1984 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეს მოთხოვნა. ეს გადაწყვეტილება 1984 წლის 19 ივნისს კვლავ გაუქმდა და საქმე მესამეჯერ დაუბრუნდა სასამართლოს. გლდანის სახალხო სასამართლოს მიერ 30 ოქტომბერს გამოტანილი მესამე გადაწყვეტილება ისევ გაუქმდა 1984 წლის 20 დეკემბერს და საქმე მეოთხედ დაუბრუნდა გლდანის სახალხო სასამართლოს. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საქმეზე დღემდე არ არის გამოტანილი.

ანალოგიური ფაქტები ერთეული არ არის.

მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სამოქალაქო სამართლის საქმეებზე არაღამაკმაყოფილებლად იცავენ რესპუბლიკის ადვოკატები, ისინი იშვიათად მონაწილეობენ სასამართლო პროცესებში, ხშირად შეაქვთ სასამართლოებში დაუსაბუთებელი სარჩელები და უსაფუძვლო შუამდგომლობები. იუსტიციის სამინისტროს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმთან ერთად გათვალისწინებული აქვს შეისწავლოს სამოქალაქო საქმეებზე ადვოკატების პროცესში მონაწილეობის ეფექტიანობის საკითხი.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ადვოკატები სასამართლოს წინაშე აყენებენ მრავალრიცხოვან შუამდგომლობას, იჩენენ მოჩვენებით აქტიურობას, ამის გამო კი პროცესის მონაწილენი კარგავენ ძვირფას სამუშაო დროს. სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობათა მხოლოდ 5-10 პროცენტს. ეს დაუშვებელია, რადგან მოწმობს, რომ შუამდგომლობები დაუსაბუთებელია. პროცესის ყველა მონაწილე ერთნაირად მოვალეა დაადგინოს ჭეშმარიტება, მართლმსაჯულების განხორციელების დროს ხარისხიანად შეასრულოს თავისი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ძალიან ხშირად სასამართლო კოლეგიის მუშაობას აძნელებს უსაფუძვლო პროტესტები. მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. მხოლოდ შარშან, თბილისის საქალაქო სასამართლო კოლეგიამ უარყო პროკურატურის ორგანოების მიერ წარდგენილი პროტესტების 38 პროცენტი.

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს დაშვებული ეს შეცდომები იმის შედეგია, რომ მოსამართლეები ცუდად იცნობენ სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს, ცივილისტურ სასამართლო პრაქტიკას.

სასურველ შედეგს არ იძლევა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მეცადინეობა, ბოლომდე არ არის ამოქმედებული მოსამართლეთა გადამზადების სისტემა, მათი სწავლება სრულყოფას საჭიროებს.

სასამართლო გადაწყვეტილებების აღმზრდელობითი ზემოქმედება დღემდე არის დამოკიდებული სასამართლოს დასკვნების დამაჯერებლობაზე, მოტივებისა და არგუმენტაციების გარკვეულობაზე, დოკუმენტის იურიდიულ და საერთო კულტურაზე. ამას კი შეიძლება მივალწიოთ კადრებთან გულმოდგინე და კონკრეტული მუშაობით.



ეს პრობლემა აქტუალურ და გადაუდებელ პრობლემად რჩება. აუცილებელია ამდღის სსსამართლოს კადრების პროფესიული კომპეტენტურობის დონე. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახალხო მოსამართლეების 36 პროცენტს აქვს სასამართლოში მუშაობის 1-2 წლის სტაჟი, ცხადი გახდება, მისი სირთულე. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათი კვალიფიკაციის, ცოდნისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

ცნობილია, თუ რა ზიანი მოაქვს საქმისათვის ხელმძღვანელების ხშირ ცვლას. მაგრამ უფრო მეტი ზიანი მოაქვს გადაჭარბებულ შემწყნარებლობას, პროტექციონიზმს, როცა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ხვდებიან უგერგილო, გულგრილი, უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც ანგარებითი მიზნით განზრახ უშვებენ შეცდომებს, ამით აიხსნება, რომ შარშან სერიოზული შეცდომებისა და კანონის უხეში დარღვევების გამო ვადამდე იქნა გამოწვეული 13 სახალხო მოსამართლე. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ პრინციპული და დაუნდობელი ბრძოლა მომავალში კვლავაც გაგრძელდება. ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს სახალხო სასამართლოების შესახებ და შედეგების მიხედვით ვაკეთებთ ორგანიზაციულ დასკვნებს.

სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს სისტემაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, კერძო მესაკუთრული ტენდენციების აღმოფხვრას, ბრძოლას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მუშაობის ეფექტურობაზე და სერიოზულ ზიანს აყენებენ იუსტიციის ორგანოების და სასამართლოს მუშაკების ავტორიტეტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის სექტემბრის დადგენილების და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მითითებათა შესასრულებლად რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო მიზანდასახულ მუშაობას ეწევა სამოქალაქო სამართლის საქმეთა სამართალწარმოების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალაქებისა და რაიონების სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესებას.

სამოქალაქო სამართალწარმოების ხარისხის ამაღლების და კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით სამინისტრომ შემოიღო ახალი ფორმა — სამოქალაქო საქმეების განხილვის მდგომარეობის გამო სახალხო სასამართლოებიდან ყოველთვიურად სათანადო ანგარიშების მიღება და მათი ანალიზი. ეს უზრუნველყოფს სახალხო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის მდგომარეობისადმი კონტროლის გაუმჯობესებას, დარღვევისადმი დროულ რეაგირებას.

სამინისტრო ამჟამად დიდ ყურადღებას აქცევს სამოქალაქო სამართალწარმოების სხვადასხვა ასპექტში სასამართლოების მუშაობის განზოგადებას, მის დროულ და გულმოდგინე ანალიზს. განზოგადების მასალებს განიხილავს სამინისტროს კოლეგია, რომელიც ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სამ სახალხო სასამართლოში ექსპერიმენტის სახით წარმოებს მოსამართლეთა სპეციალიზაცია სამოქალაქო საქმეთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით. ეს ხელს უწყობს იმას, რომ მოსამართ-



ლევები ღრმად დაეუფლონ რთული სამოქალაქო საქმეების სპეციფიკას და თავისებურებებს.

განხორციელებული ღონისძიებანი უკვე იძლევიან დადებით შედეგებს. წლეულს პირველ კვარტალში შესამჩნევად გაუმჯობესდა საქმეთა განხილვის ხარისხი, ერთნახევარჯერ გაიზარდა კერძო განჩინებები, თითქმის ორჯერ და მეტად გამსვლელი პროცესების რაოდენობა, საზოგადოების წარმომადგენლები უფრო ხშირად მონაწილეობენ პროცესში. ორჯერ შემცირდა სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებული მუშაკების სამუშაოზე აღდგენის რაოდენობა. როგორც ჩანს, როცა ხელმძღვანელობა კონკრეტულად ხორციელდება, შედეგიც არ აყოვნებს.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული ამ საქმეთა გაუმჯობესების ყველა რეზერვი. სუსტად მონაწილეობენ ამ საქმეში სახალხო მსაჯულები. რამდენიმე სასამართლოში მივალწიეთ, რომ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კერძო განჩინებების განხილვაში აუცილებლად მონაწილეობენ სახალხო მსაჯულები, მაგრამ ზევრგან ეს არ კეთდება.

მიმდინარე წლის აპრილში სამრეწველო გაერთიანებებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და მეცნიერებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა დისციპლინის, ორგანიზებულობის, ინიციატივის, ეფექტიანობის საკითხებზე, მუშაობის საბოლოო შედეგების შესახებ. სწორედ, მუშაობის საბოლოო შედეგებით უნდა შევავასოთ თითოეული მოსამართლის, იუსტიციის სისტემის ყველა მუშაკის შრომა. სასამართლოებს უფრო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებთან, გამონახონ მათთან თანამშრომლობის ახალი ფორმები, ხელი შეუწყონ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციას. ამის განსახორციელებლად სამინისტრო ეწევა კონკრეტულ მუშაობას, რომლებიც ვფიქრობთ, შესაძლებლობას მოგვცემს შევასრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანები.



## სკულეყოთ სსჯელის დანიშნის სასამართლო პრაქტიკა

ო. ზეზია,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ანალიზი მოწმობს, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებების საფუძველზე გაძლიერდა დამნაშავეობასთან ბრძოლა დასჯითი პრაქტიკის სრულყოფის გზით.


სასამართლოები თავისუფლების აღკვეთას იყენებენ სოციალისტური ქონების დამტაცებლების, მექრთამეების, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელმყოფი პირების, რეციდივისტების, ხულიგნების და სხვა საშიში დამნაშავეების მიმართ. ამასთან ნაკლებად საშიშ დამნაშავეებს, რომლებიც ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სამუშაო ადგილიდან და ყოფა-ცხოვრებაში დადებითად ხასიათდებიან, სასამართლოები „სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორებითი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 26 ივლისის ბრძანებულების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე მართებულად იყენებენ სასჯელის ისეთ სახეებს, რომლებიც საზოგადოებისაგან იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული.

სასამართლო პრაქტიკისათვის ამ ბრძანებულებებს, აგრეთვე მათს საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს და დამატებებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი მიზანია სასჯელის ქმედითობის ამაღლება, დამნაშავისადმი უფრო დიფერენცირებული მიდგომა მისი პიროვნებისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, მსჯავრდადებულის ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების პრაქტიკის სრულყოფა, ამ საქმეში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრიობისა და შრომითი კლექტივების როლის გაზრდა.

1982 წლის საკანონმდებლო აქტებმა განსაზღვრა, რომ სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი სახეების გამოყენება, რომლებიც ყველაზე უფრო სწორია. იგი გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილის შემცირებას, მის შეფარდებას მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში.

ანალიზი მოწმობს, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ გზით მიდის. ბოლო





წლებში საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბით აშკარად გამოიხატა თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია. საკავშირო მასშტაბით თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილის შემცირება გამოიწვია განაჩენის აღსრულების გადადებამ (სისხლის სამართლის კოდექსის 47<sup>1</sup>-ე მუხლი), გამასწორებელი სამუშაოებისა და ჯარიმების გამოყენების ზრდამ. იგივე სურათია რესპუბლიკაშიც.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოღებული იქნა განაჩენის აღსრულების გადადება სრულწლოვანი პირებისათვის. მანამდე იგი გამოიყენებოდა მხოლოდ არასრულწლოვანების მიმართ. ამ გარემოებამ თითქმის ერთსამად გაზარდა საქართველოს სსკ 47<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ 1981-1983 წლების მაჩვენებლებით საქართველოს სსკ-ს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ბოლოსწინა ადგილი ეკავა სსკ-ის 47<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენების მხრივ. 1984 წლის მონაცემებით, მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამასთან უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლო საერთოდ არ იყენებს ამ მუხლს. მაგალითად, 1984 წელს იგი საერთოდ არ გამოუყენებია ქ. ტყიბულის, ასპინძის, ორჯონიკიძის, ლენტეხის რაიონების სახალხო სასამართლოებს. სისხლის სამართლის კოდექსის 47<sup>1</sup>-ე მუხლი მხოლოდ თითო პირის მიმართ აქვთ გამოყენებული ქ. ზუგდიდის, ადიგენის, მესტიის, საგარეჯოს, ყაზბეგის, ხობის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

რესპუბლიკაში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილის შემცირება იმანაც გამოიწვია, რომ სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლის სანქციიდან საერთოდ ამოღებულ იქნა თავისუფლების აღკვეთა. მაგალითად, სსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, 125-ე, 149-ე და 147-ე მუხლებიდან, რომლებიც წინათ ითვალისწინებდნენ თავისუფლების აღკვეთას, სასჯელის ეს სახე ამჟამად ამოღებულა.

თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილის შემცირებაზე გავლენა მოახდინა აგრეთვე იმ ფაქტორმაც, რომ ბოლო წლებში სსკ-ის განსაკუთრებულ ნაწილში შეტანილია ახალი მუხლები, რომელთა სანქციები არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

რესპუბლიკაში თითქმის ერთიორად ნაკლებია იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სიმთვრალეში. ასევე ნაკლებია იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობდნენ და არც სწავლობდნენ, წარსულში ნასამართლევი იყვნენ, დანაშაული ჩაიდინეს თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ ერთი წლის ვადაში. უდავოა, რომ ეს გარემოებებიც გავლენას ახდენს სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას.

ბოლო წლებში შეიმჩნევა ერთი წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა მისჯილთა ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია, რაც უდავოდ დადებითი ფაქტია.

1984 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა სსკ-ის 25<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენება (პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდადებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით). ამასთან სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლო არ იყენებს სსკ-ის 25<sup>1</sup>-ე



მუხლს. მაგალითად, 1984 წელს იგი საერთოდ არ გამოუყენებია ჩხოროწყუს, ცაგერის, ლენტეხის და ბოგდანოვის რაიონის სახალხო სასამართლოებს. ამ მუხლის გამოყენების დაბალი მაჩვენებელი აქვთ ქ. თბილისის ორჯონიძის, ლენინის რაიონის, გეგეჭკორის, მარნეულის, თელავის, წალენჯიხის რაიონების, ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოებს.

რესპუბლიკის სასამართლოები იშვიათად იყენებენ ისეთ ღონისძიებას, როგორც არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემით (სსკ 51<sup>1</sup>-ე მუხლი); ამხანაგური სასამართლოსათვის საქმის მასალების გადაცემა (სსკ-ის 52-ე მუხლი); არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის განსახილველად საქმის მასალების გადაცემა (სსკ-ის მე-12 მუხლი), საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ან შრომითი კოლექტივისათვის პირის თავდებქვეშ გადაცემა (სსკ-ის 53-ე მუხლი). ამ მუხლების გამოყენების რესპუბლიკური მაჩვენებელი საერთო-საკავშიროზე თითქმის ერთიოთხედ ნაკლებია.

უმაღლესმა სასამართლომ შეისწავლა 1985 წლის პირველი 4 თვის სასჯელის დანიშვნის სასამართლო პრაქტიკა. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს დაშვებული დარღვევების გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში გაუქმდა და შეიცვალა 20 განაჩენი 27 პირის მიმართ. მიმდინარე წელს შეცდომები სასჯელის დანიშვნის დროს შემცირდა 43,7 პროცენტით. სასჯელის დანიშვნისას შეცდომა დაუშვა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს დაქვემდებარებულმა 12 რაიონის და ქალაქის 14 სახალხო მოსამართლემ. გასული წლის შესაბამის პერიოდში შეცდომა დაუშვა 26 რაიონისა და ქალაქის 30 მოსამართლემ, ე. ი. შემცირდა სასამართლოების და მოსამართლეების რიცხვი, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს.

მიმდინარე წელს ღმობიერების მოტივით გაუქმდა 1 განაჩენი 2 პირის მიმართ, რაც მთლიანად გაუქმების და შეცვლის 7,4 პროცენტს შეადგენს. შარშან შესაბამის პერიოდში ღმობიერების მოტივით გაუქმებული იყო 6 განაჩენი 8 პირის მიმართ. ე. ი. მიმდინარე წელს ამ მიმართებით მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა.

მიმდინარე წელს სასჯელის საკითხზე დაშვებული შეცდომების 62,9 პროცენტი გამოწვეულია იმით, რომ სასამართლოებმა არ გამოიყენეს სსკ-ის 25<sup>1</sup> მუხლი (შრომაში სავალდებულო ჩაბმა). შეცდომების 18,6 პროცენტი გამოწვეულია სსკ-ის 47<sup>1</sup>-ე მუხლის გამოუყენებლობით.

ამგვარად, ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ სასამართლოების ერთი ნაწილი უსწოროდ იყენებს თავისუფლების აღკვეთას იმ შემთხვევაში, როდესაც არის კანონით გათვალისწინებული ყველა პირობა, რათა დამნაშავე პირს თავისუფლების აღკვეთის მაგივრად შეეფარდოს სხვა სასჯელი.

მოვიტანთ კონკრეტულ ფაქტებს:

1. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1984 წლის 19 ივლისის განაჩენით (თავმჯდომარე ო. მულალაშვილი) გ. კახანაძეს საქართველოს სსრ სსკ-ის 17-243-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა ერთი წლის და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა.



გ. კაპანაძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მთვრალი შეეცადა დროებითი გამოყენების მიზნით გაეტაცებინა ავტომანქანა „მოსკვიჩი“. სასამართლო კოლეგიის 1985 წლის 15 მარტის განჩინებით საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ზედწესით შემოტანილი პროტესტის საფუძველზე გ. კაპანაძეს განაჩენით დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად იმავე ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. განაჩენით სასჯელის დანიშვნისას ჯეროვნად არ იქნა გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და დანაშაულის პიროვნება. კერძოდ გ. კაპანაძემ დანაშაული ჩაიდინა პირველად, აღიარა და მოინანია იგი, მუშაობდა მეტეტონედ, დადებითად ხასიათდებოდა, დანაშაული მცდელობის სტადიაზე იქნა აღკვეთილი.

2. დმანისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1985 წლის 9 იანვრის განაჩენით (თავმჯდომარე დ. ციხელაშვილი) ს. მურვალადოვს საქართველოს სსრ სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით მიუსჯა ერთი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ს. მურვალადოვს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მოიპარა ორი ცხვარი. ქურდობის ჩადენის შემდეგ მან გაიგო, რომ ცხვარი ეკუთვნოდა მის თანასოფელს ს. ყურბანოვს. მან ამ უკანასკნელს უთხრა, რომ მოიპარა მისი ორი ცხვარი. ს. მურვალადოვმა ს. ყურბანოვს აღნაზღაურა მიყენებული ზარალი. სასამართლო კოლეგიის 1985 წლის 12 მარტის განჩინებით ს. მურვალადოვის მიმართ განაჩენი შეიცავდა. მას განესაზღვრა ორი წლით გამასწორებელი მუშაობა. სასამართლომ არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და პიროვნება. ს. მურვალადოვმა დანაშაული ჩაიდინა პირველად, აღიარა და მოინანია იგი, ჩაბმულია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, დადებითად ხასიათდება, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები, მიყენებული ზარალი ნებაყოფლობით აანაზღაურა.

საქართველოს სსრ სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოებსაც. განაჩენში არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ გამოიყენა სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა, და არა გამასწორებელი სამუშაოები. ამით უხეშად იქნა დარღვეული „სასამართლო განაჩენის შესახებ“. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების მე-11 პუნქტის შემდეგი მოთხოვნა: „უკეთეს სისხლის სამართლის კანონის სანქცია, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს, ითვალისწინებს არა მარტო თავისუფლების აღკვეთას, არამედ სასჯელის სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების დანიშვნის შესაძლებლობასაც, საჭიროა განაჩენში აღინიშნოს ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ გადაწყვიტა გამოიყენოს სწორედ თავისუფლების აღკვეთა“.

3. დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1985 წლის 7 იანვრის განაჩენით (თავმჯდომარე დ. ციხელაშვილი) ა. ბილალოვს საქართველოს სსრ სსკ-ის 238-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესჯა ორი წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 251- მუხლის გამოყენებით ჩაეთვალა პირობით იმავე ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ა. ბილალოვს მსჯავრი დაედო იმი-



სათვის, რომ შეიძინა და ინახავდა გადაჭრილ სანადირო თოფს. სასამართლო კოლეგიის 1985 წლის 19 მარტის განჩინებით ა. ბილალოვს დანიშნული სასჯელის აღსრულება სსკ-ის 47<sup>1</sup> მუხლის გამოყენებით გადაედო ორი წლით. განაჩენით სასჯელის დანიშვნისას ჯეროვნად არ იქნა გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და პიროვნების შემდეგი დადებითი მახასიათებლები: ა. ბილალოვი წლების განმავლობაში მუშაობს მწყემსად, დადებითად ხასიათდება, ჰყავს 4 შვილი და ღრმად მოხუცებული 102 წლის დედა, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. ასეთ პირობებში ა. ბილალოვის მოწყვეტა ოჯახისა და საქმიანობისაგან აშკარად გაუმართლებელია.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, სასამართლოების ერთი ნაწილი სერიოზულ შეცდომებს უშვებს სასჯელის განსაზღვრაში. ეს არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მოსამართლეების გამოუცდლობით, ან სათანადო პროფესიული პრაქტიკის უქონლობით. 14 სახალხო მოსამართლიდან, რომლებმაც მიმდინარე წელს შეცდომა დაუშვა 10 მოსამართლეს მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი აქვს. შეცდომები სასჯელის განსაზღვრაში უმთავრესად განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკული მუშაკების ერთი ნაწილის ცნობიერებაში ჯერ კიდევ არ მომხდარა სათანადო გარდაქმნა. ისინი ძველებურად, სასჯელის სხვა სახეებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ თავისუფლების აღკვეთას. ამით კი ივიწყებენ, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი (ზოგადი და კერძო პრევენციის ამოცანებიდან გამომდინარე) მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი სიმკაცრით, არამედ მისი გარდუვალობით. აშკარად მკაცრი სასჯელი, ვიდრე ამას იმსახურებს დამნაშავე, ძირს უთხრის მისი სამართლიანობის რწმენას.

სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედობისათვის ობიექტურად არსებობს სასჯელის ოპტიმალური ვარიანტი, რომელშიც შერწყმულია ზოგადი და კერძო პრევენციის ამოცანები. აგრეთვე ყველაზე ხელსაყრელი პირობები და ვადა დამნაშავის ხელახლა აღსაზრდელად. სასამართლოების ვალია მოძებნონ ის ვარიანტი, რომელიც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრობლემის ღერძს წარმოადგენს. ამისათვის აუცილებელია სასამართლოებმა ყურადღება მიაქციონ შემდეგ გარემოებებს:

— თითოეულ საქმეზე სრულად უნდა იქნას დადგენილი ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი. მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისას სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა გარემოებანი, რომელშიც ჩადენილია დანაშაული. კერძოდ, ბრალის ფორმა, მოტივი, დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დანაშაულის განხორციელების სტადია, დამდგარი შედეგების სიმძიმე, დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის ხასიათი და ხარისხი.

— ყოველმხრივ და სრულად იქნეს გამოკვლეული დამნაშავის პიროვნების მონაცემები. კერძოდ, დადგინდეს განსასჯელის დამოკიდებულება შრომისადმი, სწავლისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობებისადმი, მისი ქცევა წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში, შრომისუნარიანობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური პირობები; მონაცემები ნასამართლობაზე.

— გამოკვლეულ იქნეს დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი მიზეზები და პირობები.



— სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, ის პირობები, რომლებიც იქ არსებობს დამნაშავეს ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების თვალსაზრისით. ამის თაობაზე პირდაპირ არის ნათქვამი ადმინისტრაციული ორგანოების საინფორმაციო წერილში, რომელიც სასჯელის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით დაიგზავნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ შემცირდეს შეცდომები სასჯელის დანიშვნის დროს. შექმნილია სასჯელის დანიშვნის სასამართლო პრაქტიკის შემსწავლელი საპრობლემო ჯგუფი. თითოეული შეცდომა საგანგებო განხილვის საგანი ხდება. იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს, სასამართლო კოლეგიას გამოაქვს კერძო განჩინებები, ხოლო განსაკუთრებით უხეში დარღვევის დროს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აღძრავს დისციპლინურ დევნას. ყოველთვიურად დგება მიმოხილვა-განზოგადებანი, რომლებიც ეგზავნებათ რესპუბლიკის ყველა რაიონის და ქალაქის სახალხო სასამართლოებს. ამ მიმოხილვა-განზოგადებებში სხვა დარღვევებთან ერთად მოცემულია სასჯელის დანიშვნის დროს დაშვებული შეცდომების ანალიზი. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ზონალურ თათბირ-სემინარებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასჯელის დანიშვნის დროს დაშვებული შეცდომების განხილვას. განხორციელებული ღონისძიებების მეოხებით, როგორც ზემოთ ითქვა, შეცდომები სასჯელის დანიშვნის დროს კლებულობს.





# რეალური უზრუნველყოფით ბრალდებულის დაცვის უფლება

თ. დონჯაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ თითოეული დამნაშავე დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო პირი არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მსჯავრდადებული. ამის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 158-ე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 170-ე მუხლებით გარანტირებულ ბრალდებულის დაცვის უფლება, რომელიც საბჭოთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი დემოკრატიული პრინციპია.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით ბრალდებულის დაცვის უფლებაში შეტანილია ისეთი დებულებები, როგორიც არის: იკრდეს წაყენებული ბრალდების ხასიათი და საფუძველი, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა მოემზადოს თავის დასაცავად; აირჩიოს ან იყოლიოს უფასოდ დანიშნული დამცველი; დაჰკითხოს ბრალდების მოწმეები; გამოიძახოს და დაჰკითხოს დაცვის მოწმეები; ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; არ აიძულონ მისცეს თავისი ინტერესების საწინააღმდეგო ჩვენება ან აღიაროს დანაშაული. დაცვის უფლების განხორციელების ყველა ეს ელემენტი და გარანტიები გათვალისწინებულია და განვითარებულია საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

ბრალდებულის დაცვის უფლება თავის გამოხატულებას პოულობს კანონმდებლობის მთელ რიგ ნორმებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლის სამართალწარმოებაში პიროვნების უფლებების დაცვის ზოგად გარანტიებს (პიროვნების ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობა, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობა და ა. შ.).

ამა გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მთელი რიგი სპეციალური ნორმებით განმტკიცებული და დაკონკრეტებულია დაცვის უფლების რეალური განხორციელება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაში.



ბრალდებულის დაცვის უფლების მომწესრიგებელი ნორმების სწორი გამოყენებისა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1978 წლის 16 ივნისს მიიღო დადგენილება „სასამართლოების მიერ იმ კანონების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის დაცვის უფლებას“.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ბრალდებულის დაცვის უფლება, რომელიც წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს, ზუსტად უნდა განხორციელდეს სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაში, ვინაიდან იგი ჭეშმარიტების დადგენის, კანონიერ, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

მიუხედავად ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყოველთვის არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება ამ უფლების უზრუნველყოფას მოკვლევის და წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ხოლო ზოგჯერ სასამართლოებიც უშვებენ ამ უფლების უხეშ დარღვევებს, რასაც შედეგად მოსდევს გამოტანილი განაჩენების გაუქმება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო და საზედამხედველო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ განაჩენების გაუქმების ყოველი მერვე-მეცხრე შემთხვევა გამოწვეულია ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევით.

საგულისხმოა, რომ ამ ხასიათის სასამართლო შეცდომების მესამედზე მეტი ისეთ დარღვევებზე მოდის, როგორც არის დამცველის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებობა.

ამ ნორმის თანახმად, დამცველი მოვალეა გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ დადგინდეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან უმსუბუქებს მას პასუხისმგებლობას. ამას გარდა, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ორი განსასჯელის დამცველი, თუ ერთი მათგანის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორის ინტერესებს.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატები არ ასრულებენ კანონით დაკისრებულ მოვალეობას, ღრმად არ სწვდებიან საქმის არსს, ავტომატურად ეთანხმებიან ბრალდებულის (განსასჯელის) პოზიციას და დაცვის ფუნქციას ამოწურავენ სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით, ან იკავებენ განსასჯელის საწინააღმდეგო პოზიციას, უმძიმებენ მდგომარეობას და ფაქტობრივად მას რეალური დაცვის გარეშე ტოვებენ.

სასამართლო თავის მხრივ არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას, რაც შემდეგ განაჩენის გაუქმების საფუძველი ხდება. მაგალითად ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მ. სარალიძე მსჯავრდადებულ იქნა ავტოავარიისათვის.

არც წინასწარ გამოძიებაში და არც სასამართლოში მ. სარალიძე თავს დამნაშავედ არ ცნობდა და განმარტავდა, რომ გზებზე მოძრაობის წესები დაარღვია დაზარალებულმა, და არა მან. მიუხედავად ამისა, მ. სარალიძის ინტერე-



სების დამცველმა დაცვით სიტყვაში მიიჩნია, რომ იყო შერეული ბრალი და იშუამდგომლა სასჯელი ამის გათვალისწინებით შეფარდებოდა. ამგვარად ადვოკატი დაუპირისპირდა თავისი დასაცავი პირის პოზიციას, დაუმძიმა მას მდგომარეობა და ფაქტობრივად დაცვის გარეშე დატრვა. ამ დარღვევის გამო განაჩენი მ. სარალიძის მიმართ გაუქმდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ერთ დამცველს უფლება აქვს დაიცვას რამდენიმე ბრალდებული (განსასჯელი), მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, თუ მათი ინტერესები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 16 ივნისის დადგენილების მე-14 პუნქტით, როდესაც ადვოკატი იცავს ორ ან მეტ პირს, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (მაგალითად, ერთი აღიარებს დანაშაულს, მეორე კი არა, ერთი განსასჯელი ამხელს მეორეს), სასამართლომ სხვადასხვა დამცველი უნდა უზრუნველყოს თითოეული განსასჯელი. თავის მხრივ, საქმეში მონაწილე დამცველი მოვალეა იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა იგი გაათავისუფლონ ერთ-ერთი განსასჯელის დაცვისაგან.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ერთი დამცველი იცავს ორ პირს, რომელთა ინტერესებიც ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მაგალითად, ლავოდების რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებული იქნენ ვ. კორსუნი, ა. კორჩაკი, ა. იაროში და ნ. ილაშვილი ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებისათვის. საქმის მასალებით მსჯავრდებულმა ა. იაროშმა თავი არ ცნო დამნაშავედ, მაგრამ წინასწარ გამოძიებაში ამხილა ნ. ილაშვილი ნარკოტიკული ნივთიერების შეძენაში პირადი მოხმარებისათვის. თავის მხრივ ნ. ილაშვილმა წინასწარ გამოძიებაში ამხილა ა. იაროში ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღებაში და ეს ჩვენება სასამართლომ განაჩენში ა. იაროშის ბრალდების დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენა. მიუხედავად ამისა, ორივე მათგანს, როგორც წინასწარი გამოძიების დამთავრების სტადიაზე, ისე სასამართლოში, იცავდა ერთი ადვოკატი. ეს საფუძველი გახდა იმისა, რომ ოთხივე პირის მიმართ განაჩენი გაუქმებულიყო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც სავალდებულოა დამცველის მონაწილეობა.

წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა არასრულწლოვანთა, მუნჯი, ყრუ, უსინათლო და სხვა ისეთი პირების საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განაზოციელონ თავისი დაცვის უფლება. ასეთ ვითარებაში დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან.

იმ პირთა საქმეებზე, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა, ან რომლებსაც სასჯელის ზომად შეიძლება დაენიშნოთ სიკვდილით დასჯა, დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა იმ მომენტიდან, როდესაც ბრალდებულს აუწყებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და გასაცნობად წარუდგენენ საქმის მთელ წარმოებას.



სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალდებელი, აგრეთვე არის წინააღმდეგობა განსასჯელთა ინტერესებს შორის, თუ ერთ მათგანს მაინც ჰყავს დამცველი.

თუ ასეთ შემთხვევებში ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი დავალებით სხვა პირს დამცველი არ მოუწვევია, სასამართლო ან შესაბამისად გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ საქმის განხილვაში დამცველის მონაწილეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ე. კეკუტიას მიმართ, რომელიც მსჯავრდადებული იყო სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. განაჩენის გაუქმების საფუძველი ის იყო, რომ საქმის მასალების მიხედვით ე. კეკუტიას დაქვეითებული ჰქონდა მხედველობა. მას საგამოძიებო მოქმედებათა დოკუმენტებს აცნობდა და მის მაგივრად ხელს აწერდა სხვა პირი და მიუხედავად ამისა გამოძიებამ არ უზრუნველყო იგი დამცველით ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

დაცვის უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ბრალდებულის (განსასჯელის) უფლება ისარგებლოს მის მიერ არჩეული დამცველის დახმარებით. არც გამომძიებელს, არც პროკურორს და არც სასამართლოს უფლება არა აქვთ უარი უთხრან ბრალდებულს მის მიერ მოწვეული დამცველის დახმარებაზე იმის გამო, რომ მაგალითად, საქმეში მონაწილეობს დამცველი დანიშნით. არავის არა აქვს უფლება ბრალდებულს თავს მოახვიოს დამცველად განსაზღვრული ადვოკატი. დამცველის პერსონალურად მოწვევის პრინციპის დაუცველობა არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა.

კანონი ბრალდებულს (განსასჯელს) უფლებას ანიჭებს უარი თქვას დამცველზე საქმის წარმოების ყველა მომენტში. ეს ეხება ყველა საქმეს, მათ შორის საქმეებს, რომლებშიც დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. ასეთი უარი დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის ინიციატივით. დამცველზე უარი უნდა იყოს ნებაყოფლობითი, გამოხატული პირდაპირ და განსაზღვრული ფორმით.

სასამართლოებმა ყოველთვის უნდა შეამოწმონ, ხომ არ არის იძულებითი ბრალდებულის (განსასჯელის) უარი დამცველზე და უზრუნველყოფილია თუ არა ადვოკატის საქმეში მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში დამცველზე უარი იურიდიული სამსახურის საფასურის ანაზღაურებისათვის სახსრების უქონლობის გამო მიჩნეულია დამცველზე უარის თქმად არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით.

სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უკანასკნელ ხანს შეტანილია ნორმა, რომლის თანახმადაც „წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორს, სასამართლოს, რომელთა წარმოებაშიც არის საქმე, აგრეთვე იურიდიული კონსულტაციის გამგეს და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უფლება აქვთ მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ ბრალ-



დებული საფასურის გადახდისაგან იურიდიული დახმარებისათვის. წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორის ან სასამართლოს მიერ მოქალაქის განთავისუფლებისას იურიდიული დახმარებისათვის საფასურის გადახდისაგან ადვოკატს შრომა აუნაზღაურდება სახელმწიფოს ხარჯზე“.

ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტიაა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს უფლება აქვს იშუამდგომლოს პროკურორის წინაშე დამცველის დამშვებისათვის საქმეში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების წაყენების მომენტიდან. მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ნორმის მოთხოვნა, ფორმალურად სრულდება. ბრალდებულები იშვიათად მიმართავენ მას. ეს მოწმობს, რომ, ერთი მხრივ, ბრალდებულებს რეალურად არ განუმარტავენ ამ უფლებას ან კიდევ მათ არა აქვთ იმედი, რომ მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება.

დაცვის უფლების, ამ დემოკრატიული უფლების თანამიმდევრული განხორციელება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე უზრუნველყოფს არა მარტო პიროვნების უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევის თავიდან აცილებას, არამედ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

ამიტომ არის, რომ კანონი ადგენს: სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევნი მოვალენი არიან უზრუნველყონ ბრალდებულისათვის კანონით დადგენილი საშუალებებითა და ხერხებით მისთვის წაყენებული ბრალდებისაგან თავის დაცვის შესაძლებლობა.



## ავტოტრანსპორტის გატაცების საბანი და სუბიექტი

მ. გელოვანი

1. ავტოტრანსპორტის გატაცება დროებით გამოყენების მიზნით სატრანსპორტო საშუალების უკონტროლო სარგებლობის ვითარებას ქმნის. ამ დანაშაულის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება იმით არის განპირობებული, რომ ავტომანქანის გატაცება დიდ მორალურ ტრავმას აყენებს მის მფლობელს და ხშირად მთავრდება ავტოავარიით, რაც იწვევს მსხვერპლს და მატერიალურ ზარალს. ავტომანქანის გატაცება ხშირად ქურდობაში გადაიზრდება ხოლმე. ზოგჯერ დამნაშავე მას სხვა დანაშაულის ჩასადენად იყენებს.

1961 წლამდე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დროებით გამოყენების მიზნით ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის. სასამართლოები ანალოგიის საფუძველზე იყენებდნენ მუხლს, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ხულიგნობისათვის, და ამით დაუსაბუთებლად აფართოვებდნენ ხულიგნობის ცნებას.

1961 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ახალი, 243-ე მუხლით დააწესა პასუხისმგებლობა დროებით სარგებლობის მიზნით ავტომანქანის გატაცებისათვის. ეს მუხლი ერთნაწილიანი იყო და ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის ითვალისწინებდა არასაპატიმრო დონისძიებებს: გამასწორებელ სამუშაოებს ერთ წლამდე ვადით, ან ას მანეთამდე ჯარიმას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“<sup>1</sup> ამ მუხლს დამატა მეორე ნაწილი, რომლითაც ავტომოტოტრანსპორტის განმეორებით გატაცება ჩაითვალა გატაცების კვალიფიციურ სახედ და სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. მუხლმა შემდეგი სახე მიიღო: „ავტომობილის, მოტოციკლის ან სხვა სახეობის ავტოტრანსპორტის გატაცება დროებით გამოყენების მიზნით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

ეს ნორმა ავტოტრანსპორტის გატაცებასთან ბრძოლაში არაეფექტიანი აღმოჩნდა, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებდა ისეთ მაკვალიფიციურებელ ნიშნებს, როგორიც არის დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში, იმ პირის მიერ, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა, პირთა ჯგუფის მიერ, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ან ძალადობით და სხვა.

<sup>1</sup> იხ. „საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1966, № 2, მუხ. 15.



საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლს კიდევ ერთი ნაკლი ჰქონდა — ნორმის დისპოზიცია, სადაც ლაპარაკია დანაშაულის საგანზე: „ავტომობილი, მოტოციკლი ან სხვა სახეობის ავტოტრანსპორტი“ არ ითვალისწინებდა ქალაქის ელექტროტრანსპორტის და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებას, რაც დიდ სიძნელეებს იწვევდა.

ბ. კურინოვი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლს აკრიტიკებდა იმის გამო, რომ იგი არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას საქალაქო ელექტროტრანსპორტის გატაცებისათვის, ასევე სარკინიგზო, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის გატაცებისათვის<sup>2</sup>.

მართლაც, ამ მუხლით დაუსაბუთებლად იყო შეზღუდული იმ სატრანსპორტო საშუალებათა ცნება, რომელთა გატაცებაც ხდებოდა დროებით გამოყენების მიზნით. კანონმდებელს აქაც შეეძლო ესარგებლა საქართველოს სსრ სსკ-ის 241-ე მუხლის დისპოზიციაში მოცემული სატრანსპორტო საშუალებათა ჩამონათვალით, რომელიც უფრო ზუსტად განსაზღვრავს იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა გატაცებაც დროებით გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ბ. კურინოვის აზრით, ამავე ცნებაში უნდა შესულიყო აგრეთვე სარკინიგზო, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ორგანოები იძულებული იქნებოდნენ, ისევე როგორც წინათ, ამ შემთხვევებში კვლავ გამოეყენებინათ ხულიგნობის მუხლი და დაუსაბუთებლად გაეფართოებინათ ხულიგნობის ცნება<sup>3</sup>.

საჭირო გახდა ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება. 1979 წლის 18 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, 234-ე მუხლის ახალი რედაქცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება დროებით გამოყენების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ან ჩადენილი სიმთვრალეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს, ანდა დაკავშირებული ძალადობასთან, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების ბუქარასთან — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ავტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება, რაც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების ბუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“.


2. ახალმა კანონმა დადებითი როლი შეასრულა ავტომანქანების გატაცე-

<sup>2</sup> Б. А. Куринов, *Автотранспортные преступления*, М., 1970, стр. 151.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>4</sup> იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1979, № 4, მუხ. 79.





ბის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, მაინც სადავო დარჩა საკითხი, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ დანაშაულის საგნის ცნებაში, კერძოდ კი — „სხვა თვითმავალ მანქანებში“.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა გატაცებია საგნის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ალენუმის 1969 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებებით.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამ მუხლის საგნის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ის სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთა რეგისტრაციაც ხდება სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში.

ამ განმარტებას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გატაცების საგნის საკითხის გადაწყვეტა, მხოლოდ იმია მიხედვით, არის თუ არა ესა თუ ის სატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში რეგისტრირებული, მთლად ზუსტი არ არის.

საგზაო მოძრაობის წესების მე-4 მუხლის მინაწერში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარებიან: „ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ეკუთვნიან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, სარბოლო ავტომობილები, სპორტული ორგანიზაციების მოტოციკლები, ასევე ტექნოლოგიური ტრანსპორტი, რომლის ექსპლოატაცია დახურულ ტერიტორიებზე ხდება“.

ასეთი ტრანსპორტის რეგისტრაცია წარმოებს იმ სამინისტროებისა და უწყებების მიერ დადგენილი წესით, რომელთაც ისინი ეკუთვნიან. ამიტომ ეს სატრანსპორტო საშუალებანი არ შედიან გატაცების საგნის ცნებაში.

პრაქტიკაში ხშირად იმ სატრანსპორტო საშუალების (მოტოროლერები, მოპედები და სხვა) გატაცება, რომელთა ძრავის სამუშაო მოცულობა 49,8 კუბურ სანტიმეტრზე ნაკლებია, განიხილება როგორც ბავშვური ანცობა და ასეთ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თითქმის არ აღძრულა.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებანი, მათი ნაკლები სიმძლავრის გამო, არ წარმოადგენენ მომეტებული საფრთხის წყაროს და შესაბამისად არ გვევლინებიან ზემოთ მოხსენიებული დანაშაულის საგნად. ამასთან დაკავშირებით ვ. ეგოროვი სწორად აღნიშნავს, რომ ეს კრიტერიუმი უნივერსალური არ არის, იგი მხოლოდ შიდაწვის ძრავებს ახასიათებს. ამასთან ერთად ძრავის ძალა, მართალია, დამოკიდებულია მის სამუშაო მოცულობაზე, მაგრამ იგი მართლ ამით არ განისაზღვრება. მაგალითად, მოპედების МП-046 და „რიგა-4“-ის ძრავის მოცულობა 49,8 კუბური სანტიმეტრია, ხოლო სიმძლავრე 2 ცხენის ძალაა, იგივე მოცულობის ძრავით მოტოციკლი „სუძუკის“ სიმძლავრე კი 18 ცხენის ძალაა<sup>5</sup>.

ამ დანაშაულის საგნის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი თვითმაგალი უნდა იყოს, ე. ი. მოძრაობდეს არა საჭაპანო ან ადამიანის ფიზიკური ძალის მეშვეობით, არამედ მასზე დაყენებული ნებისმიერი ტიპის ძრავით.

<sup>5</sup> Егоров В. И. Определение предмета посягательства при квалификации угона автотранспортных средств, Сов. Юст., 1976, № 22, стр. 18—19.



ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ავტომოტოტრანსპორტის მაქსიმალური სიჩქარე 5 კმ/საათი მაინც უნდა იყოს, რათა იგი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად მივიჩნიოთ, ამავე დროს არავინ მიუთითებს იმაზე, თუ რატომ მაინცდამაინც 5 კმ/საათი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ უნდა იყოს სწორი, რადგან ზოგიერთი სახეობის ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 5 კმ/სთ-იც კი არ არის, მიუხედავად ამისა მათი დანაშაულებრივი გზით, არაკანონიერი მფლობელის ხელში თუნდაც დროებით მოხვედრა, დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას ქმნის.

ჩვენი აზრით, ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა და სხვა თვითმავალი მანქანების გატაცების საგნის ცნება შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: სახელმწიფო ავტონისპექციის ან სხვა სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ავტომოტოტრანსპორტის საშუალებანი ან სხვა თვითმავალი მანქანები, მათი სიჩქარისა და სიძლიერის მიუხედავად, რომელთა მოძრაობა რეგულირდება საგზაო მოძრაობის წესებით და რომელთა მართვისათვისაც საჭიროა სპეციალური ნებართვა.

ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით, საწყლოსნო და რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებების გატაცების ფაქტები მათი გამოყენებისა და მოძრაობის თავისებურებების გამო იშვიათია; შედარებით გავრცელებულია მსუბუქი საწყლოსნო ტრანსპორტის გატაცება. ვ. ხომიჩი თვლის, რომ, თუ გატაცებას არ გამოუწვევია მძიმე შედეგები, შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით, ხოლო საწყლოსნო და რკინიგზის სხვა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება შესაბამისი უწყების თანამშრომლების მიერ, რომელსაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა მძიმე შედეგები, დავაკვალიფიციროთ ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლით (მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა), ანალოგიური დანაშაული ჩადენილი გარეშე პირების მიერ, უნდა დაკვალიფიცირდეს ბსსრ, სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლით (ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა)<sup>6</sup>.

ჩვენი აზრით, საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ არის მართებული შემდეგი მოსაზრებების გამო: 1. არ იქნება სწორი ერთგვარი დანაშაულებრივი ქმედობა სხვადასხვა მუხლით დავაკვალიფიციროთ მხოლოდ დანაშაულის სუბიექტის მიხედვით. 2. ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამ ორ მუხლში ძალზე განსხვავებულია სასჯელის მაქსიმუმები. 3. ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე და 82-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩაიდინო, ხოლო 243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ყოველთვის გულისხმობს განზრახვას.

ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება, თუ შემოვიღებთ სპეციალურ მუხლებს, რომლებიც გაითვალისწინებენ პასუხისმგებლობას საწყლოსნო და რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის. ახალ მუხლში ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს დანაშაულის საგნის ცნება, მისთვის დამახასიათებელი

<sup>6</sup> Хомич В. М., Уголовная ответственность за угон транспортных средств, Минск, 1982, стр. 16.





მაკვლიფიცირებელი ნიშნები, სასჯელის სახეობანი და ზომა, რომელიც ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შესაბამისი იქნება.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სსრ კავშირის მოქალაქე, უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე შერაცხადი პირი, რომელმაც 16 წლის ასაკს მიაღწია.

ამ დანაშაულის სუბიექტები არ იქნებიან ავტომეურნეობათა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ის თანამდებობის პირები, რომლებსაც აქვთ ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონტროლირებული მართვის უფლება იმ ორგანიზაციის ფარგლებში, სადაც ისინი მუშაობენ.

ზოგიერთი ავტორი აფართოებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტის ცნებას. მ. ვალევის აზრით, ამ მუხლით პასუხი უნდა აგონ იმ პირებმაც, რომლებმაც ადმინისტრაციისაგან დაუკითხავად, თვითნებურად ისარგებლებენ მათზე გაპიროვნებული მანქანით<sup>7</sup>.

საკითხის ამგვარად დასმა არ არის მართებული. ამ დროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან ამ შემთხვევაში მძღოლს განსაზღვრული უფლება აქვს მანქანაზე, იგი მასზეა გაფორმებული და დაინტერესებულია ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობით, მისი ბედით. ამიტომ ამგვარი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი არ არის დიდი. ჯ. ბაბილაშვილის აზრით, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლინური ან ადმინისტრაციული სასჯელი<sup>8</sup>. ეს მოსაზრება ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, სწორად აქვს გადაჭრილი ახლო ნათესავის კუთვნილი ავტომანქანის გატაცების საკითხი ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსს, რომლის მიხედვით „სისხლისსამართლებრივი დევნა“ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა სატრანსპორტო საშუალების გატაცება, წამოიჭრება დაზარალებულის განცხადების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ იგი გვევლინება დამნაშავის მეუღლედ, ან მის ნათესავად აღმავალი ან დაღმავალი ხაზით, ან სისხლის ნათესავად მეორე ხარისხამდე, ან ცხოვრობს მასთან ერთად საერთო მეურნეობაში, ან მაშინ, როდესაც დაზარალებული გვევლინება დამნაშავის მეურვედ ან მზრუნველად<sup>9</sup>.

<sup>7</sup> Комментарии к УК Каз. ССР, Алма-Ата, 1966. с. 538.

<sup>8</sup> ჯ. ბაბილაშვილი, პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, თბ., 1977, გვ. 143.

<sup>9</sup> об. УК НРВ, М., 1970, с. 115, стр. 346.





# მოსწავლეთა სამართლებრივი ბანათლება და აღზრდა

ო. დოლიძე,

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის მიზანია ჩვეუ-  
ნერგოთ ბავშვებს საბჭოთა კანონების პატივისცემა, დაკისრებულ მოვალეო-  
ბათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, გავაცნოთ საბჭოთა სა-  
ხელმწიფოს და სამართლის საფუძვლები, მათი დემოკრატიული ბუნება და  
პრინციპები. მთელი ეს საქმიანობა წარმოებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავი-  
სებურებათა და შესასწავლი საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ საქ-  
მისათვის ფართოდ არის გამოყენებული აგრეთვე კლასგარეშე აღმზრდელო-  
ბითი მუშაობის ფორმები. განვუმარტავთ რა საბჭოთა სამართლის ნორმებს,  
მოსწავლეებისაგან მოვითხოვთ, რომ განუბრელად დაიცვან კანონები და  
სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ  
მართლწესრიგის განმტკიცებაში.

სკკბ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ „მართლწესრი-  
გის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წი-  
ნააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ დასახა მოსწავლეთა სამართლებ-  
რივი კულტურის ამოღების ამოცანა. ეს კი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ  
საკლასო და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანული შერწყმის მეოხებით, სახელ-  
მწიფოსა და სამართლის საფუძვლის სწავლების გაუმჯობესების, საზოგადო-  
ებრივი ორგანიზაციების ცხოვრებაში, მართლწესრიგისა და ბუნების დაცვაში  
მოსწავლეთა აქტიური ჩაბმის საფუძველზე. ზრუნვა სკოლაში და მიკრორა-  
იონში დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, პურის, წყლის,  
ელექტროენერჯის ყაირათიანი ხარჯვისათვის, სკოლის ქონების და მწვანე  
ნარგავების დაცვისათვის — ყველაფერი ეს ხელს უწყობს მოსწავლის პა-  
სუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი შეგნების, დადგენილი წესებისადმი  
პატივისცემის გაძლიერებას, მისი სამართლებრივი მრწამსის ჩამოყალიბებას.  
სკოლაში საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების სწავლება  
მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემის განუყოფელი და ორ-  
განული ნაწილია.

ჯერ კიდევ დაწყებითს სკოლაში ეცნობიან ბავშვები მოსწავლეთა ქცე-  
ვის, უსაფრთხოების ტექნიკის, ქუჩაში მოძრაობის, სანიტარიული და ჰიგი-  
ენური წესების დაცვის ელემენტარულ მოთხოვნებს, აგრეთვე სკოლის წეს-  
დებას. მასწავლებლები ბავშვებს აცნობენ ჩვენი სამშობლოს წარსულს და  
დღევანდელობას, უნერგავენ მათ სიამაყის გრძნობას იმისათვის, რომ მიეკუთ-  
ვნებიან საბჭოთა ხალხს. უმცროსი კლასების მოსწავლეებთან ამ მუშაობის  
ძირითადი ფორმაა კომუნისტური მორალის ნორმების შინაარსის მკაფიო,  
ზუსტი და დამაჯერებელი ახსნა გარემო სინამდვილის, მხატვრული ნაწარმო-  
ებების მაგალითების მოშველიებით. კლასგარეშე ღონისძიებები, სკოლაში  
ბავშვები ეცნობიან კოლექტივში ცხოვრების, შრომისა და ქცევის წესებს.



ეჩვევიან საზოგადოებაში თავდაჭერას. ასაკის შესაბამისად იზრდება სკოლის კედლებში მოსწავლის მიერ მიღებული სამართლებრივი ინფორმაციის მოცულობა. კლასის ხელმძღვანელები უფრო ხშირად მართავენ საუბრებს მორალურ-სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი ზნეობის დამკვიდრებას, ორგანიზებულობის, დისციპლინის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განმტკიცებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეოთხე და მეხუთე კლასის მოსწავლეების ინტერესი მორალურ-სამართლებრივი პრობლემებისადმი იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კლასებში არ იკითხება სამართლის საფუძვლების კურსი, ამ რგოლშიც სამართლებრივი განათლება და აღზრდა წარმოებს მიზანმიმართულად, გარკვეული სისტემით. მოსწავლეები ისტორიის გაკვეთილებზე ეცნობიან სახელმწიფოს ცნებას, სოციალისტური სახელმწიფოს შინაარსს. საუბრებში, რომლებიც კომუნისტურ ურთიერთობებს ეძღვნება, მასწავლებლები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მნიშვნელობას, მის ზნეობრივ მხარეს, უჩვენებენ, თუ რა შეურიგებელ ბრძოლას ეწევა საბჭოთა სახელმწიფო იმათ მიმართ, ვისაც არ სურს იშრომოს, არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. მოსწავლეებს უქმნიან დასაბუთებულ და დამაჯერებელ წარმოდგენას საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

მეხუთედან მეშვიდე კლასის ჩათვლით, ისტორიის მასწავლებლები მოსწავლეებს მისაწვდომი ფორმით უხსნიან სახელმწიფოს და სამართლის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებს. VIII კლასში კი, როგორც ცნობილია, ქვეყნის ყველა სკოლაში იკითხება საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების სპეციალური კურსი, რომლის შემოღების მიზანშეწონილობა უდავოა. რამდენიმე წლის წინათ ამ საგნის სწავლება დაიწყო საღამოს და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც ერთიანი პროგრამითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით. ამ კურსის სწავლების პროცესში მოსწავლეები ეცნობიან ვ. ი. ლენინის შრომას „ახალგაზრდათა კავშირის ამოცანები“, ფრაგმენტებს ნაშრომებიდან „რა არის საბჭოთა ხელისუფლება?“, „საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ“, „ღიადი თაოსნობა“, სკკპ XXVI ყრილობის მასალებს, სსრ კავშირის კონსტიტუციას, სხვა პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტებს.

მოსწავლეთა სამართლებრივ განათლებასა და აღზრდას დიდი ყურადღება ეთმობა IX და X კლასებშიც. მასწავლებლები ამ კურსის სწავლების დროს მოსწავლეებს აცნობენ ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის ისტორიას და ფუნქციებს, სახელმწიფო აპარატის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, კანონიერების განმტკიცების საკითხებს.

მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში ფართოდ არის გამოყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ფორმები. მორიგეობა სკოლაში, სასკოლო ავეჯის რემონტი, შრომა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადაში, სასწავლო-საწარმოო კომბინატში, მონაწილეობა წესრიგის დაცვის შტაბში, მილიციის ნორჩ მეგობართა და მწვანე პატრულთა რაზმებში ხელს უწყობს



ბავშვების სამართალშეგნების ჩამოყალიბებას. სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის სრულყოფა მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ხელსაყრელ პირობებს ქმნის. განათლების სამინისტრო მხარს უჭერს და აზოგადებს სკოლების გამოცდილებას, რომლებმაც შეიმუშავეს მორალისა და სამართლის საფუძვლების შესწავლის გარკვეული სისტემა. მისი შემადგენელი ნაწილია: შეხვედრები იურისტებთან, მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ყველა რგოლის მუშაკებთან. ამ შეხვედრების დროს იმართება საინტერესო საუბრები ბუნების დაცვის, მოსწავლეთა ქცევის კულტურის შესახებ. კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად იყენებენ თვალსაჩინოებასა და ილუსტრირებულ მასალებს.

მოზარდი თაობის სამართლებრივ აღზრდაში სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლას დიდ დახმარებას უწევენ მშობელთა საზოგადოებები. ამ მხრივ გამოირჩევიან ზუგდიდის, გორის, ზესტაფონის, ცხაკაიის რაიონების, ქ. თბილისის ლენინისა და კალინინის რაიონების და ქ. რუსთავის მშობელთა საზოგადოებები. ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა მშობელთა რაიონული კლუბი ქ. თბილისის გლდანის რაიონში.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ მოსწავლეთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების უზრუნველსაყოფად. ინერგება ისეთი ფორმები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდას. ამას ისახავს მიზნად, მაგალითად, სასკოლო იურიდიული კონსულტაციები, ლექტორიუმები, კლუბები. მოზარდთა თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისა და ორგანიზებული დასვენებისათვის ბევრ სკოლაში შექმნილია „დასვენების დღის კლუბი“, რომელშიც გაერთიანებული არიან ძნელად აღსაზრდელი ყმაწვილებიც.

სახალხო განათლების ორგანოებს სამართალდარღვევებთან ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მიმდინარე წლის დამდეგს ქ. თბილისის ყველა რაიონში, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საკითხები განიხილეს პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სამართალდამზრდელი მუშაობის სისტემის ლოგიკური დასასრულია საზოგადოებათმცოდნეობის კურსი, რომელიც ისწავლება X კლასში.

მოსწავლეთა სამართლებრივ განათლებასა და აღზრდაში უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სწავლების, აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და შრომისათვის მათი მომზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან, სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებიდან გამომდინარე ამოცანების რეალიზაციისათვის.

ცნობილია, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს ჰქონდა ნაკლი, რაც მისი ცალმხრივობით გამოიხატებოდა, სახელმძღვანელოში ჭარბობდა იურიდიული ასპექტები, არადამაკმაყოფილებ-



ლად იყო წარმოდგენილი კომუნისტური მორალი, ზნეობისა და ეთიკის საფუძვლები, ამიტომ იგი სრულად ვერ უპასუხებდა სკოლის აღმზრდელობითს ამოცანებს. საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების პროგრამაში, ახალი სახელმძღვანელოს შინაარსსა და სტრუქტურაში არსებითი ცვლილებანია შეტანილი. მნიშვნელოვნად არის გაძლიერებული ყურადღება მოზარდთა ზნეობრივი განათლებისა და აღზრდის საკითხებისადმი, სახელმძღვანელო შეიცავს კომუნისტური მორალისადმი მიძღვნილ სპეციალურ პარაგრაფს, გაძლიერებულია მეთოდოლოგიური აპარატი, ამოღებულია ზოგიერთი მეორეხარისხოვანი და ინფორმაციული ხასიათის მასალა, ახლებურად შეისწავლება სისხლის სამართლის ცალკეული საკითხები.

კურსის ძირითად ამოცანად იქცა საბჭოთა კონსტიტუციის შესწავლა, სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობა.

საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების სწავლება ეხმარება მასწავლებლებს, სკოლას სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეებმა სწორი პასუხი მიიღონ კომუნისტური მორალის იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აღელვებს, გამოვუმუშაოთ მათ გამოკვეთილი ზნეობრივ-სამართლებრივი ორიენტაცია, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუდმივ ყურადღებასა და სრულყოფას მოითხოვს ბრძოლა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ. ახალიზი გვიჩვენებს, რომ მოზარდთა შორის სამართალდარღვევის ყველაზე გავრცელებული სახეობაა სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, სხეულის მძიმე და მსუბუქი დაზიანება, თაღლითობა. მოსწავლეთა შორის დანაშაულებრივი ფაქტები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ პრობლემის გადაწყვეტაში არ არის უზრუნველყოფილი კომპლექსური მიდგომა.

სამართალდარღვევის ძირითადი მიზეზია დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებთან სკოლისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასაკმარისი ინდივიდუალური მუშაობა, მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციისადმი უყურადღებობა.

სახალხო განათლების ზოგიერთი ორგანო და სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არ ახორციელებენ საჭირო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მოზარდთა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, არ სწავლობენ მოსწავლეთა სამართალდარღვევების გამომწვევ მიზეზებს და პირობებს. ეს მუშაობა არასისტემური, შემთხვევითი ხასიათისაა. ჟერა და ვერ მოხერხდა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების საქმიანობის სათანადო კოორდინაცია. სკოლას, მილიციის ბავშვთა ოთახებს, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის არ არის დამყარებული მჭიდრო კავშირი. დაბალია მშობელთა პედაგოგიზაციის დონეც. სუსტად წარმოებს მუშაობა იმ მშობლებთან, რომლებიც არ ასრულებენ შვილების აღზრდის მოვალეობას. მოზარდთა აღზრდისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ საშეფო კოლექტივებიც.

საჭიროა სკოლაში გაძლიერდეს მომთხოვნელობა დისციპლინის ელემენტარული ნორმების დაცვისადმი, მეტი ყურადღება მიექცეს სკოლის წესდებით დაწესებული ნორმების შესრულებას, შეიქმნას თითოეულ სკოლაში



უფრო ხელსაყრელი პირობები ბავშვთა ნიჭის, უნარისა და ინტერესების განვითარებისათვის. უნდა განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა გონივრული დასვენების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით საღამოს საათებში და გამოსასვლელ დღეებში. ამ საკითხების გადაწყვეტისათვის უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს სპორტულ საზოგადოებებთან და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მოსწავლეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კანონების პროპაგანდის სალექციო და სხვა ფორმები. რესპუბლიკაში ამ მხრივ უკვე არის გამოცდილება, რომელიც განზოგადებას საჭიროებს. მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისათვის ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, ახალგაზრდული სამართლებრივი ლექტორიუმები, სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების სასკოლო ფილიალები, კინოლექტორიუმები, სამართლებრივი კლუბები, კითხვა-პასუხის საღამოები და ა. შ.

ეს ფორმები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ დამნაშავეობის პროფილაქტიკაში, ხელს უწყობენ მოსწავლეებს მკაფიო ზნეობრივ-სამართლებრივი ორიენტაციის გამომუშავებაში, ეხმარებიან მათ სწორად განსაზღვრონ თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია მუშტრული დამოკიდებულებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მუშაობას ზოგჯერ შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათი აქვს, აკლია კონკრეტულობა და მიზანდასახულობა. ამ ფორმების გარდა საჭიროა კლასგარეშე მუშაობის პრაქტიკაში დაინერგოს სამართლებრივ თემებზე კინოლექტორიუმებისა და ვიქტორინების მოწყობა, მორალურ-სამართლებრივი ხასიათის მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის განხილვა. ამ საქმეში სკოლებმა ფართოდ უნდა ჩააბან ჟურნალისტები, მწერლები, სასურველია სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების კურსის ზოგიერთი თემის შესწავლისას მასწავლებლებს გაკვეთილზე დაესწრონ იუსტიციის ორგანოთა, სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის მუშაკები. ადვოკატები, საბჭოების დეპუტატები, სახალხო რაზმელები როცა მოსწავლეების წინაშე გამოდიან, მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ კურსის „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ამოცანები.

ისევე როგორც ყველა საქმეში, მოსწავლეთა სამართლებრივ განათლებასა და აღზრდაშიც გადაწყვეტი როლი განეკუთვნებათ პედაგოგთა კადრებს. რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს ამ საგნის პედაგოგთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის, ხორციელდება ღონისძიებანი მათი კვალიფიკაციის ასაძლეობლად. საგრძნობლად გაიზარდა მომავალ პედაგოგთა — პედინსტიტუტის სტუდენტთა სამართლებრივი მომზადების მოცულობა. გამომცემლობა „პედაგოგიკა“ კლასის ხელმძღვანელის ბიბლიოთეკის სერიით გამოუშვა სპეციალური ბროშურები მასწავლებელთა დასახმარებლად, რომლებიც შეიცავენ საინტერესო მაგალითებს მოსწავლეებთან საუბრისათვის.

მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის კვლავაც ბევრი ღონისძიების განხორციელება მოგვიწევს.



## მონობრაფია საოლქო მმართველობის აპარატის შესახებ\*

სარეცენზიო ნაშრომში შესწავლილი პრობლემების აქტუალობა უდავოა, მით უფრო, რომ ისინი საფუძვლიანად არ არის დამუშავებული იურიდიულ ლიტერატურაში. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის სრულყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის მიერ არის დასახული სახალხო-სამეურნეო, ადმინისტრაციულ-მოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში. ავტორმა დამაჯერებლად დაასაბუთა არჩეული თემის დამუშავების აუცილებლობა; გამოჰყო კვლევის მეცნიერულ-თეორიული ასპექტი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება, რომელიც ამ წიგნის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, ის არის, რომ ვ. თორდიას გამოკვლევა შესრულებულია უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალური დაკვეთით სოციალური კვლევის დარგში. ეს არის კომპლექსური თემის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც განახორციელა უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა. ამ გარემოების გათვალისწინება ხაზს უსვამს მონობრაფიის უეჭველ აქტუალობას, პრაქტიკულ მიზანდასახულობას და განსაზღვრავს სოციალური პრაქტიკის არეს, რომელიც ესოდენ აუცილებელია გამოკვლევის დანერგვის ეფექტის ჯეროვანი შეფასებისათვის.

უპირველესად ხაზი უნდა გავსვას იმ ფაქტს, რომ იგი არის საოლქო საბჭოების დარგობრივი აპარატის სისტემის პირველი გამოკვლევა მათ შესახებ კანონის მიღების შემდეგ.

წიგნის ერთიანი შეფასებისას უნდა ითქვას,

რომ ავტორმა ჩინებულად გაართვა თავი მის წინაშე დასახულ ამოცანას. მასში წარმოდგენილია საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკის სრულფასოვანი მიმოხილვა, სახალხო დებუტატთა საბჭოების შესახებ უახლესი კანონმდებლობისა და დიდძალი იურიდიული ლიტერატურის ანალიზი. ამის საფუძველზე ავტორმა მკვეთრად წარმოაჩინა საკვანძო პრობლემები, სრულად გააანალიზა მათი ავ-კარგი, დაწვრილებითი კლასიფიკაცია გაუქვითა ამოცანათა შესრულების ფაქტორებს და გამოიტანა დასაბუთებული, ბევრ საკითხში ფრიად ორიგინალური და ლოგიკურად თანამიმდევრული დასკვნები.

საოლქო საბჭოების აღმასკომებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სახელმწიფოებრივი მართვის სისტემაში. მათ მუშაობის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული ოლქების, ამ უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების წინსვლავანვითარება. ავტორმა გაითვალისწინა სხვადასხვა სამმართველოთა ურთიერთობის სირთულე და მრავალფეროვნება, რომელიც თავს იჩენს საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ფუნქციონირების პროცესში. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განყოფილებებსა და სამმართველოებს, რომლებიც ფუნქციონირებენ სახალხო მეურნეობის სფეროში. ეს უქანასკნელი გამართლებულია თანამედროვე პირობებში სახალხო-სამეურნეო ამოცანების დიდი მნიშვნელობით.

მონობრაფიის უდავო ღირსებათა რიცხვს განეკუთვნება საოლქო საბჭოების აღმასკომების განყოფილებებისა და სამმართველოების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. ეს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ნაშრომში. ახალმა კანონმდებლობამ მას ვერ გასცა ამომ-

\* В. В. Тордия. Отделы и управления исполкома областного Совета, изд. «Наукова думка», Киев, 1984.



წურავი პასუხი. ვ. თორდიას ნაშრომმა მეტ-ნაკლებად შეავსო ხარვეზი საოლქო აღმასკომის დარგობრივი მმართველობითი აპარატის საერთო სამართლებრივი სტატუსის გარკვევაში.

ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკური თანამიმდევრობით ასახავს არჩეული თემის ყველა საკითხს.

წიგნში ავტორი აყენებს ბევრ წინადადებას, რომელთა განხორციელება სრულყოფის საოლქო აღმასკომების დარგობრივი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის სისტემას. დიდად მოსაწონია კვლევისა და შედეგების თხრობის სტილი.

მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს და მეცნიერ მუშაებს, უპირატესად იმის გამო, რომ ავტორი მრავალ საინტერესო წინადადებას აყენებს განყოფილებებისათვის განკუთვნილი განაწესის შემუშავების პრაქტიკისა და ნორმატიული მუშაობის გეგმის რეალიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა განყოფილებებისა და სამმართველოების სტრუქტურის ძირითადი ელემენტებისა და არსის შესახებ დღემდე არასაკმარისად შესწავლილი საკითხის ავტორისეული ანალიზი. არანაკლებ ინტერესს იწვევს წამოყენებული წინადადებები ამ ორგანოების საორგანიზაციო სტრუქტურის სამართლებრივი რეგლამენტაციის აუცილებლობისა და მათი შტატებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების დადგენის თაობაზე. მხარდასაჭერია აგრეთვე დასკვნა საოლქო საბჭოების აღმასკომების დარგობრივი განყოფილებებისა და სამმართველოების ორგანიზაციული მოღვაწეობის სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფის აუცილებლობის

შესახებ, როგორც ერთ-ერთი ქმედითი საშუალებისა მათი მუშაობის შედეგიანობის ასამაღლებლად. როგორც პრაქტიკის ანალიზი მოწმობს მართვის ორგანოების საქმიანობის უფლებამოსილება ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი საორგანიზაციო ფორმების გამოყენების სტაბილურობასა და ეფექტიანობას.

ავტორმა ჩინებული თეორიული მიდგომა გამოამყვანა ფრიად სადისკუსიო საკითხის — კომპეტენციის ცნების განხილვისას. ამან მას საშუალება მისცა ჩამოეყალიბებინა საოლქო საბჭოს აღმასკომის დარგობრივი ორგანოს კომპეტენციის მისეული განსაზღვრა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც. საჭირო იყო ავტორს კონკრეტული ციფრობრივი მონაცემებით ეჩვენებინა დიდი მნიშვნელობა ისეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეგიონისა, როგორც არის ოლქი, ციფრების საშუალებით გამოეხატა საოლქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის სირთულე და მასშტაბურობა, შეედარებინა ერთმანეთთან რამდენიმე ოლქი.

ავტორს ზოგიერთი დებულების არგუმენტაცია ნაშრომში, ჩვენი აზრით, შეიძლება უფრო მკაფიოდ გამოეხატა კონკრეტული მაგალითების მოშველიებით. ეს უპირველესად ეხება დარგობრივ სამმართველოებსა და განყოფილებების სისტემის განვითარებას.

ეს შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს ნაშრომის ღირსებას, იგი დახმარებას გაუწევს საბჭოთა ორგანოების მუშაებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

პროფ. ვ. ლორია.



# საქართველოს მთავრობის განცხადება

ეროვნული  
ნიშნითაა

1. დებულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე კონტრაქტაციის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების წესის შესახებ არ ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს მიწოდების ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდებისათვის.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის „სურსათვაჭრობამ“ აღძრა სარჩელი საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის მიმართ 1984 წელს კვერცხის მიწოდების ხელშეკრულების იძულებით დადების თაობაზე და ამასთან მოითხოვა ხელშეკრულების დადებისაგან უსაფუძვლო თავის არიდებისათვის ფაბრიკას გადაეხადა ჯარიმა — 1000 მანეთი.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა, საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკას დაევალა გაეფორმებინა ხელშეკრულება ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის „სურსათვაჭრობასთან“.

საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის დადგენილებით ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და მიძიებულს სარჩელში უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მეფრინველეობის ფაბრიკის უკვე დადებული ჰქონდა კონტრაქტაციის ხელშეკრულება „საქსოტკარაქმრევის“ რესპუბლიკურ კანტორასთან.

ოქტომბრის რაიონის „სურსათვაჭრობამ“ მიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს და მოითხოვა დადგენილების გადასინჯვა.

2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ჯარიმას საერთო სარგებლობის ადგილებში ვაგონების მოცდენისათვის მაშინაც არ იხდიან, თუ რკინიგზამ მას შეტუბონინება ვაგონების გადასატვირთად ჩაწოდების შესახებ არ გაუგზავნა 12 საათით ადრე.

გაერთიანება „საქფრინველმრევის“ თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკამ სარჩელი აღძრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ რკინიგზის ვაგონების მოცდენისათვის უაქცეპტო წესით ჩამოწერილი თანხის — 848 მანეთისა და 40 კაპიკის უკან დაბრუნების შესახებ.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებული იქნა იმ საფუძვლით, რომ საერთო სარგებლობის ადგილებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სახელზე მიღებული ვაგონები რკინიგზის ძალებითა და საშუალებებით იცლება.

ვა, ხელშეკრულების დადება უშუალოდ „მიწოდებელსა“ და „მყიდველს“ შორის.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და თავისი დადგენილებით განმარტა, რომ დებულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე კონტრაქტაციის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების წესის შესახებ მიწოდების ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდებისათვის არ ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს.

საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს კონტრაქტაციის ხელშეკრულებით. მიწოდების ხელშეკრულება რაისურსათვაჭრობას შეუძლია დადოს კანტორასთან.

ამგვარად, მოცემულ საქმეზე არ არის ჯარიმის გადახდის საფუძველი მიწოდების ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა საქართველოს მთავარი სახელმწიფო არბიტრის დადგენილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ მთავარმა სახელმწიფო არბიტრმა გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. და მიუთითა, რომ სსრ კავშირის მიმოსვლის გზათა სამინისტროს და სსრ კავშირის „სოფლტექნიკის“ სახელმწიფო კომიტეტის 1966 წლის 9 აგვისტოს № 1837 70/85 — 7/316 დეკრეტის თანახმად კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, სოფლტექნიკის გაერთიანებების, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების სახელზე საერთო სარგებლობის ადგილებში მიღებული ყველა ტვირთი (გარდა შხამქიმიკატებისა) რკინიგზის ძალებითა და საშუალებებით იცლება.



იმ ტვირთის მისაღებად (ცემენტი, ალიბას-ტრი, კომბინირებული საკვები), რომლებიც მოითხოვენ დახურულ საწყობებში შენახვას, ხოლო სადგურს არა აქვს ამ ტვირთის შესანახი შესაბამისი ნაგებობა, ტვირთის მიმღებ ვალდებულია ტვირთის სადგურიდან გადმოტანისათვის უზრუნველყოს ტარის ან ავტოტრანსპორტის დროული წარმოდგენა.

ამასთან რკინიგზამ ტვირთის მიმღები ტვირთის შემოსვლის შესახებ ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს არა უგვიანეს 12 საათისა ტვირთის შემოსვლამდე.

ტარის, ავტოტრანსპორტის წარუდგენლობის, ან სადგურიდან ტვირთის ვადაზე გატანის და გადასახიდი დოკუმენტების გასაფორ-

მებლად დროული ღონისძიებების მიუღებლობის შემთხვევაში ტვირთის მიმღები ვაგონების მოცდენისათვის პასუხს აგებს გადმოსატვირთად ვაგონების მიღებიდან 12 საათის გასვლის შემდეგ.

ამ შემთხვევაში რკინიგზამ ტვირთის მიმღებს არ მიაწოდა ინფორმაცია და, მაშასადამე, არც ჰქონდა მეფრინველების ფაბრიკისათვის ვაგონების მოცდენის გამო ჭარიძის გადახდევინების უფლება.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება და დადგენილება უცვლელად დატოვა.

**3. პროდუქციის (საქონლის) რაოდენობრივ მიღებაში მონაწილეობისათვის გამოყოფილ საზოგადოებრივ წარმომადგენელს საწარმოს მიერ მიეცემა სათანადო წესით გაფორმებული და დამოწმებული ერთჯერადი რწმუნება, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.**

ბარნაულის გაერთიანება „სურსათსაქონელმა“ აღძრა სარჩელი „საქბაკალის“ თბილისის ბაზის მიმართ დანაკლისით მიწოდებული კონიაკის ღირებულების 1.113 მანეთი და 53 კაპიკის გადახდევინების შესახებ.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მიღების აქტს მოცემულ საქმეზე არა აქვს დამამტკიცებელი საბუთის ძალა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა სახელმწიფო არბიტრმა თავისი დადგენილებით გადაწყვეტილება ძალაში დატოვა იმ საფუძველით, რომ კონიაკის რაოდენობრივ მიღებაში მონაწილეობისათვის

გამოყოფილი საზოგადოებრივი წარმომადგენლის რწმუნებას ხელს აწერს უფროსი საქონელმცოდნე, რაც ეწინააღმდეგება საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი მიღების წესების ინსტრუქციის მე-18 და 24-ე პუნქტების მოთხოვნებს.

ამ ინსტრუქციის დარღვევით გაცემულ რწმუნებას არ აქვს მტკიცებულების ძალა, ხოლო მის საფუძველზე შედგენილი საქონლის მიღების აქტი ცალმხრივია.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებით საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება და დადგენილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

**4. სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 160-ე მუხლის ნუსხით, რომლითაც ნებადართულია საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით უდავო წესით ჭარიძის გადახდევინება, ანარიცხი ტვირთის შენახვისათვის ჭარიძად არ ითვლება და არ შეიძლება გადახდევინებულ იქნეს უაქცეპტო წესით.**


თბილისის ერთ-ერთი საწარმოს სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ რკინიგზის მიერ ტვირთის შენახვისათვის უაქცეპტო წესით ჩამოწერილი თანხის 695 მანეთისა და 90 კაპიკის უკან დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ანარიცხი ტვირთის შენახვისათვის მიეკუთვნება ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ ფულად გადასახადს, ანგარიშსწორების წესების 30-ე პარაგრაფის თანახმად კი ყველა გადასახადი და დამატებითი ანარიცხები, რომელიც მიეკუთვნება ტვირთის გადაზიდვას, საანგარიშსწორებო სასაქონლო

კანტორის მიერ გადაიხდევინება უაქცეპტო წესით.

თბილისის დასახელებული საწარმოს განცხადების საფუძველზე საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის დადგენილებით ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და სასარჩელო მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნა იმ საფუძველით, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს არ ჰქონდა ტვირთის შენახვისათვის ანარიცხის უაქცეპტო წესით ჩამოწერის უფლება.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დადგენილება მცდარად მიიჩნია და თხოვნი





მიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს დადგენილების გაუქმებისა და სარჩელზე უარის თქმის შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 160-ე მუხლში მოცემულია ამომწურავი ნუსხა იმ შემთხვევებისა, როცა რკინიგზა ახდენს ჯარიმის ჩამოწერას უაქცებტო წესით. ანარიცხი ჯარიმად არ ითვლება, არც გამოც მისი ჩამოწერა უაქცებტო წესით არ შეიძლება.

**5. სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ოპერაციების შესასრულებლად დადებული ხელშეკრულების თანახმად, რკინიგზა მოვალეა თუ არა გადმოტვირთოს პლატფორმებზე ან დახურული ვაგონებით შემოსული დაყრილი ტვირთი, აგრეთვე ტვირთი, რომლის მექანიზებული გადამუშავება შეუძლებელია?**

ერევნის ერთ-ერთმა ქარხანამ სარჩელი აღძრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ, რკინიგზის მიერ ვაგონების მოცდენისათვის უაქცებტო წესით ჩამოწერილი თანხის 28.938 მანეთისა და 80 კაპიკის უკან დაბრუნების შესახებ.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა იმ მოტივით, რომ ვაგონების მოცდენისათვის ჯარიმის ჩამოწერა მოხდა სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ოპერაციების შესრულების მიზნით მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულების დარღვევით.

საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის დადგენილებით გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დადგენილება მცდარად მიიჩნია და განცხადებით მიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრს გადაწყვეტილებისა და დადგენილების გადასინჯვის შესახებ.

სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილემ განიხილა საქმის მასალები და თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ

რკინიგზის სამმართველოს მიერ ტვირთის გადაზიდვის წესების მე-2 განყოფილების 30-ე პარაგრაფის დამოწმება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რამდენადაც იგი შეეხება გადაზიდვასთან დაკავშირებულ დამატებით ანარიცხებს.

ტვირთის შენახვის ანარიცხები კი არ არის დაკავშირებული გადაზიდვასთან და რკინიგზის ტრანსპორტზე ფულადი გადასახადის დამოუკიდებელ სახეობად ითვლება.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დადგენილება უცვლელად დატოვა.

რკინიგზის მიერ იმის დამოწმება, რომ ტვირთი დანიშნულების სადგურში დაყარეს, ხოლო დაყრილი ტვირთი უნდა გადმოტვირთოს ტვირთის მიმღებმა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რამდენადაც სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ოპერაციების შესასრულებლად დადებული ხელშეკრულების თანახმად, რკინიგზა არ გადმოტვირთავს მხოლოდ პლატფორმებზე ან დახურული ვაგონებით შემოსულ დაყრილ ტვირთს, აგრეთვე იმ ტვირთს, რომლის მექანიზებული გადამუშავება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში არმატურის მავთული შემოვიდა კოჭებზე 500-600 კილოგრამი წონით და ადვილი იყო მისი მექანიზებული გადმოტვირთვა.

ასეთ პირობებში რკინიგზას უფლება არ ჰქონდა ერევნის ქარხნისათვის ვაგონების მოცდენის გამო გადაეხდევინებინა ჯარიმა.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებით საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება და დადგენილება ძალაში იქნა დატოვებული.



**დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა**

ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სა-  
მოც წელთან დაკავშირებით უფრნად „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი აშხ.  
წითარ პრინსტაფორმის ძმ ანსინტაძემ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
ქრეზიდიუმის საპატიო სიგელით



# სსრ კავშირ-დასავლეთ გერმანიის III სიმპოზიუმი ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივ საკითხებზე



სიმპოზიუმის სხდომის პრეზიდენტი, თავმჯდომარეობს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ლაპტევი (ცენტრში), დასავლეთ გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელი ულრიჰ დროზნიგი (მარცხნიდან მეორე) და პროფესორი მ. ბოგუსლავსკი (მარცხნიდან მეორე).

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იურისტთა მესამე\* სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივ საკითხებს.

სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა ეს შეხვედრა მოეწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დასავლეთ გერმანიის მაქს პლანკის სახელობის, უცხოეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ინიციატივით.

პლენარული სხდომა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვ. ოკუჩავამ. იგი გულთადად მიესალმა გერმანელ სტუმრებს, სიმპოზიუმის

ყველა მონაწილეს და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მაქს პლანკის სახელობის ქ. ჰამბურგის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ულრიჰ დროზნიგმა.

სიმპოზიუმის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ლაპტევმა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო-სამართლებრივი სამმართველოს უფროსმა გ. ზუბოვმა. ასეთი შეხვედრები, თქვეს მათ, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი პრობლემების ოპტიმალურ გადაჭრაზე. მსგავს საქმიან დისკუსიებს არა მარტო წმინდა მეცნიერული,

\* ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი სიმპოზიუმი გაიმართა 1980 წელს ლენინგრადში, მეორე — 1982 წელს ჰამბურგში (გფრ).






„დოქტორი ჰერბერტ შტუმპფი.

არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ხელს უწყობს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ გერმანიას შორის ყველა სფეროში მშვიდობიანი და ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: „სიახლენი სამეურნეო ხელშეკრულებების სამართლებრივ რეგულირებაში“ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ი. ტანჩუკი**, „ხელშეკრულებათა ფუნქცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალში“ (მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი პეტერ ბერენცი); „სამეურნეო ხელშეკრულების როლი მოკავშირე რესპუბლიკაში (საქართველოს სსრ მასალების მიხედვით)“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ლ. ჯომარჯიძე**); „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეკრულების სახეობანი და შინაარსი“ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. ბოგუს-ლავსკი**, **ქ. ჰამბურგის** სამეურნეო და სასოფლო სამეურნეო ურთიერთობათა უწყების წარმომადგენელი **ანუელიკ კლაინ-პებერი**); „ვითარების შეცვლის გათვალისწინება ხელშეკრულებებში“ (სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო-სამართლებრივი სამმართველოს განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **პ. სმირნოვი**, ბილფელდის უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ნორბერტ შორნი**); „პასუხისმგებლობა და მისი საზღვრები“ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელი **ნ. ვოზნენსკაია\***, ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ჰანს შტოლი**); „სალიცენზიო ხელშეკრულება“ (სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მთავარი საინჟინრო-ტექნიკური სამმართველოს თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ე. დრაგუნოვი**, გერმანული მანქანათმშენებლობისა და მოწყობილობათა წარმოების კავშირის ფრანკფურტის წარმომადგენელი, დოქტორი **ჰერბერტ შტუმპფი**).

სიმპოზიუმზე უაღრესად საქმიანი მსჯელობა გაიმართა ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი მოწესრიგების აქტუალურ პრობლემებ-



პ. სმირნოვი

ზე. მოხსენებებში ნაჩვენებია იყო სიძნელეები, რომლებიც პერმანენტულად არის სავაჭრო ურთიერთობის არასტაბილურობის, ორივე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საბაზრო კონიუნქტურაში, ეროვნულ კანონმდებლობასა და სტანდარტებში ცვლილებების, აგრეთვე ფასების მერყეობის გამო.

\* ნ. ვოზნენსკაია ავადმყოფობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა, მისი მოხსენება სიმპოზიუმს წარუდგინა ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. სვეტლანოვისიციანმა.





პროფესორი პეტერ ბერენცი

სიმპოზიუმის ყველა მონაწილის აზრით, ამ სიმინელების გადალახვის საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ორ ქვეყანას შორის ინფორმაციების დროულმა გაცვლამ. ასეთი ღონისძიებანი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პირობებში ხელსაყრელ ვითარებას ქმნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კოორდინაციის მოგვარებისათვის.

სიმპოზიუმზე საინტერესო სჯაბაასი გაიმართა სალიცენზიო ხელშეკრულებების თაობაზე. აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც 1980 წელს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დაიდო ურთიერთობისა და თანამშრომლობის გრძელვადი-

ანი (2008) წლამდე ხელშეკრულება, უკვე გაფორმებულია ასზე მეტი სალიცენზიო შეთანხმება. ყოველივე ეს კი პარტნიორებს ავალებს მიიღონ ზომები სალიცენზიო ვაჭრობის სამართლის კიდევ უფრო დახვეწისათვის.

მართალია, სიმპოზიუმზე წამოჭრილ ცალკეულ საკითხებზე ცხარე კამათი იმართებოდა, მაგრამ ორივე ქვეყნის წარმომადგენელთა აზრით, გადაუჭრელი პრობლემები არ ყოფილა.

სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები შეაჯამეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ლაბტევიჩმა და მაქს პლანკის სახელობის ჰამბურგის ინსტიტუტის დირექტორმა, დასავლეთ გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ულრიხ დროზნიცმა. მათ კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ სიმპოზიუმი მიმდინარეობდა ჰუმანიტარულ საქმიან ვითარებაში. მოხსენებებში დასმული აქტუალური პრობლემები მთლიანად შეესაბამებოდა ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე მოთხოვნებს, აღნიშნეს, რომ უკვე ტრადიციულ ქვეყლ ასეთ შეხვედრებს დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში. დელეგაციათა მეთაურებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტს, პირადად მის თავმჯდომარეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ ხ. ჯობინაძეს მუშაობის შესანიშნავი პირობებისა და გულღია მასპინძლობისათვის.

\* \* \*

ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი საკითხებისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის III სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ მიღებული შთაბეჭდილებანი უურნალ „საბჭოთა სამართლის“ კორესპონდენტს გაუზიარეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ლაბტევიჩმა და მაქს პლანკის სახელობის ჰამბურგის ინსტიტუტის დირექტორმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ულრიხ დროზნიცმა.

3. ლაბტევიჩი: მართალია, ეს უკვე რიგით მე-სამე სიმპოზიუმი იყო, მაგრამ ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო ასეთი შეხვედრების ინიციატორებს—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს და დასავლეთ გერმანიის მაქს პლანკის სახელობის უცხოეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს, ამჭერად კი თბილი-

სის სახელოვან უნივერსიტეტსაც. მათ დავწლს რომ უქმად არ ჩაუვლია, ეს კიდევ ერთხელ ცხადად დადასტურდა ამ სიმპოზიუმზე. შეხვედრა უადრესად ნაყოფიერი გამოდგა. მრავალ პრობლემურ საკითხზე გაიმართა ღრმა მეცნიერული დისკუსია. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიხი პრაქტიკული შედეგებიც. ჩვენი ერთობლივი მუშაობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ის ხელს უწყობს





ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, ამდენად სიმპოზიუმში პოლიტიკურადაც დიდმნიშვნელოვანი აქტია. მართალია, ჩვენ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას განსხვავებული პოლიტიკური წყობა და იდეოლოგია გვაქვს, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, რათა ნაყოფიერად ვითანამშრომლოთ და ერთობლივად ვიკვლიოთ ორივე მხარისათვის საინტერესო ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი საკითხები. ამ მხრივ წინ დიდი პერსპექტივები გვაქვს და მჭერა, რომ საბჭოთა კავშირის და დასავლეთ გერმანიის სწავლული თუ პრაქტიკოსი იურისტები ყველაფერს იღონებენ, რათა ამ ორ ქვეყანას შორის სულ უფრო განუზრტლად ვითარდებოდეს ორივე მხარისათვის სასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობა.

სიმპოზიუმის გამართვის ადგილად თქვენი მშვენიერი თბილისი შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული. იურიდიულ მეცნიერებას საქართველოში უძველესი და საინტერესო ისტორია აქვს, თანამედროვე ქართველ სწავლულ იურისტთა მიღწევებიც საყოველთაოდ ცნობილია. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ამ სიმპოზიუმზე.

ულარიკ ღრმინიძე: უპირველეს ყოვლისა, სასარგებლო საქმედ მიმაჩნია, რომ საბჭოთა და დასავლეთგერმანულ სწავლულ და პრაქტიკოს იურისტებს შორის თავის დროზე ასეთ მჭიდრო კონტაქტებს ჩაეყარა საფუძველი. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ასეთი შეხვედრები ბეტად მნიშვნელოვანია არა მარტო მეცნიერული და პრაქტიკული, არმედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგან ისინი ხელს უწყობენ ჩვენი ხალხების მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას.

სიმპოზიუმზე ჯამბართულ დისკუსიაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ორივე ქვეყნის სწავლული იურისტები, მრავა-

ლი ისეთი საკითხი წარმოჩინდა, რომლებიც უშუალოდ შვა წლების მანძილზე საბჭოთა კავშირსა და ჩვენს ქვეყანას შორის სულ უფრო მზარდმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ.

მართალია, ასეთი სიმპოზიუმების გამართვას თან ახლავს ობიექტური სირთულეები. მაგალითად, ენობრივი ბარიერი, ტერმინოლოგიური შეუსაბამობანი, რაც გარკვეულ გაუგებრობებს იწვევს, მაგრამ ჩვენ, იურისტები, მაინც ერთ, გასაგებ ენაზე ვლაპარაკობთ და სიმპოზიუმზე მიღებული პოზიტიური შედეგების ფონზე ზოგიერთ ხარვეზზე ლაპარაკიც კი ზედმეტად მიმაჩნია. ვფიქრობ, ჩვენი დელეგაციის თითოეული წევრის აზრსაც გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ მივალწიეთ ხელშესახებ წარმატებებს სახელშეკრულებო სამართლის სტრუქტურის მთავარ საკითხებში. ეს კი, ჩემი აზრით, ძალზე ბევრს ნიშნავს.

სიმპოზიუმში შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რაც ბატონი სერგო ჯორბენაძისა და მისი კოლეგების დამსახურებაა. მონარული ვართ, რომ ასე ახლოს და კარგად გავიცანით თქვენი წარმტაცი რესპუბლიკა, ქართველი ხალხი, მისი ისტორიული წარსული, დღევანდლობა, ეროვნული კულტურა, დიდი ყურადღებით დავთვალიერეთ თქვენი დედაქალაქის ჭირსშესანიშნაობანი, ძველთაძველი ქალაქ-მუზეუმი მცხეთა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თქვენმა ისტორიულმა მუზეუმებმა, მარიონეტების თეატრმა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითმა მიღწევებმა. ყველაფრისათვის გამადლობთ და გელით ჩემს სამშობლოში 1986 წელს IV სიმპოზიუმზე, მჭერა, ასევე გულითადად გიმასპინძლებთ და თავს არ შევირცხვენთ.

გ. ბერძენიშვილი.  
ფოტოები ბ. ბაბუნიაძის.

დ ა ჯ ი ლ დ რ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პნწმრ ალექსანდრეს ძე ბაბუნიაძე ნანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.



## საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1985 წლის 26 აპრილს ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა პლენუმი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ახალი შემადგენლობისა, რომელიც აირჩია საქართველოს სსრ მეურთმევე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

პლენუმს დაესწრო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. უმაღლესი საბჭოს სახელით, თქვა მან, სულითა და გულით მოგილოცავთ ყველას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევას. ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ გამოაცხადათ დიდი ნდობა და ვისურვებთ თქვენი პრაქტიკული საქმიანობით გააძლიეროთ ეს ნდობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს საქმიანობას. როგორც მოგეხსენებათ, ყოველი წლის დამდეგს იმართება რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელიც ეძღვნება სამართალდამცავი, სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას. ბოლო ხანს მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები ბიუროკრატიაში წინააღმდეგ ბრძოლის, სასამართლო პროცესების აღმწერდლობითი რეფორმის გაძლიერების საკითხებზე.

ამ დოკუმენტებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თქვენი საქმეები მათ პრაქტიკულ განხორციელებას უნდა დაუჭიროებდეთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას, სასამართლო პროცესების აღმწერდლობითი რეფორმის გაძლიერებას, მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ზრდას. ყველა სახალხო მსაჯული უნდა მონაწილეობდეს სასამართლო პროცესებში, და ეს მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყოთ. ყოველთვის

უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხი ენდობა სახალხო მსაჯულებს, როგორც თავის წილიდან გამოსულ ადამიანებს.

ამ თვალსაზრისით დადებით შეფასებას იმსახურებს ამას წინათ გამართული სახალხო მსაჯულთა პირველი რესპუბლიკური კრება. ასეთი და სხვაგვარი ღონისძიებანი, რომლებიც დანერგილია უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკაში, უნდა ვამრავლოთ, უზრუნველვყოთ მათ მიერ მიღებული რეკომენდაციების უთუო შესრულება.

უმაღლესი სასამართლოს წევრს, თქვა პ. გილაშვილმა, შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს. ამ სულისკვეთებით უნდა შრომობდეს და მოღვაწეობდეს მართლმსაჯულების ამ უმაღლესი ორგანოს თითოეული მსახური.

პლენუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პ. პარბანაძის წინადადებით დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი, უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების შემადგენლობები და უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა.

პლენუმზე მოხსენება „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების მკაცრად დაცვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1984 წლის 7 ივლისის დადგენილების შესასრულებლად სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პ. ედიშვილმა.

აღინიშნა, რომ სასამართლო კოლეგიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელა რესპუბლიკის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხარისხის ამაღლების, მოქმედი კანონმდებლობის სწორად და ერთგვაროვნად გამოყენების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულის თავიდან აცილებისათვის. კოლეგიის საქმიანობის აქცენტი იმაზე



იყო გადატანილი, რომ დარღვეული კანონ-  
ერება ოპერატიულად გასწორებულიყო საქ-  
მეთა საკანსაციო წესით განხილვის დროს და  
არა საზედამხედველო წესით.

აღვიღებზე კანონიერების განმტკიცების  
უზრუნველსაყოფად 1984 წლის მეორე ნა-  
ხევარში შემუშავებულია და ქვემდგომ სა-  
სამართლოებში ინერგება მართლმსაჯულე-  
ბის განხორციელების ხარისხზე ზემოქმედე-  
ბის გაძლიერების მწყობრი სისტემა. ამის  
შედეგად საგრძნობლად შემცირდა დაქვემ-  
დებარებული სასამართლოების მიერ გამო-  
ტანილი განაჩენების საკანსაციო წესით გა-  
უქმება-შეცდომის შემთხვევები. ასეთი ტენ-  
დენცია გამოიკვეთა როგორც 1984 წლის ბო-  
ლო თვეებში, ისე 1985 წლის პირველ  
კვარტალშიც.

შემცირდა ისეთი სასამართლო შეცდომები,  
როგორიც არის ბრალდებულის დაცვის უფ-  
ლების დარღვევა, ბრალდებულის სამართალში  
მიცემის სტადიის მომწესრიგებელი ნორმების  
მოთხოვნათა შეუსრულებლობა და სხვა.

უმაღლესი სასამართლო თავის წარმოებაში  
გადასაწყვეტად უფრო ზშირად იღებს რთულ  
და გაჭიანურებულ სისხლის სამართლის საქ-  
მებს.

სასამართლო კოლეგია უზრუნველყოფს,  
რომ კანონით გათვალისწინებული სასჯელის  
მკაცრი ზომები შეეფარდოს უპირველესად  
სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების  
დაშტაცებლებს, მექრთამებს, აგრეთვე მო-  
ქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის  
ხელშეყო პირებს, რეციდივისტებსა და სხვა  
საშიშ დამნაშავეებს.

გაუმჯობესდა პირველი ინსტანციით გან-  
ხილულ საქმეებზე დანაშაულით მიყენებუ-  
ლი მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

ამასთან როგორც პლენუმზე ხაზგასმით  
ითქვა, სისხლის სამართლის საქმეთა სასა-  
მართლო კოლეგიის საქმიანობაში ჭერ კიდევ  
ბევრი ნაკლი და ხარვეზია.

პირველი ინსტანციით და საკანსაციო წესით  
საქმეთა განხილვის დროს ზოგჯერ უშვებენ  
კანონის დარღვევებს, შეცდომებს მატერია-  
ლური და საპროცესო ნორმების შეფარდება-  
ში. ამის გამო უქმდება და იცვლება გამო-  
ტანილი განაჩენები და განჩინებები. სასა-  
მართლო კოლეგია ჭერ კიდევ სათანადო ზე-  
გავლენას ვერ ახდენს ქვემდგომ სასამარ-  
თლოთა საქმიანობაზე.

სასამართლოები კვლავ ბევრ შეცდომებს  
უშვებენ სასჯელის განსაზღვრაში, მთლიანად  
არ იყენებენ ახალ კანონმდებლობას დამნა-  
შავისათვის სასჯელის სახისა და ზომის გან-

საზღვრის ნაწილში. არის კანონის მოთხოვ-  
ნათა დარღვევის ფაქტები საქმის გარემოე-  
ბათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური  
გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ.

ნაკლოვანებანია საზედამხედველო საჩივ-  
რების განხილვა-გადაწყვეტის საქმეში. ზო-  
გიერთი საჩივარი არასწორად წყდება, ამის  
გამო სასამართლო შეცდომები მხოლოდ  
განმეორებითი საჩივრის საფუძველზე სწორ-  
დება.

მოხსენება „სასამართლოების მიერ სამო-  
ქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას  
კანონების მკაცრად დაცვის თაობაზე“ სა-  
ქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს  
პლენუმის 1984 წლის 7 ივლისის დადგინე-  
ლების შესასრულებლად სამოქალაქო სამარ-  
თლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ  
გაწეული მუშაობის შესახებ“ გააკეთა საქარ-  
თველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავ-  
მჯდომარის მოადგილე მ. დეკდარინამ.

პლენუმზე ითქვა, რომ სამოქალაქო სა-  
მართლის საქმეთა კოლეგიამ დიდი მუშაობა  
გასწია სამოქალაქო საქმეების დროული გან-  
ხილვის, აგრეთვე სამართლის მატერიალური  
და პროცესუალური ნორმების სწორი შეფარ-  
დების უზრუნველსაყოფად. ჭიროვანი ყუ-  
რადღება ეთმობა სამოქალაქო დავის წარმო-  
შობის მიზეზების შესწავლას, უსაფუძვლო  
დავების აღკვეთას.

ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგე-  
ნის მიზნით განზოგადებულია სასამართლო  
პრაქტიკა უმნიშვნელოვანესი კატეგორიის  
საქმეთა გამო. კოლეგია აქტიურად მონაწი-  
ლეობს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართ-  
ლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტე-  
ბების შემუშავებაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექვა შრო-  
მის, საბინაო, იურიდიული მნიშვნელობის  
ფაქტის საქმეთა განხილვის პრაქტიკას, სა-  
ხელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზ-  
ღაურებას.

სამოქალაქო საქმეთა გამო მართლმსაჯუ-  
ლების დონის ამაღლებისათვის კოლეგია  
უფრო სრულყოფილად ეხმარებოდა აფხაზე-  
თის, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტო-  
ნომიური ოლქის, თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოებს.

განხორციელებულ დონისძიებათა წყალო-  
ბით მნიშვნელოვნად შემცირდა რესპუბლიკის  
სასამართლოებში განსახილველად შესულ სა-  
მოქალაქო საქმეთა საერთო რაოდენობა. ეს  
განსაკუთრებით ითქმის შრომისა და იური-  
დიული ფაქტის დადგენის საქმეებზე.

მიუხედავად ამისა, ითქვა პლენუმზე,



კოლეგია ჭერ კიდევ ვერ უჭრუნველყოფს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების თაობაზე სკვპ XXVI ყრილობის, სკვპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1984 წლის 25 სექტემბრის დადგენილების შესასრულებლად.

ზოგიერთი სასამართლო სამოქალაქო სასამართლის საქმის განხილვისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენს, ჭეროვნად ვერ აფასებს პროცესის აღმწარდელობითს როლსა და მნიშვნელობას. დაბალია სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხი, რის გამოც ჭერ კიდევ ბევრი გადაწყვეტილება საჩივრდება, იცვლება და უქმდება. არის საქმეთა განხილვის გაჭიანურების, საქმეთა უსაფუძვლოდ აცილების ფაქტები. კვლავ ირღვევა საშარათლის ნორმები სახელმწიფო ბუის გადანდის შესახებ. კოლეგია საქმის ცოდნით ვერ აანალიზებს სამოქალაქო დავების წარმოშობის მიზეზებს, სრულყოფილად ვერ სწავლობს, თუ როგორია მართლმსაჯულების ხარისხი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის საქალაქო სასამართლოებში.

პლენუმზე მოსმენილ მოხსენებათა გამო

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ელ-მავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირი, სახალხო მსაჯული ბ. ჩაღუნელი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთოდკაბინეტის გამგე, სახალხო მსაჯული რ. პუშინი, მწერალი, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, სახალხო მსაჯული ბ. ნაბრუნოვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯ. ლომინაძე, პროფ. ს. ჯორბენაძე, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. შოლბანი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. პრელსნი, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ბორჩხაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მ. მარბიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები: მ. ბაგია, ჯ. რუსნიშვილი, მ. თორღია, ბ. ბახტაძე, ა. ლულუნიშვილი, რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ა. შუხანაშვილი, რესპუბლიკის პროკურორი ა. ბარბაძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. სარაძე.

### სხვადას-იურიტთა სპეკულირ საფუნდირ კონსერანსია

1985 წლის 25-28 აპრილს თბილისში პირველად გაიმართა სტუდენტ-იურიტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია. იგი მოეწყო თემაზე: „საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე“ და მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის 15 სახელმწიფო უნივერსიტეტის და 2 იურიდიული ინსტიტუტის 85-მდე სტუდენტმა.

პლენარული სხდომა დაიწყო 26 აპრილს დილის 9 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 98-ე აუდიტორიაში. კონფერენცია გახსნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ სამეცნიერო მუშაობის დარგში პროფესორმა ვ. ლორიაშვილმა. მისახალღებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სახელმწიფო სამართლისა და სამართლის თეო-

რიის კათედრის გამგე, პროფესორი გ. ინჟირველი, ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი ი. სიოტაკი, სვერდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის სტუდენტი ე. ერემევი, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მ კვაჭაძე. ამავე სხდომაზე მოხსენება „მართლმშენების არის საკითხისათვის“ გააკეთა იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ლ. ჭანტურიაშვილმა. დოცენტმა ი. სიოტაკმა იურიდიულ ფაკულტეტს სამახსოვრად გადასცა წიგნი „ტარტუს უნივერსიტეტის ისტორია“.

კონფერენციაზე მუშაობდა შემდეგი სექციები: 1. სამართლის თეორია, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი, 2. სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი; 3. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, 4. სამოქალაქო, საოჯახო-საქორწინო და სა-





ბინაო სამართალი, ნ. სამეურნეო და საფინანსო სამართალი.

სექციებში ბევრი საინტერესო მოხსენება იქნა მოსმენილი. მათ შორის აღსანიშნავია: „პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში“ (ე. ლუზოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი); „კომუნისტების გამოყენება სამეურნეო-სამართლებრივი ნორმების რეალიზაციაში“ (ს. პოტიომკინი, დონეცის სახელმწიფო უნივერსიტეტი); „ინფორმაცია სახელმწიფო მმართველობაში“ (ა. კრასტინი, რივის სახელმწიფო უნივერსიტეტი); „მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში“ (დ. მუშლაძე, თსუ), „დეკლავის ტაქტიკა“ (გ. ხაჩიანი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „მოქალაქეთა უკვალოდ დაკარგულად ცნობის ზოგიერთი საკითხი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით“ (ი. რომანუხა, ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი) და სხვ.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მისი შედეგები შეაჯამეს სექციათა ხელმძღვანელებმა—პროფესორებმა ვ. ლორიაშვილმა, გ. ტყეშელაძემ, ვ. ანაშაძემ, შ. ჩიკვაშვილმა, ლ. ჭოშორაძემ. მათ მაღალი შეფასება მისცეს კონფერენციაზე წაკითხულ ნაშრომებს და ავტორებს უსურვეს წარმატებანი მომავალ საქმიანობაში.

კონფერენციის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის სიგელით. ყველა ჩამოსულ სტუმარს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

ცალკე უნდა ითქვას იმ კულტურულ-განათლებლობით პროგრამის შესახებ, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტმა შეიმუშავა კონფერენციის მონაწილეებისათვის. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ნახეს მარიონეტების თეატრის ერთ-ერთი წარმოდგენა, დაეწინაურა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა თვითშემოქმედებით კონცერტებს, მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდულ საღამოში. მათთვის მოეწყო აგრეთვე ექსკურსია მცხეთასა და გორში.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პროფ. ვ. მეტრეველი) ყველაფერი იღონა, რათა ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს თბილისში გატარებული გაზაფხულის ერთი კვირა ნათელ მოგონებად დარჩენილიყო.

გურამ გვინცაძე,

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

### სამართალმცოდნეობის სამოსახლე მსჯელობის მოსაპოვებელი

1985 წლის 18-19 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მოსწავლეთა მეორეოც რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც ფაქტურად გერმანიაზე გამარჯვების 40 წლის-თავს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქ. თბილისის ბორის ასკლადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სამართალმცოდნეობის წრის წევრები, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მოსწავლეები.

სამართალმცოდნეობის სექციის მუშაობა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ვ. მამბრიძემ.

მოსმენებები წაიკითხეს: თბილისის 182-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. ბრძენიშვილმა — „დანაშაული და სასჯელი თ. დოს-

ტოვესკის მიხედვით“, ლენტეხის რაიონის ჩოლურის საშუალო სკოლის მოსწავლემ ბ. ზურაბიანი — „მართლმსაჯულება ძველ სვანეთში“, თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. ლორთქიფანიძემ — „რა არის დანაშაული“, თბილისის 151-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ შ. ჯორჯიანი — „სასჯელის უმაღლესი ზომა“, თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. კორკიტაშვილმა — „ქართული საკანონმდებლო ძეგლები“, გეგეჭკორის რაიონის პიონერთა სასახლის სამართალმცოდნეობის წრის წევრმა მ. თოფჩიანი — „ხუთგონობა და მასთან ბრძოლა“, ქ. ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. ლომიანიძემ — „მშვიდობისა და სამშობლოს უშიშროების გუშაგი“, თბილისის 176-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ს. ლომიანიძემ — „ხელწერის სასამართლო ექსპერტიზა“, საჩხერის პირვე-



ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. შუბი-  
ტიძემ — „სინდისი — ადამიანის ქცევის  
შინაგანი დარაჯი“, თბილისის 182-ე საშუალო  
სკოლის მოსწავლემ მ. ამალიძემ — „წმინ-  
და ზნეობა, ღირსება ჩვენი“, თბილისის 150-ე  
საშუალო სკოლის მოსწავლემ თ. ბასიტა-  
შვილმა — „ტრადიციები და თანამედრო-  
ვეობა“, თბილისის 177-ე საშუალო სკოლის  
მოსწავლემ მ. სამადაშვილმა — „რატომ  
მინდა გავხდე იურისტი“.

სამართალმცოდნეობის სექციის მუშაობის  
შედეგები შეაჯამა პროფესორმა ვ. მებ-

რევილმა. იურიდიული ფაკულტეტის პრო-  
ფესორ-მოსწავლეებმა მაღალი შეფასება  
მისცეს მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ ნა-  
მუშევრებს, გამოთქვეს შენიშვნები და მოი-  
წონეს თბილისსა და რესპუბლიკის სხვადა-  
სხვა რაიონში შექმნილი სამართალმცოდნეო-  
ბის წრეების საქმიანობა.

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და  
ფასიანი საჩუქრები.

**ვ. გურგენიძე,**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტ-  
როს კანონთა წიგნის მომზადების რედაქ-  
ციის უფროსი რედაქტორი

**წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...**

რედაქციაში მოსულ კორესპონდენციებს  
შორის ყურადღება მიიქცია გორის რაიონის  
სოფელ ქვახვრელიდან გამოგზავნილმა წერილ-  
მა. მარინე სადალაშვილი გულისტკივილით  
გვწერდა იმ სააღსრულებლო საქმის უსაფუძ-  
ვლო გაქიანურების შესახებ, რომლითაც მას  
თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად გორის  
რაიონის სოფელ უფლისციხეში 1988 წლის  
29 აპრილს სასამართლო წესით გამოეყო საც-  
ხოვრებელი ფართობი.

უფლისციხეში მ. სადალაშვილი 1978 წელს  
გატხოვდა. ქმართან, გოჩა პაპიაშვილთან, მას  
შვილიც შეეძინა, მაგრამ მაინც ვერ შეეთვის-  
ნენ ერთმანეთს და 1988 წელს ოჯახი დაინგრა.  
სასამართლომ სრულიად კანონიერად გამოუ-  
ყო თავისი წილი ფართობი დედა-შვილს  
ვ. პაპიაშვილის სახლიდან. თუმცა რა, ორ

წელზე მეტია დედა-შვილი კვლავ სხვაგან  
არიან შეკედლებულნი, ვინაიდან საკუთარი  
ჭერი არ გააჩნიათ.

მარინემ დახმარება ითხოვა, რათა უსაფუძ-  
ვლოდ გაქიანურებული გადაწყვეტილება აღ-  
სრულებულიყო.

წერილი შურნაღში არ დაბეჭდილა, მაგრამ  
რედაქციამ საქართველოს სსრ იუსტიციის სა-  
მინისტროს სასამართლო ორგანოების სამმარ-  
თველოსთან ერთად შეისწავლა მ. სადალა-  
შვილის სააღსრულებლო საქმე და განხორცი-  
ელებული ღონისძიებების შედეგად გადაწყ-  
ვეტილება უკვე აღსრულებულია.

ამჯერად უკვე მეორე წერილი მოვიდა რე-  
დაქციაში მ. სადალაშვილის ხელმოწერით.  
იგი გულწრფელ მადლობას უხდის რედაქ-  
ციას ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის.

**გასწორება**

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მეორე ნომრის 68-ე გვერდზე ბოლო სტრიქონი უნდა  
იკითხებოდეს შემდეგნაირად: „ხანდაზმული გიორგი თარხნიშვილი, ალექსანდრე ხოჭოლავა,  
გურამ უგრეხელიძე, მიხეილ ალხაზიშვილი, ბენო ხომერკი“ — შემდეგ როგორც ტექსტშია.



## ცნობები ავტორთა შესახებ

**იური ივანეს ძე ბენიძე** — საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე, პოლკოვნიკი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**იპარე გიორგის ძე დადიანი** — გადამდგარი პოლკოვნიკი, რამდენიმე პუბლიკაციის ავტორი, პირველად იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ლევან გიორგის ძე დოლიძე** — ჟურნალისტი, ოთხი ბროშურის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**კობა ამირანის ძე ქაფხაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 5 მეცნიერული შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**აკოლონ კონსტანტინეს ძე კვიციანი** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 18 სამეცნიერო შრომის და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

**ორბე სარდიონის ძე ბაბია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**თამაზ ირაკლის ძე დონჯაუშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მესამედ აქვეყნებს სტატიას ჩვენს ჟურნალში.

**მერაბ მურაღის ძე ბალოვანი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების ასპირანტი, მეორედ იბეჭდება „საბჭოთა სამართალში“.

**ოთარ ვარლამის ძე დოლიძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, მეორედ იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ვალერი ამბარკის ძე ლორია** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.



გარეპანის პირველ გვერდზე: დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საქართველოს სსრ  
პროკურატურის თანაშრომლები ვ. გოგუაძე (მარცხნივ), ო. სუთიძე, ე. გულიევი, გ. ხურცი-  
ლავა და გ. ჭელია.  
დ. იაკობაშვილის სლაიდი.

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 3, 1985 (на грузинском  
языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции  
ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87; 95-88-49.

---


ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина, 14.



677/143



ფასი 60 კპვ.  
ინფექსი 76185